# საქართველოს კანონი

## პენიტენციური კოდექსი

ამ კოდექსის მიზანია ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვასა და რეალიზაციაზე ორიენტირებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სამართლებრივი გარანტიების შექმნა, რაც შესაბამის ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენით ეფექტიანად უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირის უფლებების დაცვას და, მეორე მხრივ, სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას და დამნაშავის რესოციალიზაციას.

## წიგნი I

## ზოგადი დებულებები. პენიტენციური სისტემა

## თავი I

## ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. კოდექსის მოქმედების სფერო

1. ეს კოდექსი განსაზღვრავს სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობისა და სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის აღსრულების წესსა და პირობებს, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამართლებრივი დაცვის გარანტიებს, აწესრიგებს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ორგანოების საქმიანობას, ადგენს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებაში სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მონაწილეობის წესსა და პირობებს, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის (შემდგომ – სამსახური) ორგანიზებას, უფლებამოსილებასა და საქმიანობის წესს, პირის სამსახურში მიღების წესს, მოსამსახურის სტატუსს, უწყვეტი პროფესიული მომზადების სისტემასა და სამართლებრივი, სოციალური და უსაფრთხოების დაცვის გარანტიებს.

2. ამ კოდექსით დადგენილი წესით აღსრულდება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის აღსრულებასთან დაკავშირებული სასამართლოს განჩინება და განაჩენი, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

### მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ

1. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ამ კოდექსსა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

2. საქართველოს იუსტიციის მინისტრი (შემდგომ – მინისტრი) უფლებამოსილია გამოსცეს ბრძანებები ამ კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებზე.

### მუხლი 3. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოქმედება სივრცეში და პირთა წრის მიმართ

1. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

2. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა გამოიყენება როგორც საქართველოს მოქალაქეების, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ, საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი წესით.

3. არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნასა და არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოხდასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ამ კოდექსით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსითა და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

### მუხლი 4. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების საფუძვლები

1. პატიმრობის აღსრულების საფუძველია პირისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება.

2. თავისუფლების აღკვეთის აღსრულების საფუძველია სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესახებ.

## თავი II

## პენიტენციური სისტემის ორგანიზება

### მუხლი 5. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემა

1. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ორგანოები არიან სამსახური და მისდამი დაქვემდებარებული პენიტენციური დაწესებულებები.

2. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სფეროში ერთიანი პოლიტიკის წარმართვას უზრუნველყოფს სამინისტრო.

### მუხლი 6. სამსახური

1. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, ეს კოდექსი, სამსახურის დებულება, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და სხვა სამართლებრივი აქტები.

2. სამსახური აერთიანებს მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს.

3. სამსახურს ექვემდებარება პენიტენციური დაწესებულებები.

4. სამსახურისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს ამტკიცებს მინისტრი.

5. სამსახურის საშტატო ნუსხას მინისტრთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს სამსახურის გენერალური დირექტორი.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

### მუხლი 7. სამსახურის მართვა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის გენერალური დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

2. სამსახურის გენერალურ დირექტორს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილე, რომლებსაც სამსახურის გენერალური დირექტორის წარდგინებით თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობებიდან ათავისუფლებს მინისტრი.

3. სამსახურის გენერალური დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სამსახურის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე, ხოლო პირველი მოადგილის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში – მოადგილე. სამსახურის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის/მოადგილის საკურატორო სფეროები განისაზღვრება მისი დანიშვნის შესახებ ბრძანებით. სამსახურის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია ამ კოდექსით გათვალისწინებული ცალკეული უფლებამოსილებები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე პირველ მოადგილეს/მოადგილეს გადასცეს.

4. სამსახურის გენერალური დირექტორი თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობებიდან ათავისუფლებს სამსახურის მოსამსახურეებსა და პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეებს.

5. სამსახურის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

6. სამსახურის გენერალური დირექტორი შეიმუშავებს და მინისტრს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ. სამსახური ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით. სამსახურის ხარჯები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნეს ცალკე პროგრამული კოდით/კოდებით, რომელსაც/რომლებსაც განახორციელებს სამსახური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. სამსახური ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე. სამსახურის გენერალური დირექტორი არანაკლებ წელიწადში ორჯერ მინისტრს წარუდგენს წერილობით ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. მინისტრის მოთხოვნის საფუძველზე სამსახურის გენერალური დირექტორი წარუდგენს მას რიგგარეშე ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

8. სამსახურის მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გამგებლობის სფეროში ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვისა და მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემოწმებას, აგრეთვე სამსახურში სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლსა და პენიტენციურ დაწესებულებათა სისტემურ მონიტორინგს ახორციელებს სამსახურის შიდა კონტროლის განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

## თავი III

## სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მისი ამოცანები და უფლებამოსილებები

### მუხლი 8. სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) კანონიერება;

ბ) ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვა და პატივისცემა;

გ) თანაზომიერება;

დ) გამჭვირვალობა;

ე) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

## მუხლი 9. სამსახურის ამოცანები

სამსახურის ამოცანებია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება;

ბ) პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის და მისი უფლებების დაცვა;

გ) პენიტენციურ დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების დაცვა;

დ) პენიტენციური დაწესებულების დაცვა;

ე) პენიტენციურ დაწესებულებაში კრიზისული ვითარების მართვა;

ვ) პენიტენციურ დაწესებულებაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დანაშაულის ან/და სხვა სამართალდარღვევის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;

ზ) პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის რეაბილიტაციის/რესოციალიზაციის და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

## მუხლი 10. სამსახურის უფლებამოსილებები

სამსახურის უფლებამოსილებებია:

ა) პენიტენციურ დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის დასაცავად თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულება (მათ შორის, პენიტენციური დაწესებულების დღის განრიგის შესრულების ზედამხედველობა) და ამ მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება;

ბ) ბრალდებულის/მსჯავრდებულის ესკორტირება (პენიტენციური დაწესებულებიდან გაყვანისას, გადაყვანისას და ექსტრადიციისას);

გ) პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმდინარე და გაძლიერებული ღონისძიებების გეგმების შემუშავება და განხორციელება;

დ) პენიტენციურ დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების დასაცავად კრიზისული ვითარების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მართვისას ინტერვენციის, სპეციალური ან/და სხვა ღონისძიებების განხორციელება;

ე) სტიქიური უბედურებისა და სხვა საგანგებო სიტუაციის დროს ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე სამსახურის მოსამსახურეთა განსაკუთრებულ რეჟიმზე გადაყვანის უზრუნველყოფა;

ვ) პენიტენციური დაწესებულების საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა, შესაბამისი მონაცემების დამუშავება და ანალიზი;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ოპერატიული ღონისძიებების განხორციელება;

თ) ბრალდებულის/მსჯავრდებულის შესახებ მონაცემების დამუშავება და სათანადო მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება;

ი) ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმისა და ბრალდებულთა რეესტრის/მსჯავრდებულთა რეესტრის წარმოება;

ი[1]) „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება;

კ) პენიტენციური დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის/სამედიცინო ნაწილის საქმიანობის ორგანიზება და კონტროლი, პენიტენციურ დაწესებულებაში ჯანმრთელობის დაცვის უწყებრივი, სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამების განხორციელება;

ლ) პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შემოწმება;

მ) სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ნ) სამსახურის მატერიალური და ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა (მათ შორის, სამსახურის ბალანსზე რიცხული ობიექტების დაცვა), შესაბამისი ტექნიკური უსაფრთხოების გეგმების შემუშავება და განხორციელება;

ო) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურის მოსამსახურისა და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

პ) მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიზნით შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ჟ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

*საქართველოს 2025 წლის 4 მარტის კანონი №342 – ვებგვერდი, 06.03.2025წ.*

## თავი IV

## სამსახურში მიღება და სამსახურის გავლა

### მუხლი 11. პირის სამსახურში მიღება

1. სამსახურში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობას ახორციელებს მოხელე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (შემდგომ – მოსამსახურე).

2. მოსამსახურეზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კოდექსითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. პირი სამსახურში შეიძლება მიღებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. პირი სამსახურში მიიღება კონკურსით, გარდა ამ კოდექსის მე-12 მუხლის მე-5–მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კონკურსი ცხადდება სამსახურის გენერალური დირექტორის მიერ განსაზღვრულ ვებგვერდზე.

5. სამსახურში შეიძლება მიღებულ იქნეს 18 წელს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იცის საქართველოს სახელმწიფო ენა;

ბ) აკმაყოფილებს შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს;

გ) პიროვნული და საქმიანი თვისებებით, განათლებითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია

მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება;

დ) შესაბამისი ფიზიკური მომზადებით შეუძლია მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება (ეს მოთხოვნა ვრცელდება მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სამსახურის დანაყოფის მოსამსახურეებზე).

6. სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით მიიღება პირი, რომელსაც პიროვნული და საქმიანი თვისებებით, განათლებითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით ან/და შესაბამისი ფიზიკური მომზადებით შეუძლია შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება.

7. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე საქართველოს შრომის კანონმდებლობა ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით, ამ კოდექსითა და მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

8. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე ვრცელდება ამ კოდექსის მე-13 მუხლის, მე-18 მუხლის, მე-19 მუხლის (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტისა), მე-20 მუხლის (გარდა იმავე მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტისა), 21-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 22-ე–25-ე მუხლების, 27-ე მუხლის (გარდა იმავე მუხლის მე-2–მე-4 ნაწილებისა და მე-5 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა) და 29-ე მუხლის მოქმედება.

9. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის უფლებები, ფუნქციები და მოვალეობები განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით.

## მუხლი 12. პირის სამსახურში მიღების სპეციალური პირობები

1. პირს სამსახურში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოხელის სერტიფიკატი არ მოეთხოვება.

2. მოსამსახურე გამოსაცდელი ვადის განმავლობაში სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში გადის მომზადების შესაბამის სპეციალურ სასწავლო კურსს (შემდგომ – სასწავლო კურსი), თუ მინისტრის ბრძანებით მას განსაზღვრული აქვს შესაბამისი ვალდებულება. ამ პერიოდში მოსამსახურე სამსახურებრივ საქმიანობას ახორციელებს სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის ზედამხედველობით.

3. სასწავლო კურსი, სხვა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებთან ერთად, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სწავლებას უნდა ითვალისწინებდეს.

4. სასწავლო კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში მოსამსახურეს ეძლევა შესაბამისი დონის პენიტენციური სისტემის მოსამსახურის სერტიფიკატი (შემდგომ – სერტიფიკატი).

5. მოქმედი სერტიფიკატის მქონე პირი ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოსამსახურის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს უკონკურსოდ, სასწავლო კურსის გავლის გარეშე.

6. სამსახურში უკონკურსოდ ინიშნება:

ა) თანამდებობაზე/სამსახურში დროებით არმყოფი მოსამსახურის შემცვლელი მოსამსახურე;

ბ) კონკურსით დასაკავებელ ვაკანტურ თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

გ) მოსამსახურე – დაწინაურების შემთხვევაში;

დ) მოსამსახურე – სამსახურის იმავე ან სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფში/ერთეულში გადაყვანისას, თუ იგი აკმაყოფილებს მის მიერ თანამდებობის კონკურსით/დაწინაურების წესით დასაკავებლად განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში დასაკავებელ თანამდებობაზე

მოსამსახურის წარდგენის უფლება აქვს სამსახურის იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის/ერთეულის ხელმძღვანელს, რომელშიც ხდება მოსამსახურის გადაყვანა. აღნიშნულ თანამდებობაზე მოსამსახურის წარდგენა ხდება მისი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

7. პირი შესაბამის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს უკონკურსოდ, დროებით მოვალეობის შემსრულებლად, არაუმეტეს 6 თვის ვადით. ამ პირის იმავე თანამდებობაზე განმეორებით დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა დაუშვებელია. დროებით მოვალეობის შემსრულებლად უკონკურსოდ დანიშნულ პირზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სასწავლო კურსის გავლის მოთხოვნა.

8. სამსახურში მისაღები პირი (კანდიდატი) გადის სპეციალურ შემოწმებას. სპეციალური შემოწმება არის საქართველოს კანონმდებლობით დასაშვები ღონისძიებების ერთობლიობა, რომლის მიზანია კანდიდატის ამ კოდექსის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პიროვნული და საქმიანი თვისებების მის მიერ შესასრულებელ სამუშაოსთან შესაბამისობის დადგენა. კანდიდატი თანამდებობაზე ინიშნება თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირის ბრძანებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, არაუმეტეს 6 თვის გამოსაცდელი ვადით.

9. ამ მუხლის მიზნებისთვის:

ა) მინისტრი განსაზღვრავს:

ა.ა) სამსახურში პირის მისაღებად კონკურსის ჩატარების, სამსახურში მისაღები პირის შერჩევის, მის მიერ სპეციალური შემოწმებისა და გამოსაცდელი ვადის გავლის წესს;

ა.ბ) სასწავლო კურსის სახეებს, მოსამსახურის მიერ სასწავლო კურსის გავლის, მისი სერტიფიცირებისა და პერიოდული გადამზადების წესს, სერტიფიკატის მოქმედების ვადას;

ა.გ) მოსამსახურის დაწინაურების წესს;

ა.დ) სამსახურის იმ თანამდებობების ნუსხას, რომლებზედაც პირები უკონკურსოდ, გამოსაცდელი ვადისა და სასწავლო კურსის გავლის გარეშე ინიშნებიან, აგრეთვე ამ თანამდებობებზე მათი დანიშვნის წესს;

ბ) სამსახურის გენერალური დირექტორი, თანამდებობის სპეციფიკისა და თანამდებობრივი ინსტრუქციის შინაარსის გათვალისწინებით, განსაზღვრავს დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს კანდიდატის მიერ ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

## მუხლი 13. პირის სამსახურში მიღებასა და მის მიერ სამსახურის გავლასთან დაკავშირებული შეზღუდვები

1. სამსახურში არ მიიღება:

ა) ნასამართლევი პირი, აგრეთვე პირი, რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის ფაქტს, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა;

ბ) პირი, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს;

გ) პირი, რომელიც სასამართლომ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირად აღიარა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) პირი, რომელსაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

ე) პირი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამედიცინო დასკვნის თანახმად, არ აკმაყოფილებს

შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებს;

ვ) პირი, რომელიც შესაბამისი თანამდებობის დაკავების შემთხვევაში უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით დაუკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს, გერს ან მეუღლის მშობელს, დას, ძმას;

ზ) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, გარდა კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისისა;

თ) პირი, რომელმაც სპეციალური შემოწმების გავლის შედეგად უარყოფითი შეფასება მიიღო.

2. მოსამსახურის სამსახურებრივ შეუთავსებლობასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. (ამოღებულია - 28.05.2026, №1619).

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 14. პირის მიერ სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტები. მოსამსახურის ფიცი

1. სამსახურში მიღების მსურველმა თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირს უნდა წარუდგინოს მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტები. ამ დოკუმენტების წარუდგენლობა მის სამსახურში მიღებაზე უარის თქმის საფუძველია. ამასთანავე, სამსახურში მიღების მსურველს შეიძლება მოეთხოვოს სამსახურის მიერ წინასწარ განსაზღვრული, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენა, აგრეთვე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადასტურებული ან აღიარებული დიპლომის წარდგენა.

2. სამსახურში პირველად მიღებული პირი დებს და ხელმოწერით ადასტურებს მოსამსახურის ფიცს: „ვაცნობიერებ საქართველოს წინაშე ჩემთვის დაკისრებულ პასუხისმგებლობას და ვფიცავ, ერთგულად ვემსახურო საქართველოს, განუხრელად დავიცვა საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, პატივი ვცე ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, კეთილსინდისიერად შევასრულო ჩემი მოვალეობები.“.

## მუხლი 15. სამსახურის ვადა. გამოსაცდელი ვადა

1. მოსამსახურე (გარდა ამ კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული მოსამსახურისა) სამსახურში მიიღება/ინიშნება განუსაზღვრელი ვადით, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. სამსახურში განსაზღვრული ვადით მიიღება:

ა) თანამდებობაზე/სამსახურში დროებით არმყოფი მოსამსახურის შემცვლელი მოსამსახურე – მოსამსახურის სამსახურში გამოსვლამდე ან თანამდებობიდან გათავისუფლებამდე;

ბ) თანამდებობაზე კონკურსით დასანიშნი მოსამსახურის მოვალეობის შემსრულებელი – ამ კოდექსის მე-12 მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში კონკურსის შედეგების მიხედვით მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნამდე;

გ) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით.

3. დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირს შეუძლია პირი დანიშნოს არაუმეტეს 6 თვის გამოსაცდელი ვადით.

4. გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოწმდება პირის კვალიფიკაციის, პიროვნული და საქმიანი

თვისებების/უნარ-ჩვევების და შესაძლებლობების თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

5. გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგის დადგომისას პირი შესაბამისი სამართლებრივი აქტით თავისუფლდება სამსახურიდან.

6. გამოსაცდელი ვადა არ გამოიყენება პირის თანამდებობაზე/სამსახურში დროებით არმყოფი მოსამსახურის შემცვლელად ან მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნისას.

7. დაუშვებელია გამოსაცდელი ვადით დანიშნული პირის თანამდებობრივი გადაყვანა ან დაწინაურება, აგრეთვე მისთვის მოვალეობის შესრულების დაკისრება.

8. გამოსაცდელ ვადაში ჩაითვლება პირის მიერ დროებითი შრომისუუნარობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო გაცდენილი დრო. გამოსაცდელი ვადა პირს ჩაეთვლება შრომის საერთო სტაჟში.

### მუხლი 16. მოსამსახურის ასაკობრივი შეზღუდვა

1. მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სამსახურის ცალკეული დანაყოფების მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გასავლელად დადგენილია შემდეგი ასაკობრივი შეზღუდვა:

ა) უმცროსი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურისა და საშუალო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურისთვის – 60 წელი;

ბ) უფროსი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურისთვის – 65 წელი.

2. სამსახურში ყოფნის ზღვრულ ასაკს მიღწეული მოსამსახურე უნდა გათავისუფლდეს სამსახურიდან, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე, სამსახურში ყოფნის ზღვრულ ასაკს მიღწეულ მოსამსახურეს სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე სამედიცინო დასკვნის ან/და მისი ფიზიკური მომზადების დონის გათვალისწინებით, მისივე თანხმობით, მინისტრის ბრძანებით შეიძლება გაუგრძელდეს სამსახურის ვადა 5 წლამდე ვადით. ეს არ გამორიცხავს მოსამსახურის სამსახურიდან ამ კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლით გათავისუფლების შესაძლებლობას.

### მუხლი 17. მოსამსახურის თანამდებობრივი გადაყვანა

1. მოსამსახურის თანამდებობრივი გადაყვანა ხდება:

ა) მის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე უფრო მაღალ თანამდებობაზე – დაწინაურების შემთხვევაში, მინისტრის მიერ დადგენილი წესით, მოსამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებითა და მოსამსახურის თანხმობით, თუ მოსამსახურე დაკავებულ თანამდებობაზე 6 თვე მაინც მსახურობს;

ბ) მის მიერ დაკავებული თანამდებობის თანაბარ თანამდებობაზე:

ბ.ა) პირადი პატაკის საფუძველზე;

ბ.ბ) სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, მოსამსახურის თანხმობით;

გ) მის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე უფრო დაბალ თანამდებობაზე:

გ.ა) პირადი პატაკის საფუძველზე;

გ.ბ) სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, მოსამსახურის თანხმობით;

გ.გ) ატესტაციის შედეგების საფუძველზე;

გ.დ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო.

2. მოსამსახურის დაწინაურება ხდება შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, მისი სათანადო პროფესიული გადამზადებით, თუ მის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე უფრო მაღალი თანამდებობა წამყვანი/მენეჯერული თანამდებობაა და თვისებრივად განსხვავებული სამუშაოს შესრულებას ითვალისწინებს.

3. მოსამსახურის თანამდებობრივი გადაყვანა ხდება შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. მოსამსახურის ფუნქციურად განსხვავებულ თანამდებობაზე გადაყვანას, როგორც წესი, უნდა უძღოდეს მისი სათანადო პროფესიული გადამზადება.

4. მოსამსახურის თანამდებობრივი გადაყვანა ხდება მოსამსახურის შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირის ბრძანებით.

5. მოსამსახურის შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირს შეუძლია მოსამსახურე თანამდებობრივი გადაყვანის გარეშე მიამაგროს სამსახურის სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფს/ერთეულს ან პენიტენციურ დაწესებულებას.

6. მოსამსახურის შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირს შეუძლია მოსამსახურეს განუსაზღვროს სამუშაო ადგილი.

7. ამ მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჭიროა მოსამსახურის თანხმობა.

## მუხლი 18. სამსახურში არმყოფი მოსამსახურის მოვალეობების შესრულება

1. მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირს შეუძლია სამსახურში დროებით არმყოფი მოსამსახურის შესაცვლელად ან ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც მოსამსახურის სამსახურში არყოფნა საფრთხეს უქმნის სამსახურის ნორმალურ ფუნქციონირებას:

ა) სამსახურში დროებით არმყოფი მოსამსახურის მოვალეობები დააკისროს სხვა მოსამსახურეს თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლების გარეშე;

ბ) სამსახურში დროებით არმყოფი მოსამსახურის მოვალეობები დააკისროს სხვა მოსამსახურეს (შემცვლელი მოსამსახურე) და გაათავისუფლოს იგი თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისგან.

2. მოსამსახურეს უფლება აქვს, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებაზე უარი განაცხადოს, თუ მათი შესრულება წინააღმდეგნაჩვენებია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის ან უფრო მაღალ კვალიფიკაციასა და სხვა პროფესიულ მომზადებას მოითხოვს.

3. მოსამსახურეს უფლება აქვს, ამ მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე იმავე დაწესებულებაში შეასრულოს სამსახურში არმყოფი მოსამსახურის მოვალეობები კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 1 თვის ვადით. სამსახურში არმყოფი მოსამსახურის მოვალეობების კალენდარული წლის განმავლობაში 1 თვეზე მეტი ვადით შესრულება შესაძლებელია მისი შემცვლელი მოსამსახურის თანხმობით.

4. მოსამსახურეს, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ასრულებს სამსახურში დროებით არმყოფი მოსამსახურის მოვალეობებს, თავისი თანამდებობრივი სარგოს გარდა, ეძლევა დანამატი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში, სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით დადგენილი ოდენობით.

5. მოსამსახურეს, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ასრულებს სამსახურში დროებით არმყოფი მოსამსახურის მოვალეობებს, ეძლევა სამსახურში დროებით არმყოფი მოსამსახურის თანამდებობრივი სარგო, თუ ის აღემატება მის თანამდებობრივ სარგოს. თუ სამსახურში დროებით არმყოფი მოსამსახურის თანამდებობრივი სარგო მისი შემცვლელი მოსამსახურის

თანამდებობრივ სარგოზე ნაკლებია, შემცვლელ მოსამსახურეს უნარჩუნდება თავისი თანამდებობრივი სარგო.

### მუხლი 19. მოსამსახურის წახალისება

1. სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის, ხანგრძლივი ან/და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, განსაკუთრებული სირთულის მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისთვის ან/და განსაკუთრებული დამსახურებისთვის მოსამსახურის მიმართ გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ფულადი ჯილდოს მიცემა;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) სამინისტროს/სამსახურის სიგელით დაჯილდოება;

ე) სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;

ვ) სამინისტროს/სამსახურის მედალიონით დაჯილდოება;

ზ) სამინისტროს/სამსახურის მედლით დაჯილდოება;

თ) მორიგი სახელმწიფო სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება;

ი) დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;

კ) სამოქალაქო ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღით დაჯილდოება.

2. შესაძლებელია მოსამსახურის მიმართ წახალისების რამდენიმე ფორმის ერთდროულად გამოყენება.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი მამაცობისთვის (გამბედაობისთვის) მოსამსახურე შეიძლება წარდგენილ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოზე.

4. მოსამსახურის წახალისების წესს განსაზღვრავს მინისტრი.

### მუხლი 20. მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომები და დისციპლინური სახდელები

1. მსუბუქი ან მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის მოსამსახურეს შეიძლება დაეკისროს დისციპლინური სახდელი.

2. მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომებია:

ა) სამსახურებრივი მოვალეობის განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

ბ) სამსახურისთვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების განზრახ ან გაუფრთხილებლობით შექმნა;

გ) ქცევის ზოგადი წესების უგულებელყოფა ან დარღვევა, რომელიც მიმართულია მოსამსახურისა და სამსახურის დისკრედიტაციისკენ, მიუხედავად იმისა, სამსახურშია ის ჩადენილი თუ მის გარეთ;

დ) უშუალო ან ზემდგომი ხელმძღვანელის კანონიერი მითითების ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობა;

ე) მოსამსახურეთა ეთიკის ნორმების დარღვევა.

3. დისციპლინური გადაცდომა მძიმეა, თუ:

ა) დისციპლინურმა გადაცდომამ გამოიწვია მისი ჩამდენი პირის რეპუტაციის შელახვა, რაც გამორიცხავს ამ პირის მიერ მომავალში სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებას;

ბ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად შეილახა სამსახურის რეპუტაცია ან ზიანი მიადგა მოსამსახურეს, მესამე პირს ან საჯარო ინტერესს;

გ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად სამსახურს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა;

დ) დისციპლინური პასუხისმგებლობის მქონე მოსამსახურემ ახალი დისციპლინური გადაცდომა ჩაიდინა;

ე) მოსამსახურემ ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, პრეკურსორი ან მოიხმარა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, თუ ეს ქმედება არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

4. დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის მოსამსახურეს შეიძლება დაეკისროს შემდეგი დისციპლინური სახდელები:

ა) შენიშვნა;

ბ) გაფრთხილება;

გ) საყვედური;

დ) სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა;

ე) სახელმწიფო სპეციალური წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება;

ვ) არაუმეტეს 10 სამუშაო დღის თანამდებობრივი სარგოს დაკავება;

ზ) თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1 თვიდან 6 თვემდე ვადით;

თ) ჩამოქვეითება;

ი) სამსახურიდან დათხოვნა/გათავისუფლება.

5. მოსამსახურე სამსახურიდან შეიძლება დათხოვნილ/გათავისუფლებულ იქნეს მხოლოდ მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო.

6. დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს სამსახურის შიდა კონტროლის განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

7. სამსახურის შიდა კონტროლის განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის დასკვნის საფუძველზე სამსახურის გენერალური დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას მოსამსახურისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ.

8. დაუშვებელია მოსამსახურისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრება მისი დროებითი შრომისუუნარობის, შვებულებაში ან მივლინებაში ყოფნის დროს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან 1 წელზე მეტი გავიდა.

9. მოსამსახურისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, სიმძიმე და შედეგები, ჩადენის გარემოებები, აგრეთვე მოსამსახურის პიროვნება და დამსახურება.

10. დაუშვებელია ერთი დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის მოსამსახურისთვის ორი ან ორზე მეტი დისციპლინური სახდელის დაკისრება.

11. მოსამსახურე დისციპლინური პასუხისმგებლობის მქონედ ითვლება მისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებიდან 1 წლის განმავლობაში.

12. მოსამსახურეს დისციპლინური სახდელი შეიძლება ვადამდე მოეხსნას, თუ მას ახალი დისციპლინური გადაცდომა არ ჩაუდენია და თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა პირმა. მოსამსახურეს დისციპლინური სახდელი შეიძლება ვადამდე მოეხსნას ასევე განსაკუთრებული დამსახურებისთვის.

13. მოსამსახურეთა ეთიკის ნორმებსა და დისციპლინურ წესდებას ამტკიცებს მინისტრი.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## თავი V

## მოსამსახურის უფლებები და მოვალეობები, მის მიერ სამსახურის გავლის პირობები, მისი სამართლებრივი, სოციალური და უსაფრთხოების დაცვის გარანტიები

### მუხლი 21. მოსამსახურის უფლებები და მოვალეობები

1. მოსამსახურე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას წარმოადგენს სამსახურს.

2. მოსამსახურეს უფლება აქვს:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად;

ბ) დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია სამსახურებრივი/თანამდებობრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად;

გ) უზრუნველყოფილი იყოს თანამდებობრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებებითა და პირობებით;

დ) უშუალო ხელმძღვანელს წარუდგინოს წინადადებები თავისი სამსახურებრივი საქმიანობის სრულყოფის შესახებ და მიიღოს მუშაობისთვის აუცილებელი კონსულტაციები;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენოს ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად;

ვ) განახორციელოს მისთვის საქართველოს კანონმდებლობითა და თანამდებობრივი ინსტრუქციით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

3. მოსამსახურე ვალდებულია:

ა) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიცვას ბრალდებულის/მსჯავრდებულის და სხვა პირის უფლებები და კანონიერი ინტერესები;

ბ) პირნათლად შეასრულოს მისთვის თანამდებობრივი ინსტრუქციით დაკისრებული მოვალეობები;

გ) დაიცვას მოსამსახურეთა ეთიკის ნორმები;

დ) სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები;

ე) შეასრულოს ხელმძღვანელის კანონიერი ბრძანება, განკარგულება და მითითება;

ვ) დაიცვას შინაგანაწესის მოთხოვნები;

ზ) გაუფრთხილდეს სახელმწიფო საკუთრებას, დაიცვას შესაბამისი მატერიალური ფასეულობები;

თ) სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, აგრეთვე სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ არ გაავრცელოს სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოებები, სხვა პირის პერსონალური მონაცემები და სხვა ინფორმაცია (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით), რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ი) რესურსების ეკონომიურად გამოყენებით (ხარჯვით) ეფექტიანად და სწორად წარმართოს სამსახურში ორგანიზაციული პროცესი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიცვას ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი, ბოროტად არ გამოიყენოს და არ გაფლანგოს სამსახურებრივი სახსრები;

კ) სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას იყოს მიუკერძოებელი და იხელმძღვანელოს მხოლოდ საჯარო ინტერესით;

ლ) დაიცვას შრომის დისციპლინა, რაციონალურად გამოიყენოს სამუშაო დრო, არ ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რომელიც შეაფერხებს სამსახურის მუშაობას და შელახავს მის ავტორიტეტს;

მ) გაუფრთხილდეს სამსახურებრივ მოწმობასა და სამსახურებრივ-საშტატო იარაღს, გამოიყენოს ისინი კეთილსინდისიერად, მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისთვის და არა რაიმე უპირატესობის მოსაპოვებლად; სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ან/და სამსახურებრივი მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სამსახურის შიდა კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფს, საიარაღო სამსახურსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოს. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ან/და სამსახურებრივი მოწმობის დაკარგვა შეიძლება გახდეს მოსამსახურისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი;

ნ) შეასრულოს მისთვის საქართველოს კანონმდებლობითა და თანამდებობრივი ინსტრუქციით დაკისრებული სხვა მოვალეობები.

4. მოსამსახურეს ეკრძალება:

ა) სამსახურში ალკოჰოლის, ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა;

ბ) აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) (მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობებში) მონაწილეობა;

გ) სამსახურებრივი ავტომანქანის ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვა. ეს ქმედება ჩაითვლება ამ კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომად;

დ) პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ან წინასწარი შეცნობით ამ კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პირთან/პირებთან ისეთი ურთიერთობის დამყარება (გარიგების დადება და სხვა), რომელიც არ მიეკუთვნება მის სამსახურებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის ისეთი საგნის ან/და ნივთიერების გადაცემა ან შესანახად ან სხვა მიზნით მისგან ისეთი საგნის ან/და ნივთიერების მიღება, რომელიც არ უკავშირდება მის სამსახურებრივ საქმიანობას.

5. მოსამსახურეს ეკრძალება პოლიტიკური პარტიის წევრობა და პოლიტიკურ საქმიანობაში

მონაწილეობა. სამსახურში მიღებულ პირს უწყდება პოლიტიკური პარტიის წევრობა. დაუშვებელია თავისი საქმიანობის განხორციელებისას მოსამსახურის მიერ პოლიტიკური შეხედულებით მოქმედება. მოსამსახურის მიერ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელება ან ბრალდებულის/მსჯავრდებულის პოლიტიკური შეხედულების ან პარტიული კუთვნილების გამო მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება აკრძალულია და იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

6. მოსამსახურის სხვა უფლებები და მოვალეობები მისი თანამდებობრივი ფუნქციების შესაბამისად განისაზღვრება მოსამსახურის თანამდებობრივი ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს სამსახურის გენერალური დირექტორი.

7. მოსამსახურის მიერ ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესი დგინდება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, მინისტრის ბრძანებითა და მოსამსახურის თანამდებობრივი ინსტრუქციით.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 22. მოსამსახურის სამუშაო დრო

1. თუ ამ მუხლის მე-2 ნაწილით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მოსამსახურის სამუშაო დრო განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სამსახურის ცალკეული დანაყოფების მოსამსახურეებისთვის ან/და ცალკეული მოსამსახურეებისთვის დადგენილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულისგან განსხვავებული სამუშაო დრო ან/და მუშაობის განსხვავებული პირობები, კერძოდ:

ა) მოსამსახურისთვის დადგენილია არაუმეტეს 48-საათიანი სამუშაო კვირა და არანორმირებული სამუშაო დღე;

ბ) მოსამსახურისთვის (გარდა ცვლაში მომუშავე მოსამსახურისა) დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობა ნებაყოფლობითია. ამ შემთხვევაში მას ანაზღაურება ეძლევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) ცვლაში მომუშავე მოსამსახურის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს, გარდა პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევებისა. ცვლაში მომუშავე მოსამსახურეებისთვის დგინდება თანაბარი ხანგრძლივობის ცვლები;

დ) მოსამსახურეები მინისტრის ბრძანებით შეიძლება განსაკუთრებულ რეჟიმზე იქნენ გადაყვანილი.

## მუხლი 23. მოსამსახურის შვებულება

1. მოსამსახურისთვის დადგენილია შვებულების შემდეგი სახეები:

ა) ყოველწლიური ანაზღაურებადი;

ბ) მოკლევადიანი დამატებითი;

გ) ანაზღაურებისგარეშე;

დ) სასწავლო;

ე) ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, ახალშობილის შვილად აყვანის გამო.

2. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, დასაშვებია მოსამსახურის შვებულების (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შვებულებისა) შეწყვეტა და მისი

გამოძახება სამსახურის გასაგრძელებლად.

3. მოსამსახურეს შვებულება ეძლევა მისი თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირის ბრძანებით.

4. მოსამსახურეს ეძლევა ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 24 სამუშაო დღის ოდენობით.

5. მოსამსახურის ყოველწლიურ ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნისას დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი ამ შვებულების ანგარიშში არ ითვლება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანაზღაურდება.

6. მოსამსახურეს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება ეძლევა კალენდარული წლის განმავლობაში, შვებულებების გრაფიკის შესაბამისად. მოსამსახურეს წინა წლის გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულება შეიძლება მიეცეს მომდევნო წლის პირველ კვარტალში. თანამდებობაზე ახალდანიშნული მოსამსახურის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა ნამსახურები დღეების პროპორციულად გამოითვლება: ორ-ნახევარი დღე სამსახურში მიღების დღიდან ყოველ სრულ თვეზე.

7. მოსამსახურეს, რომელსაც ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება გამოყენებული აქვს, განსაკუთრებული გარემოების გამო შეიძლება მიეცეს მოკლევადიანი დამატებითი შვებულება კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა. მოსამსახურის მოკლევადიანი დამატებითი შვებულება ანაზღაურდება და ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ანგარიშში არ ითვლება.

8. მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მუშაობის პერიოდში ისარგებლოს ანაზღაურებისგარეშე შვებულებით არაუმეტეს 1 წლისა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სამსახურის ინტერესებს.

9. მოსამსახურეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად 2 წელიწადში ერთხელ შეიძლება მიეცეს სასწავლო შვებულება არაუმეტეს 3 თვისა, თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით. თუ მოსამსახურეს სასწავლო შვებულება სამსახურის ინიციატივით ეძლევა, მას ამ შვებულებასთან დაკავშირებული შესაბამისი ხარჯები სრულად აუნაზღაურდება.

10. მოსამსახურეს მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება 730 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 200 კალენდარული დღე. ანაზღაურება გაიცემა სამსახურის ბიუჯეტიდან, მოსამსახურის შრომის ანაზღაურების ოდენობით. მოსამსახურეს უფლება აქვს, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება თავისი შეხედულებისამებრ გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე.

11. მოსამსახურეს ბავშვის მიერ 1 წლის ასაკის მიღწევამდე უფლება აქვს, ერთჯერადად მოითხოვოს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო არაანაზღაურებადი შვებულების დარჩენილი ნაწილით სარგებლობა.

12. მოსამსახურეს, რომელმაც 1 წლამდე ასაკის ბავშვი იშვილა, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 90 კალენდარული დღე. ანაზღაურება გაიცემა სამსახურის ბიუჯეტიდან, მოსამსახურის შრომის ანაზღაურების ოდენობით.

13. მოსამსახურეს ორსულობის პერიოდში სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების გამო გაცდენილი სამუშაო საათები გამოკვლევების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში საპატიოდ ჩაეთვლება და შრომის ანაზღაურება შეუნარჩუნდება.

14. ამ მუხლის მე-10 ან მე-12 ნაწილით გათვალისწინებული შვებულებით შეიძლება ისარგებლოს იმ მშობელმა, რომელიც ფაქტობრივად უვლის ბავშვს. ამ შემთხვევაში მოსამსახურეს შვებულება ეძლევა ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 90 კალენდარული დღე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალშობილი ბავშვის დედას არ უსარგებლია ამ

მუხლით განსაზღვრული შვებულებით.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 24. გაფიცვა, შეკრება და მანიფესტაცია

1. მოსამსახურეს ეკრძალება გაფიცვა და მასში მონაწილეობა.

2. მოსამსახურეს ეკრძალება შეკრების ან/და მანიფესტაციის ორგანიზება, ჩატარება და მასში მონაწილეობა.

## მუხლი 25. მოსამსახურის სამართლებრივი და უსაფრთხოების დაცვის გარანტიები

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია და მას სახელმწიფო იცავს. მოსამსახურის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესაბამისი მოთხოვნის შესრულება ყველასთვის სავალდებულოა.

2. მოსამსახურის სამსახურებრივ საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია.

3. სახელმწიფო იცავს მოსამსახურის ღირსებას. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის ღირსების შელახვა, მისთვის ხელის შეშლა, წინააღმდეგობის გაწევა, მის მიმართ მუქარა, ძალადობა ან მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

4. მოსამსახურემ, რომელმაც იცის ან შეიძლება იცოდეს აშკარად უკანონო ბრძანების/დავალების შესახებ, მის შესრულებაზე უარი უნდა თქვას და უნდა აცნობოს სამსახურის შიდა კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფსა და შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.

5. მოსამსახურე უფლებამოსილია თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად სასამართლოს მიმართოს.

6. მოსამსახურის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მისთვის ან/და მისი ოჯახის წევრისთვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში მოსამსახურის ან/და მისი ოჯახის უსაფრთხოებას მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით სახელმწიფო უზრუნველყოფს.

7. სამსახურის პროფესიული დღე ყოველი წლის 8 სექტემბერს აღინიშნება.

## მუხლი 26. მოსამსახურის სახელმწიფო სპეციალური წოდება

1. მოხელეს, აგრეთვე სამსახურის გენერალურ დირექტორს, მის პირველ მოადგილესა და მოადგილეს სახელმწიფო სპეციალური წოდებები ენიჭებათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სახელმწიფო სპეციალური წოდებების მქონე თანამდებობების შესაბამის ზღვრულ სპეციალურ წოდებებს განსაზღვრავს მინისტრი.

3. სახელმწიფო სპეციალურ წოდებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონითა და მინისტრის ბრძანებით.

## მუხლი 27. მოსამსახურის შრომის ანაზღაურება და სოციალური დაცვა

1. მოსამსახურის სოციალურ დაცვას სახელმწიფო უზრუნველყოფს.

2. მოსამსახურის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევა სავალდებულოა. ამასთანავე, შესაძლებელია მისი მეუღლისა და არასრულწლოვანი შვილების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით დაზღვევა.

3. მოსამსახურეს კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში 2 თვის განმავლობაში უნარჩუნდება ბოლოს დაკავებული თანამდებობის შესაბამისი თანამდებობრივი სარგო.

4. მოსამსახურეს, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ან საკუთარ სატრანსპორტო საშუალებას იყენებს, საწვავით სახელმწიფო უზრუნველყოფს.

5. მოსამსახურეს სამსახურებრივი საქმიანობის განსახორციელებლად ეძლევა ხელფასი, რომელიც მოიცავს:

ა) მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოს;

ბ) დადგენილი წესით განსაზღვრულ წელთა ნამსახურობის დანამატს (ამ დანამატის გაცემის მიზნებისთვის ნამსახურებ წლებში ჩაითვლება სამხედრო წოდებით ან/და სახელმწიფო სპეციალური წოდებით ნამსახურები წლები, მათ შორის, საქართველოს სხვა საჯარო/სახელმწიფო დაწესებულებაში სამსახური, გარდა სამხედრო სავალდებულო სამსახურისა/წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისა);

გ) მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით განსაზღვრულ, სახელმწიფო სპეციალური წოდების შესაბამის წოდებრივ სარგოს.

6. მოსამსახურეს მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით შეიძლება მიეცეს სახელფასო დანამატი ზეგანაკვეთური მუშაობის ან/და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით.

7. მოსამსახურეს ამ მუხლით გათვალისწინებული წოდებრივი სარგო და დანამატი მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების პერიოდში არ ეძლევა ან შეიძლება შეუმცირდეს.

8. მოსამსახურეს ამ მუხლით გათვალისწინებული სარგო და დანამატი ეძლევა უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

9. მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებების შემცირება არ შეიძლება გახდეს მოსამსახურის შრომის ანაზღაურების შემცირების საფუძველი.

10. მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

11. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, კერძოდ, სამართალდარღვევის აღკვეთისას, დამნაშავის შეპყრობისას, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმისას მოსამსახურის დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 30 000 ლარის ოდენობით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამსახურის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

12. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში მას სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება შემდეგი ოდენობით:

ა) ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისას – 7 000 ლარი;

ბ) ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისას – 4 000 ლარი;

გ) ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებისას – 2 000 ლარი.

13. მოსამსახურესა და მისი ოჯახის წევრს სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნებათ „სახელმწიფო

კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.

14. სამსახურის ცალკეული დანაყოფების მოსამსახურეთა მატერიალურ-სასურსათო უზრუნველყოფის ნორმები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

15. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სათანადო დასაბუთების საფუძველზე მინისტრის ბრძანებით მოსამსახურისთვის შეიძლება განისაზღვროს სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიები და შეღავათები, რომლებიც ამ კოდექსით გათვალისწინებული არ არის.

16. მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, სრულად აუნაზღაურდება.

17. ამ მუხლის (გარდა ამ მუხლის მე-3, მე-7 და მე-14 ნაწილებისა) მოქმედება ვრცელდება აგრეთვე სამსახურის გენერალურ დირექტორზე, მის პირველ მოადგილესა და მოადგილეზე.

### მუხლი 28. მოსამსახურის სპეციალური ფორმის ტანსაცმელი (უნიფორმა), სამსახურებრივი მოწმობა

1. მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სამსახურის ცალკეული დანაყოფების მოსამსახურეები სამსახურებრივ უფლებამოსილებას, როგორც წესი, სპეციალური ფორმის ტანსაცმლით (უნიფორმით) ახორციელებენ. მოსამსახურის სპეციალური ფორმის ტანსაცმლის (უნიფორმის) ნიმუშებსა და გამოყენების წესს ამტკიცებს მინისტრი.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოსამსახურის სპეციალური ფორმის ტანსაცმლის (უნიფორმის) განმასხვავებელი ნიშნებისა და ემბლემების ნიმუშებსა და გამოყენების წესს „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ამტკიცებს მინისტრი.

3. მოსამსახურე ატარებს სამსახურებრივ მოწმობას. მოსამსახურის სამსახურებრივი მოწმობის ფორმა მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

## თავი VI

## მოსამსახურის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტა, სამსახურიდან დათხოვნა/გათავისუფლება და სამსახურში აღდგენა

### მუხლი 29. მოსამსახურის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება

1. მოსამსახურის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება გულისხმობს მის დროებით გათავისუფლებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისგან და სამსახურის გათავისუფლებას მოსამსახურის სამსახურით უზრუნველყოფის მოვალეობისგან.

2. მოსამსახურეს სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში (გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა) და დადგენილი წესით უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო/წოდებრივი სარგო და დანამატები ან/და ეძლევა სხვა კომპენსაცია.

3. მოსამსახურის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლებია:

ა) წერილობითი განცხადება/პატაკი, თუ მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირი თანახმაა მისი სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერებაზე (წელიწადში არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა);

ბ) მოსამსახურის შვებულება;

გ) მოსამსახურის დროებითი შრომისუუნაროობა;

დ) მოსამსახურის საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს ან/და აღმასრულებელი ორგანოს – მერის არჩევნებში კანდიდატად წარდგენა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ე) მოსამსახურის სამსახურისგან ჩამოშორება ამ მუხლის მე-4 ან მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე სხვა კანონიერი საფუძვლით;

ვ) მოსამსახურის კანონის შესაბამისად დროებით გათავისუფლების სხვა შემთხვევა;

ზ) მოსამსახურის კადრების განკარგულებაში აყვანა;

თ) ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა.

4. უშუალო ან ზემდგომი ხელმძღვანელი ვალდებულია არ დაუშვას სამუშაოზე მოსამსახურე ან/და სხვა პირი, რომელიც ალკოჰოლის, ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. ამ საფუძველზე სამსახურისგან ჩამოშორებულ პირს სამსახურისგან ჩამოშორების პერიოდისთვის ხელფასი არ ეძლევა.

5. მოსამსახურისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების უფლებამოსილების მქონე პირს შეუძლია დისციპლინური წარმოებისას იგი სამსახურს ჩამოაშოროს. სამსახურისგან ჩამოშორებულ პირს უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო/წოდებრივი სარგო და დანამატები.

6. მოსამსახურის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში მისი თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირი მოსამსახურეს შეუჩერებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას (თანამდებობიდან დროებით გადაყენება) სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე ან შესაბამისი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

7. თანამდებობიდან დროებით გადაყენებული მოსამსახურე გამართლების შემთხვევაში უნდა აღდგეს ბოლოს დაკავებულ თანამდებობაზე, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – მის ტოლფას თანამდებობაზე. გამართლებულ პირს აუნაზღაურდება თანამდებობაზე იძულებით არყოფნის მთელ პერიოდში მიუღებელი ხელფასი.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 30. მოსამსახურის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები, მისი სამსახურიდან დათხოვნა/გათავისუფლება

1. მოსამსახურის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) სამსახურიდან დათხოვნა/გათავისუფლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

გ) კანონით დადგენილი წესით უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;

დ) სასამართლოს მიერ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ე) კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლა;

ვ) გარდაცვალება.

2. მოსამსახურე შეიძლება სამსახურიდან დათხოვნილ/გათავისუფლებულ იქნეს:

ა) სხვა სამსახურში გადასვლის გამო;

ბ) სამსახურში მისაღებად დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამო;

გ) შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელი დოკუმენტის არქონის გამო;

დ) სამსახურის, სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის/ერთეულის ან პენიტენციური დაწესებულების ლიკვიდაციის/გაუქმების ან შტატების შემცირების გამო;

ე) სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწევის გამო;

ვ) მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო;

ზ) ერთჯერადად განზრახ ან გაუფრთხილებლობით სამსახურებრივი მოვალეობის ან/და მისთვის დაკისრებული სხვა მოვალეობის უხეშად დარღვევის გამო;

თ) ხანგრძლივი შრომისუუნაროობის გამო;

ი) სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;

კ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რომელიც შეუძლებელს ხდის მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას;

ლ) არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო;

მ) პირადი პატაკის საფუძველზე;

ნ) კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო;

ო) სერტიფიკატის განუახლებლობის გამო (სერტიფიკატის განახლების მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში);

პ) სასწავლო კურსის გავლაზე უარის თქმის გამო;

ჟ) სასწავლო კურსის ან პროფესიული გადამზადების კურსის არადამაკმაყოფილებლად გავლის გამო;

რ) საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილი ნივთიერების/ფსიქოტროპული ნივთიერების/ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარების (გარდა მკურნალობის მიზნით მოხმარებისა) ფაქტის დადასტურების შემთხვევაში;

ს) საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მოხმარების ფაქტის პერიოდულად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმებაზე უარის თქმის შემთხვევაში;

ტ) თანამდებობრივი შეუთავსებლობის გამო;

უ) კანონით პირდაპირ გათვალისწინებული სხვა საფუძვლით.

3. მოსამსახურე, რომელიც თვითნებურად, 5 სამუშაო დღეზე მეტი ხნით მიატოვებს სამსახურს, მისი მიტოვების მომდევნო სამუშაო დღიდან ჩაითვლება სამსახურიდან გათავისუფლებულად.

4. სამსახურიდან დათხოვნილი/გათავისუფლებული პირი ვალდებულია დააბრუნოს მისთვის სამსახურებრივი სარგებლობისთვის გადაცემული მატერიალური ფასეულობები.

5. თანამდებობიდან გათავისუფლებული მოსამსახურე შესაბამისი უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით:

ა) შტატების შემცირების დროს ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება;

ბ) სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის/ერთეულის ან პენიტენციური დაწესებულების ლიკვიდაციის/გაუქმების დროს;

გ) პირადი პატაკის საფუძველზე.

6. კადრების განკარგულებაში აყვანილ მოსამსახურეს შეიძლება დაეკისროს მოვალეობის დროებით შესრულება.

7. კადრების განკარგულებაში აყვანილი მოსამსახურე კადრების განკარგულებაში აყვანის დღიდან ითვლება მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო შეწყვეტის შესახებ გაფრთხილებულად.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 31. მოსამსახურის სამსახურში აღდგენა

1. სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი/გათავისუფლებული მოსამსახურე სამსახურში უნდა იქნეს აღდგენილი.

2. მოსამსახურის სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე აღდგენის საფუძველია სამსახურებრივი შემოწმების დასკვნა ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, აგრეთვე გამართლებული პირის განცხადება სამსახურში აღდგენის შესახებ.

3. სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილ/გათავისუფლებულ მოსამსახურეს უფლება აქვს, მოითხოვოს მისი სამსახურიდან დათხოვნის/გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, დათხოვნის/გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. მოსამსახურეს იძულებით გაცდენილი პერიოდისთვის ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წოდებრივი სარგო.

4. მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის/გათავისუფლების ან თანამდებობრივი გადაყვანის შესახებ ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ უკანონოდ ცნობის შემთხვევაში მოსამსახურე სამსახურში დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღდგენილი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი სამსახურში აღდგენაზე უარს ამბობს.

5. მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის/გათავისუფლების ან გადაყვანის შესახებ ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ ბათილად ცნობა არ იწვევს მოსამსახურის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნასთან/გათავისუფლებასთან ან თანამდებობრივ გადაყვანასთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს. მოსამსახურეს მის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ოდენობით ეძლევა მხოლოდ სამსახურში აღდგენის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

6. ამ კოდექსის შესაბამისად თანამდებობიდან გადაყენებული მოსამსახურე სამსახურში აღდგენილი უნდა იქნეს პირადი განცხადების საფუძველზე, სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის არსებობის შემთხვევაში.

7. მოსამსახურე სამსახურში აღდგენილი უნდა იქნეს ბოლოს დაკავებულ თანამდებობაზე ან მის ტოლფას თანამდებობაზე მისი თანხმობით.

## თავი VII

## პენიტენციური დაწესებულებები

### მუხლი 32. პენიტენციური დაწესებულება და მისი მართვა

1. პენიტენციური დაწესებულება არის დამოუკიდებელი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი და ფუნქციონირებს სამსახურის სისტემაში. პენიტენციური დაწესებულება მისთვის ამ კოდექსით განსაზღვრული ცალკეული ფუნქციების შესრულებისას არის ადმინისტრაციული ორგანო.

2. პენიტენციურ დაწესებულებას ქმნის და აუქმებს, აგრეთვე პენიტენციურ დაწესებულებაში განსათავსებელ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დასაშვებ მაქსიმალურ რაოდენობას განსაზღვრავს მინისტრი ბრძანებით.

3. პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილება, სტრუქტურა და მართვის წესი, აგრეთვე ამ კოდექსის 57-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა საკითხები განისაზღვრება პენიტენციური დაწესებულების დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

4. პენიტენციურ დაწესებულებას ხელმძღვანელობს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი. პენიტენციური დაწესებულების დირექტორს მინისტრთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის გენერალური დირექტორი.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

### მუხლი 33. პენიტენციური დაწესებულების სახეები

1. პენიტენციური დაწესებულების სახეებია:

ა) პატიმრობის დაწესებულება;

ბ) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;

გ) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება.

2. მინისტრი უფლებამოსილია შექმნას და გააუქმოს შერეული ტიპის პენიტენციური დაწესებულება.

3. პატიმრობის დაწესებულება არის დახურული, განსაკუთრებულად დაცული, სასაკნე ტიპის დაწესებულება, რომლის მიზანია ბრალდებულის იზოლაცია აღკვეთის ღონისძიების აღსრულების უზრუნველსაყოფად.

4. პატიმრობის დაწესებულებაში განთავსებული არიან ბრალდებულები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა ან/და შერეული ტიპის პენიტენციური დაწესებულების არსებობის შემთხვევისა. შერეული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულები იზოლირებული უნდა იყვნენ მსჯავრდებულებისგან სულ მცირე ერთმანეთისგან განცალკევებული საცხოვრებელი ფართობებით.

5. პატიმრობის დაწესებულებაში ბრალდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საკნებში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი ამ კოდექსის 58-ე მუხლის შესაბამისად.

6. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სასჯელების აღსრულების დაწესებულება.

7. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებია:

ა) გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;

ბ) დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;

გ) ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;

დ) დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;

ე) განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;

ვ) ქალთა სპეციალური დაწესებულება;

ზ) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება.

8. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება უზრუნველყოფს ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას, პროფილაქტიკას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ პირობებში.

## თავი VIII

## თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები

### მუხლი 34. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება

1. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა.

2. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი ამ კოდექსის 58-ე მუხლის შესაბამისად.

3. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს უფლება აქვს, დამოუკიდებლად, დადგენილი წესით გადაადგილდეს დაწესებულების ტერიტორიაზე.

4. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს უფლება აქვს, სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირობებითა და ვადით დატოვოს დაწესებულების ტერიტორია.

5. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთა აღსრულდება ამ კოდექსის შესაბამისად, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის მოთავსების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

7. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეიძლება მოთავსდეს საშიშროების დაბალი ან საშუალო რისკის მსჯავრდებული, რომლის მიერ ფაქტობრივად მოსახდელი სასჯელის ვადა 1 წელს არ აღემატება. დაუშვებელია გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მოთავსება.

8. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებული

თავსდება მისი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით. წერილობით თანხმობაში მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ თანახმაა, შეასრულოს გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისთვის დადგენილი ვალდებულებები, აგრეთვე ისწავლოს ან/და იმუშაოს და მონაწილეობა მიიღოს ამ დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში.

9. სამსახურის გენერალური დირექტორი ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნულ თვისებებს, დანაშაულის ჩადენის მოტივს, დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგს, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევას, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გაქცევის რისკს, აგრეთვე იმ საფრთხეს, რომელიც მსჯავრდებულმა შეიძლება შეუქმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას.

10. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულზე ამ დაწესებულების ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით ვრცელდება საშიშროების შესაბამისი რისკის მსჯავრდებულისთვის დადგენილი უფლებები და მოვალეობები.

11. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეიძლება მოთავსდეს აგრეთვე ქალი მსჯავრდებული. მასზე დამატებით ვრცელდება ამ კოდექსის 39-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული უფლებები.

12. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება მიეცეს უფლება, დატოვოს ეს დაწესებულება ერთ-ერთი შემდეგი პირობითა და ვადით:

ა) გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ სწავლის ან/და მუშაობის შემთხვევაში, სასწავლო ან/და სამუშაო გრაფიკის შესაბამისად;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენებისა და უქმე დღეებში;

გ) დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, 1 კვირის განმავლობაში არაუმეტეს 3 დღე-ღამისა.

13. ამ მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის დაგვიანებით გამოცხადება ან გამოუცხადებლობა იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაგვიანებით გამოცხადების ან გამოუცხადებლობის მიზეზია ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:

ა) მსჯავრდებულის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეუძლებელს ხდის მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, რასაც ადასტურებს ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა;

ბ) მსჯავრდებულის მიერ დადგენილი რეჟიმის დარღვევა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) არსებობის დროს, კერძოდ, სტიქიური უბედურების, ავარიის, ხანძრის, მასობრივი არეულობის, სამხედრო მოქმედების, კარანტინის ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში ან/და სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც ობიექტურად შეუძლებელს ხდის გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოცხადებას, რასაც ადასტურებს შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი.

14. მსჯავრდებულს, რომელმაც ამ მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად დატოვა გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, ეკრძალება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა.

15. ამ მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.

16. თუ მსჯავრდებული არ ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, არღვევს გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულებით დადგენილ მოთხოვნას ან/და თუ მან ამ დაწესებულებაში ქცევა მკვეთრად უარყოფითად შეიცვალა, დაწესებულების დირექტორი სამსახურის გენერალურ დირექტორს მიმართავს შუამდგომლობით მსჯავრდებულის სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ.

## მუხლი 35. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება

1. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა.

2. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი ამ კოდექსის 58-ე მუხლის შესაბამისად.

3. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელს იხდის, როგორც წესი, მსჯავრდებული, რომლის პიროვნული თვისებები, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ საფრთხე, რომელიც მან შეიძლება შეუქმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას ან გარშემომყოფებს, აგრეთვე საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცავი ორგანოების უსაფრთხოებას, დაბალია.

4. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებული თავსდება მისი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. წერილობით თანხმობაში მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ თანახმაა, შეასრულოს დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისთვის დადგენილი ვალდებულებები, აგრეთვე ისწავლოს ან/და იმუშაოს და მონაწილეობა მიიღოს ამ დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის მოთავსების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

5. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს უფლება აქვს, დამოუკიდებლად, ამ დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით გადაადგილდეს დაწესებულების ტერიტორიაზე.

6. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულისთვის სწავლა ან/და მუშაობა და ამ დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში მონაწილეობა სავალდებულოა.

## მუხლი 36. ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება

1. ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა.

2. ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი ამ კოდექსის 58-ე მუხლის შესაბამისად.

3. ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს უფლება აქვს, დამოუკიდებლად, დადგენილი წესით გადაადგილდეს დაწესებულების ტერიტორიაზე.

4. ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელს იხდიან, როგორც წესი: პირი, რომელიც მსჯავრდებულია ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის და რომლისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 10 წელს არ აღემატება; მსჯავრდებული, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით გადმოყვანილია სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან; ქალი, რომელსაც სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთა აქვს დანიშნული.

5. ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეიძლება მოთავსდეს აგრეთვე სხვა მსჯავრდებული რისკის ფაქტორის გათვალისწინებით.

## მუხლი 37. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება

1. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სასიგნალიზაციო სისტემით აღჭურვილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა.

2. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საკნებში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი ამ კოდექსის 58-ე მუხლის შესაბამისად.

3. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელს იხდიან, როგორც წესი: პირი, რომელიც პირველად არის მსჯავრდებული განზრახი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის და რომელსაც სასამართლომ დაუნიშნა 10 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა; განზრახი დანაშაულისთვის არაერთგზის ნასამართლევი პირი, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირი და ადრე ნასამართლევი პირი, რომლებსაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდათ დანიშნული; მსჯავრდებული, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით გადმოყვანილია სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან.

4. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეიძლება მოთავსდეს აგრეთვე სხვა მსჯავრდებული რისკის ფაქტორის გათვალისწინებით.

## მუხლი 38. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება

1. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სასიგნალიზაციო სისტემით აღჭურვილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც მიღებულია უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები და უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა.

2. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები, როგორც წესი, განთავსებული არიან სპეციალურ, ერთადგილიან ან ორადგილიან საკნებში, სადაც მუდმივად ხორციელდება ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. აუდიოსაშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი შეიძლება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. მსჯავრდებულის ერთადგილიან საკანში ან ორადგილიან საკანში განცალკევებით მოთავსების წინაპირობები და წესი განისაზღვრება განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულებით.

3. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთა აღსრულდება ამ კოდექსის შესაბამისად, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად თავსდება საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებული, რომლის პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას ან გარშემომყოფებს, აგრეთვე საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცავი ორგანოების უსაფრთხოებას.

5. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული არ სარგებლობს:

ა) შრომითი უზრუნველყოფის უფლებით;

ბ) განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლებით;

გ) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით.

6. ამ კოდექსის 115-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული პირის მიერ მსჯავრდებულის სახელზე გაგზავნილი კორესპონდენცია მოწმდება იმავე მუხლის მე-7 ნაწილით დადგენილი წესით.

7. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს უფლება აქვს, ამ დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით მიიღოს გზავნილი.

## მუხლი 39. ქალთა სპეციალური დაწესებულება

1. ქალთა სპეციალური დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა.

2. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მოთავსებული არიან ქალი მსჯავრდებულები, მათ შორის, არასრულწლოვანები.

3. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მსჯავრდებულები, როგორც წესი, განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი ამ კოდექსის 58-ე მუხლის შესაბამისად.

4. ქალთა სპეციალური დაწესებულება, როგორც წესი, გათანაბრებულია ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასთან, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მსჯავრდებული შეიძლება განთავსდეს რისკის შესაბამისად, ამ დაწესებულების ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით.

5. საჭიროების შემთხვევაში ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ეწყობა სპეციალური განყოფილება ორსული ქალებისა და ბავშვებისთვის. დედის შუამდგომლობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვითა და ამ დაწესებულების დირექტორის თანხმობით შესაძლებელია დედისა და 3 წლამდე ბავშვის ერთად ცხოვრება. ქალთა სპეციალური დაწესებულება ვალდებულია შექმნას შესაბამისი პირობები.

6. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მყოფი 3 წლამდე ბავშვის კვებას, მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევას და შესაბამის სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებს უზრუნველყოფს სამსახური. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მყოფი 3 წლამდე ბავშვის კვების ნორმები და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები განისაზღვრება მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

7. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, რომლის 3 წელს მიღწეულმა შვილმა დატოვა დაწესებულება, უფლება აქვს, სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, შვილთან ურთიერთობის მიზნით, მის მიერ დაწესებულების დატოვებიდან 1 წლის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენებისა და უქმე დღეებში დატოვოს დაწესებულება. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის მიერ დასვენებისა და უქმე დღეებში ქალთა სპეციალური დაწესებულების დატოვების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით. სამსახურის გენერალური დირექტორი აღნიშნული საკითხის განხილვისას ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნულ თვისებებს, მისგან მომდინარე საზოგადოებრივ საშიშროებას, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს, დანაშაულის ხასიათს, მოტივს, მიზანს, დამდგარ შედეგს, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს, სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევასა და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებაზე.

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის დაგვიანებით გამოცხადება ან გამოუცხადებლობა იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაგვიანებით

გამოცხადების ან გამოუცხადებლობის მიზეზია ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:

ა) მსჯავრდებულის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეუძლებელს ხდის მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, რასაც ადასტურებს ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა;

ბ) მსჯავრდებულის მიერ დადგენილი რეჟიმის დარღვევა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) არსებობის დროს, კერძოდ, სტიქიური უბედურების, ავარიის, ხანძრის, მასობრივი არეულობის, სამხედრო მოქმედების, კარანტინის ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში ან/და სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც ობიექტურად შეუძლებელს ხდის ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში გამოცხადებას, რასაც ადასტურებს შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი.

9. მსჯავრდებულს, რომელმაც ამ მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად დატოვა ქალთა სპეციალური დაწესებულება, ეკრძალება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა.

10. თუ ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მსჯავრდებული სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას, მათ არაჯეროვნად ასრულებს, ბოროტად იყენებს მშობლის უფლებებს, ქალთა სპეციალური დაწესებულების დირექტორი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შესაბამისი რეაგირებისთვის.

11. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს უფლება აქვს, დამოუკიდებლად, ამ დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით გადაადგილდეს დაწესებულების ტერიტორიაზე.

12. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში დედასთან ერთად მცხოვრები ბავშვის მიერ 3 წლის მიღწევის გამო დაწესებულების დატოვების წესი განისაზღვრება მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

13. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ქალთა სპეციალური დაწესებულების დატოვების ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.

### მუხლი 40. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება არის არასრულწლოვანების განსაკუთრებული საჭიროებების შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და პერსონალით უზრუნველყოფილი, განსაკუთრებულად დაცული დაწესებულება, რომელშიც მოთავსებული არიან თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული არასრულწლოვანები და უზრუნველყოფილია მათი მუდმივი მეთვალყურეობა.

## წიგნი II

## პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება

## თავი IX

## პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების საფუძვლები, ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის წარმოება

### მუხლი 41. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსების საფუძველი

1. ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებაში მოსათავსებლად აუცილებელია პირისთვის აღკვეთის

ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება, ბრალდებულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტი ფოტოსურათით, აგრეთვე დაკავების ოქმი, თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია დაკავების ოქმის შედგენა.

2. მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსათავსებლად აუცილებელია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, მსჯავრდებულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტი ფოტოსურათით, აგრეთვე დაკავების ოქმი, თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია დაკავების ოქმის შედგენა.

## მუხლი 41[1]. უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულისთვის ან მსჯავრდებულისთვის ინფორმაციის მიწოდება

1. უცხოელ ან მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულს ან მსჯავრდებულს (გარდა განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, აგრეთვე ოჯახური დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირისა) პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებისთანავე, არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა, პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილი პირი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით, მისთვის გასაგებ ენაზე ან იმ ენაზე, რომელიც მას ესმის, როგორც ეს შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს, აწვდის ინფორმაციას:

ა) სასჯელის მოხდის შემდეგ ან სასჯელის მოხდისგან ნებისმიერი სხვა საფუძვლით გათავისუფლების შემდეგ საქართველოდან მისი შესაძლო გაძევების შესახებ;

ბ) საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლებისა და ამ უფლების რეალიზების ვადის შესახებ;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემთხვევაში 5 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტში გამოცხადების, მობილური ტელეფონის ნომრის, აგრეთვე ელექტრონული ფოსტის მისამართისა და საცხოვრებელი ადგილის მისამართის (მისი არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებისა და ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგების შესახებ.

2. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული შესაბამისი უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულისთვის ან მსჯავრდებულისთვის საქართველოდან მისი შესაძლო გაძევების, აგრეთვე საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის განმარტების წესი და ფორმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პენიტენციურ დაწესებულებას შორის ინფორმაციის გაცვლის წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

*საქართველოს 2025 წლის 26 ივნისის კანონი №878 – ვებგვერდი, 07.07.2025წ.*

## მუხლი 42. შეტყობინება ბრალდებულის/მსჯავრდებულის პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ადგილზე მიღების შესახებ

1. პატიმრობის დაწესებულება ვალდებულია ბრალდებულის პატიმრობის აღსრულების ადგილზე მიღების შესახებ დაუყოვნებლივ ან მისი მიღებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა აცნობოს გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს და ბრალდებულის ახლო ნათესავს, აგრეთვე ბრალდებულის თხოვნით – სხვა პირს ან/და ბრალდებულის ადვოკატს.

2. პატიმრობის დაწესებულებაში ბრალდებულის მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა ბრალდებულის შესახებ ინფორმაცია ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

3. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება ვალდებულია მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ადგილზე მიღების შესახებ დაუყოვნებლივ ან მისი მიღებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა აცნობოს შესაბამისი განაჩენის გამომტან სასამართლოს და მსჯავრდებულის ახლო ნათესავს, აგრეთვე მსჯავრდებულის თხოვნით – სხვა პირს ან/და მსჯავრდებულის ადვოკატს.

## მუხლი 43. ბრალდებულთა რეესტრი/მსჯავრდებულთა რეესტრი

ბრალდებული, რომელიც პატიმრობის დაწესებულებაში მიიღება ამ კოდექსის შესაბამისად, აღირიცხება ბრალდებულთა რეესტრში, ხოლო მსჯავრდებული, რომელიც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაიგზავნება ამავე კოდექსის შესაბამისად, – მსჯავრდებულთა რეესტრში. ბრალდებულთა რეესტრი/მსჯავრდებულთა რეესტრი შეიძლება იწარმოებოდეს ელექტრონული ფორმით, მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით.

## მუხლი 43[1]. ბრალდებულისგან/მსჯავრდებულისგან ბიოლოგიური ნიმუშის აღება

1. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისას პენიტენციური დაწესებულება უზრუნველყოფს მისგან ბიოლოგიური ნიმუშის აღებას „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ბრალდებულის/მსჯავრდებულის ბიოლოგიური ნიმუში მისი გენეტიკური პროფილის განსაზღვრისა და დნმ-ის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნით, აღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

3. ამ მუხლით დადგენილი წესი არ ვრცელდება იმ ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე, რომლის გენეტიკური პროფილი რეგისტრირებულია დნმ-ის მონაცემთა ბაზაში.

*საქართველოს 2025 წლის 4 მარტის კანონი №342 – ვებგვერდი, 06.03.2025წ.*

## მუხლი 44. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმე

1. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმე დგება მისი პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებიდან მის გათავისუფლებამდე. ბრალდებულის/მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდეგ მისი პირადი საქმე სამსახურის არქივში ინახება. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის წარმოების წესს, ამ საქმისთვის დასართავი დოკუმენტების ჩამონათვალსა და საქმის სამსახურის არქივში შენახვის ვადას განსაზღვრავს მინისტრი.

2. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად საქმეში უნდა იყოს მონაცემები მისი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

3. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის შევსების კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

4. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანისას მისი პირადი საქმე შესაბამის დაწესებულებას ეგზავნება.

5. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, გაეცნოს თავის პირად საქმეს. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის გაცნობის უფლება აქვს აგრეთვე სპეციალურად უფლებამოსილ პირს. სპეციალურად უფლებამოსილ პირთა ნუსხას ამტკიცებს მინისტრი.

# თავი X

# პატიმრობის აღსრულება

## მუხლი 45. პატიმრობის აღსრულების ადგილი

პირი, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა, თავსდება პატიმრობის დაწესებულებაში.

## მუხლი 46. ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის პირობები

1. პატიმრობის დაწესებულებაში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

2. პატიმრობის დაწესებულებაში მიღებული პირი საკანში თავსდება.

3. ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული პირები პენიტენციურ დაწესებულებაში ცალ-ცალკე თავსდებიან. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია მიიღოს ზომები მათი ერთმანეთთან ურთიერთობის დაუშვებლობის უზრუნველსაყოფად. ეს წესი გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე სხვა ბრალდებულებზე.

## მუხლი 47. ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებაში მიღების წესი

1. ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებაში მიღებისას სავალდებულოა მისი ფოტოგრაფირება და დაქტილოსკოპირება. პატიმრობის დაწესებულებაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ბრალდებულის დაქტილოსკოპირება განხორციელდეს ელექტრონული მოწყობილობით და სათანადო მონაცემები აისახოს ელექტრონულ არქივში. ფოტოსურათები და მათი ნეგატივები, აგრეთვე დაქტილოსკოპიური ბარათი და ბრალდებულის სიტყვიერი პორტრეტი ინახება ბრალდებულის პირად საქმეში, რომელიც მისი მსჯავრდების შემთხვევაში გადაეგზავნება შესაბამის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას.

2. ბრალდებულის დაქტილოსკოპიურ ბარათსა და ფოტოსურათის ელექტრონულ ვერსიას პატიმრობის დაწესებულება დაქტილოსკოპირებიდან და ფოტოგრაფირებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

3. ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებაში მიღებისას ბრალდებული და მისი პირადი ნივთები საგულდაგულოდ მოწმდება და ამის შესახებ დგება შესაბამისი აქტი. ბრალდებულის შემოწმებას ახორციელებს პატიმრობის დაწესებულების იმავე სქესის თანამშრომელი.

4. პატიმრობის დაწესებულებაში მიღებისას ბრალდებულმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება. მას ახორციელებს პატიმრობის დაწესებულების ექიმი. ბრალდებულის სამედიცინო შემოწმების შესახებ დგება შესაბამისი ცნობა. ბრალდებულის სხეულზე დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში პატიმრობის დაწესებულების ექიმი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ, ამ კოდექსის 139-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ბრძანებით დადგენილი წესით აცნობოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.

5. ბრალდებულს დაუყოვნებლივ, წერილობით, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა გააცნონ მისი უფლებები და მოვალეობები, მის მიმართ მოსამსახურეთა მოპყრობის წესები, მის მიერ ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესები, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და სახეები, დისციპლინური სამართალწარმოების წესები, აგრეთვე მის მიმართ წაყენებული სხვა მოთხოვნები.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 48. ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებიდან გაყვანა და გადაყვანა

1. ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებიდან გაყვანისა და გადაყვანის წესს განსაზღვრავს მინისტრი.

2. თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის $191^1$ მუხლით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას მოსამართლის განჩინებით სამსახურის გენერალურ დირექტორს დაევალება შესაბამისი ბრალდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი განსაკუთრებული ზომების მიღება, ამ ბრალდებულის სხვა პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის გენერალური დირექტორი, თუ აღნიშნული ღონისძიების გამოყენება აუცილებელია ბრალდებულის უსაფრთხოებისთვის.

3. ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებიდან გადაყვანისას მისი მიმღები პატიმრობის დაწესებულება ვალდებულია ამის თაობაზე დაუყოვნებლივ ან მისი მიღებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა აცნობოს გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს და ბრალდებულის ახლო ნათესავს, აგრეთვე ბრალდებულის თხოვნით – სხვა პირს ან/და ბრალდებულის ადვოკატს მის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში.

4. ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებიდან გაყვანის ან გადაყვანის შემთხვევაში პატიმრობის დაწესებულების ექიმი ახორციელებს ბრალდებულის სამედიცინო შემოწმებას. ბრალდებულის სამედიცინო შემოწმების შესახებ დგება შესაბამისი სამედიცინო ცნობა.

### მუხლი 49. ბრალდებულის პაემანი

ბრალდებულს აქვს ხანმოკლე პაემნის უფლება და ხანგრძლივი პაემნის უფლება, რომლებიც ხორციელდება ამ კოდექსის 120-ე და 122-ე მუხლებით დადგენილი წესით.

### მუხლი 50. ბრალდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვება

1. გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს, გასცეს ნებართვა ბრალდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დროებით, 2 დღე-ღამემდე ვადით დატოვებაზე, თუ მიღებულია სარწმუნო ცნობა ბრალდებულის ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისთვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე, ან სხვა განსაკუთრებულ, პირად გარემოებასთან დაკავშირებით, ან თუ აუცილებელია ბრალდებულის საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობა. ბრალდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2. ბრალდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების წესს განსაზღვრავს მინისტრი.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

### მუხლი 51. ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებაში ყოფნის პირობები

1. ბრალდებული პატიმრობის დაწესებულებაში ყოფნისას სარგებლობს:

ა) ამ კოდექსის 94-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული უფლებებით;

ბ) უფლებით, პენიტენციური დაწესებულების კონტროლითა და საკუთარი ხარჯით აწარმოოს მიმოწერა და ჰქონდეს სატელეფონო საუბარი ამ კოდექსის 115-ე და 116-ე მუხლებით დადგენილი წესით.

2. ბრალდებულის თანხმობით მასთან ტარდება სარეაბილიტაციო მუშაობა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით. ბრალდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამებზე ვრცელდება ამ კოდექსის 136-ე და 137-ე მუხლები ბრალდებულის სტატუსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

3. ბრალდებული პატიმრობის დაწესებულებიდან თავისუფლდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

## თავი XI

## თავისუფლების აღკვეთის აღსრულება

### მუხლი 52. თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ადგილი

1. მსჯავრდებული სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული

შემთხვევებისა.

2. მსჯავრდებულისთვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტიპს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრავს სამსახურის გენერალური დირექტორი.

3. მსჯავრდებული, როგორც წესი, სასჯელს იხდის მის ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მსჯავრდებული სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში შემდეგ შემთხვევებში:

ა) მსჯავრდებულის საშიშროების რისკის (შემდგომ – რისკი) გათვალისწინებით ან მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მოსამზადებლად;

ბ) მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დებულების სისტემატურად დარღვევისას;

გ) მსჯავრდებულისა და სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

დ) პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

ე) მსჯავრდებულის ავადმყოფობისას;

ვ) პენიტენციური დაწესებულების რეორგანიზაციისას;

ზ) პენიტენციური დაწესებულების ლიკვიდაციისას;

თ) პენიტენციური დაწესებულების გადატვირთულობისას;

ი) ამ კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას;

კ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის $191^1$ მუხლით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, თუ მოსამართლის განჩინებით სამსახურის გენერალურ დირექტორს დაევალება შესაბამისი მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი განსაკუთრებული ზომების მიღება და ამ ღონისძიების გამოყენება აუცილებელია მსჯავრდებულის უსაფრთხოებისთვის;

ლ) მსჯავრდებულის თანხმობის არსებობისას;

მ) სხვა მნიშვნელოვანი, დასაბუთებული გარემოების არსებობისას.

5. მსჯავრდებულის რისკის შეფასებასა და პერიოდულ გადაფასებას უზრუნველყოფს რისკის შეფასების გუნდი (შემდგომ – გუნდი). მსჯავრდებულის რისკის სახეები, რისკის შეფასების კრიტერიუმები, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესი, მსჯავრდებულის სხვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესი, აგრეთვე გუნდის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

6. გუნდის საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ უზრუნველყოფას ახორციელებს სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაამუშაოს და შეინახოს მსჯავრდებულთა პერსონალური მონაცემები (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები) რისკის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად.

7. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით მსჯავრდებულის სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანისას მასზე ვრცელდება საშიშროების შესაბამისი რისკის მსჯავრდებულისთვის დადგენილი წესები, რომელთა დაცვაც შესაძლებელია აღნიშნულ პენიტენციურ

დაწესებულებაში.

8. ამ მუხლის მე-4 ნაწილის „გ“–„მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანილი მსჯავრდებული შესაბამისი საფუძვლის აღმოფხვრისთანავე შეიძლება დაბრუნებულ იქნეს იმ პენიტენციურ დაწესებულებაში, რომლიდანაც გადაიყვანეს.

## მუხლი 53. მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად გაგზავნა

1. სასამართლოს მიერ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა სამსახურის გენერალური დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა მოიხადოს მსჯავრდებულმა სასჯელი.

2. სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი უზრუნველყოფს მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად გაგზავნას სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად მიღებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ვალდებულია გუნდს მსჯავრდებულის რისკის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგინოს სათანადო ინფორმაცია.

4. სამსახურის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია მსჯავრდებული, რომელმაც პენიტენციურ დაწესებულებაში ქცევა (დამოკიდებულება) მკვეთრად უარყოფითად შეიცვალა ან/და რომლის აღნიშნულ პენიტენციურ დაწესებულებაში დატოვება გაუმართლებელია, დროებით, არაუმეტეს 20 სამუშაო დღისა, გადაიყვანოს დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის რისკის გადასაფასებლად. აღნიშნულ ვადაში გუნდი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მსჯავრდებულის რისკის გადაფასებას. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულზე ვრცელდება დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულისთვის დადგენილი უფლებები და მოვალეობები.

5. მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 54. მსჯავრდებულის პატიმრობის დაწესებულებაში დატოვება

1. მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხდა განესაზღვრა, მისი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით შეიძლება დატოვებულ იქნეს პატიმრობის დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულზე ვრცელდება უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია იმ ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისთვის, სადაც იგი რისკის გათვალისწინებით განთავსდებოდა, და რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია პატიმრობის დაწესებულებაში. პატიმრობის დაწესებულების ტერიტორიაზე მსჯავრდებულის გადაადგილების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

2. სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მსჯავრდებულის პატიმრობის დაწესებულებაში დატოვება ფორმდება ამ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

## მუხლი 55. მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღების წესი

1. მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღებას უზრუნველყოფს/უზრუნველყოფენ ამ დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურე/მოსამსახურეები აღნიშნული დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით.

2. მსჯავრდებულს დაუყოვნებლივ, წერილობით, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა გააცნონ მისი

უფლებები და მოვალეობები, მის მიმართ მოსამსახურეთა მოპყრობის წესები, მის მიერ ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესები, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და სახეები, დისციპლინური სამართალწარმოების წესები, აგრეთვე მის მიმართ წაყენებული სხვა მოთხოვნები.

### მუხლი 56. მსჯავრდებულთა განცალკევებით მოთავსება

1. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც წესი, განცალკევებით თავსდებიან:

ა) ქალები;

ბ) არასრულწლოვანები;

გ) პირველად მსჯავრდებული პირები;

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $143^1$ ან/და $143^2$ მუხლით/მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე/დანაშაულებზე დაზარალებულად ცნობილი პირები;

ე) პირები, რომელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მათი წარსული სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, შეიძლება საფრთხე შეექმნას;

ვ) განსაკუთრებით საშიში პირები, რომელთა პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასა და გარშემომყოფთ.

2. პენიტენციური დაწესებულების სამკურნალო განყოფილებაში განცალკევებით თავსდებიან არამართვადი ინფექციური დაავადების მქონე პირები.

3. მინისტრმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიძლება დააწესოს მსჯავრდებულთა განცალკევებით მოთავსების სხვა წესი.

## თავი XII

## პენიტენციური დაწესებულების ფუნქციონირება. პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოება

### მუხლი 57. პენიტენციური დაწესებულების დებულება. პენიტენციური დაწესებულების დღის განრიგი და სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზება

1. პენიტენციური დაწესებულების დებულებით გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

ა) ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში მიღების წესი;

ბ) პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განაწილების წესი;

გ) ამ კოდექსით დადგენილი წესით სხვადასხვა კატეგორიის ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განცალკევებით მოთავსება;

დ) პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლის წესი;

ე) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა იზოლაცია და დაცვა;

ვ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მუდმივი ზედამხედველობა;

ზ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება;

თ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;

ი) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა პირადი უსაფრთხოების დაცვა;

კ) მუშაობისა და დასვენების დროს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ქცევის წესები;

ლ) იმ სამუშაოებისა და თანამდებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც მსჯავრდებულის დასაქმება აკრძალულია;

მ) იმ ინდივიდუალური საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებსაც შეიძლება ახორციელებდეს ბრალდებული/მსჯავრდებული;

ნ) იმ საგნებისა და ნივთების ჩამონათვალი და რაოდენობა, რომლებიც შეიძლება იქონიოს ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა;

ო) იმ კვების პროდუქტების, პირველადი მოხმარების საგნების, ჰიგიენური საშუალებების, სხვა ნივთებისა და საგნების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება შეიძინოს ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში;

პ) იმ კვების პროდუქტების, ნივთების, ნაკეთობების, ნივთიერებებისა და დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელთა შეძენა, შენახვა, ტარება, მოხმარება ან/და რომლებით სარგებლობაც ეკრძალება ბრალდებულს/მსჯავრდებულს და იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას;

ჟ) იმ საგნების ამოღების წესი, რომელთა გამოყენებაც ეკრძალება ბრალდებულს/მსჯავრდებულს;

რ) ჩხრეკისა და შემოწმების ჩატარების წესები;

ს) პაემნების მოწყობის, კორესპონდენციისა და ამანათის მიღება-ჩაბარების წესები.

2. პენიტენციური დაწესებულების დებულების დასაცავად პენიტენციურ დაწესებულებაში შეიძლება განხორციელდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის და მისი მოთავსების ადგილის ჩხრეკა, აგრეთვე ბრალდებულის/მსჯავრდებულის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ნივთების შემოწმება. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად ჩხრეკას ახორციელებს პენიტენციური დაწესებულების იმავე სქესის თანამშრომელი.

3. სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი ვალდებულია შეამოწმოს იმ პირთა ნივთები, ტანსაცმელი და სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც პენიტენციურ დაწესებულებაში შედიან ან ამ დაწესებულებიდან გადიან.

4. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისას მისთვის მისვლისთანავე ჩამორთმეული ფული ან სხვა ფასეულობა მის გათავისუფლებამდე შესანახად ამ დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით გადაეცემა პენიტენციურ დაწესებულებას.

5. პენიტენციურ დაწესებულებაში იმ კვების პროდუქტების, ნივთების, ნაკეთობების, ნივთიერებებისა და დოკუმენტების შეტანის წესი, რომელთა შეძენა, შენახვა, ტარება, მოხმარება ან/და რომლებით სარგებლობაც ეკრძალება ბრალდებულს/მსჯავრდებულს და იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

6. სამსახურის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია პენიტენციური დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისთვის ან/და სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ბრძანებით დადგენილი წესით გასცეს სპეციალური წერილობითი ნებართვა პენიტენციურ დაწესებულებაში იმ კვების პროდუქტების, ნივთების, ნაკეთობების, ნივთიერებებისა და დოკუმენტების შეტანაზე, რომელთა შეძენა, შენახვა, ტარება, მოხმარება ან/და რომლებით სარგებლობაც ეკრძალება ბრალდებულს/მსჯავრდებულს და იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

7. პენიტენციური დაწესებულების დღის განრიგს ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი.

8. პენიტენციურ დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 58. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი

1. დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, სხვა დანაშაულისა და სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო-, ვიდეოსაშუალებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებით. სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა.

2. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია გააფრთხილოს ბრალდებული/მსჯავრდებული მის მიმართ ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის ან/და აუდიო-, ვიდეოჩაწერის განხორციელების შესახებ, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ მეთვალყურეობის განხორციელების შესახებ ბრძანებას გააცნობენ ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რასაც იგი ხელმოწერით ადასტურებს. თუ ბრალდებული/მსჯავრდებული ხელმოწერაზე უარს აცხადებს, კეთდება სათანადო ჩანაწერი.

4. ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და მიზნის პროპორციული უნდა იყოს.

5. დაუშვებელია ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელება საერთო სარგებლობის საშხაპეში, საერთო სარგებლობის საპირფარეშოსა და ხანგრძლივი პაემნისთვის განკუთვნილ ოთახში, გარდა მეთვალყურეობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში განხორციელებისა. საერთო სარგებლობის საპირფარეშოში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების თავიდან ასაცილებლად.

6. სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი უფლებამოსილია ბრალდებულის/მსჯავრდებულის ამ კოდექსის 69-ე მუხლის პირველი ნაწილითა და მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა პირთან შეხვედრას, გარდა ამ კოდექსის 69-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, დააკვირდეს ვიზუალურად, ტექნიკური საშუალებით დისტანციური დაკვირვებისა და ჩაწერის პირობებში, მაგრამ მოსმენის გარეშე.

7. პენიტენციურ დაწესებულებაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელების შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია თვალსაჩინო ადგილზე განათავსოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოების აღმოფხვრისთანავე

პენიტენციური დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შეწყვეტის შესახებ. დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის მის დასასჯელად განხორციელება.

9. ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელებისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენის დაფიქსირების შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი მასალის დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მტკიცებულებად გამოყენების მიზნით დაარქივების შესახებ. დაარქივებული მასალა ინახება დისციპლინური სამართალწარმოების დასრულებიდან არაუმეტეს 1 თვის ვადით, ხოლო დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში – სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს 1 თვის ვადით.

10. ამ მუხლის შესაბამისად დაარქივებულ მასალას ბრალდებული/მსჯავრდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეცნობა პენიტენციურ დაწესებულებაში. აღნიშნული მასალა ბრალდებულს/მსჯავრდებულს ან/და მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს შეიძლება გადაეცეს მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან/და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

11. ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესს განსაზღვრავს მინისტრი.

**მუხლი 59. პენიტენციურ დაწესებულებაში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება**

1. პენიტენციურ დაწესებულებაში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს პენიტენციურ დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის ან/და სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ოპერატიულ-სამძებრო უზრუნველყოფის ფარგლებში.

2. პენიტენციურ დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა არის პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოების დაცვის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციის (მონაცემების) შეგროვება, დამუშავება და ანალიზი ერთ-ერთი შემდეგი მიზნით:

ა) პენიტენციურ დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის თავიდან აცილება და გამოვლენა;

ბ) კრიმინალური კავშირებისა და გავლენების იდენტიფიკაცია და შეფასება;

გ) სხვა ტიპის ისეთი შიდა რისკებისა და საფრთხეების იდენტიფიკაცია და შეფასება, რომლებმაც შეიძლება უშუალო საშიშროება შეუქმნას მოსამსახურის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირის უსაფრთხოებას, პენიტენციურ დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის ან/და უსაფრთხოების დაცვას და ამით არსებითად დაარღვიოს პენიტენციური დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირება.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ახორციელებენ სამსახურის ოპერატიული დანაყოფები.

4. პენიტენციურ დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის ფარგლებში სამსახურის ოპერატიული დანაყოფი უფლებამოსილია პენიტენციურ დაწესებულებაში ინფორმაცია (მონაცემები) მოიპოვოს ღია და ფარული წყაროებიდან, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „ე“–„ზ“ და „კ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების შედეგად. ამასთანავე, იმავე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება უნდა განხორციელდეს ამ კოდექსით დადგენილი წესით.

5. პენიტენციურ დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის დაწყების საფუძველია სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანება. ეს ბრძანება გამოიცემა განსაკუთრებულ

შემთხვევაში, სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის ან/და პენიტენციური დაწესებულების დირექტორის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს სათანადო საქმიანობის განხორციელების საჭიროება, მიზანი და ფარგლები.

6. სამსახურის ოპერატიული დანაყოფის მიერ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მიზნით მოპოვებულ ინფორმაციაში (მონაცემებში) შესაძლო დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი ამის შესახებ დაუყოვნებლივ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ატყობინებს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს, ხოლო სამსახურებრივი გადაცდომის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში – სამსახურის შიდა კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

7. სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი და პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების დანაყოფი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებენ გამოძიების ოპერატიულ და ოპერატიულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას პენიტენციური დაწესებულების ფარგლებში.

8. პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებულ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობა და სასამართლო კონტროლი.

9. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მიზნით მოპოვებული ინფორმაციის (მონაცემების) დამუშავების, შენახვის, გაცნობისა და განადგურების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

10. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ფარგლებში სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის ინფორმაციის გაცვლის წესი განისაზღვრება მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

### მუხლი 60. პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის გამოძიება

1. პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის გამოძიება ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

2. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულად ცნობილი პირი გადაყვანილი იქნება პატიმრობის დაწესებულებაში.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანილ მსჯავრდებულზე აღნიშნული დაწესებულების ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით ვრცელდება საშიშროების შესაბამისი რისკის მსჯავრდებულისთვის დადგენილი უფლებები და მოვალეობები/პირობები. გამომძიებლის/პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიძლება მსჯავრდებულს შეეზღუდოს პაემნის, სატელეფონო საუბრისა და მიმოწერის უფლებები.

### მუხლი 61. პენიტენციური დაწესებულების დაცვა

1. პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების, აგრეთვე მისი გარე პერიმეტრის (მათ შორის, პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალული ზოლის) დაცვას უზრუნველყოფს სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი. მისი უფლებამოსილება არ ვრცელდება პენიტენციური დაწესებულების შიდა უსაფრთხოების სისტემაზე.

2. სამსახურის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან პენიტენციურ დაწესებულებასთან შექმნას გაძლიერებული დაცვის ჯგუფები.

3. პენიტენციური დაწესებულებისა და სამსახურისადმი დაქვემდებარებული სხვა ობიექტების დაცვის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

### მუხლი 62. უსაფრთხოების ღონისძიებები

1. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, სხვისი და ქონების დაზიანების თავიდან ასაცილებლად, პენიტენციურ დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღსაკვეთად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღსაკვეთად უფლებამოსილი პირის დასაბუთებული გადაწყვეტილებით ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი უსაფრთხოების ღონისძიებები:

ა) სპეციალური საშუალებების გამოყენება;

ბ) სხვა ბრალდებულთაგან/მსჯავრდებულთაგან განცალკევება;

გ) დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა;

დ) არაუმეტეს 24 საათით სამარტოო საკანში მოთავსება;

ე) დროებითი საგუშაგოს ან დამატებითი საგუშაგოს მოწყობა;

ვ) დეესკალაციის ოთახში გადაყვანა.

2. უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელება წყდება დაუყოვნებლივ, იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც ეს ღონისძიება გამოიყენებოდა.

3. პენიტენციურ დაწესებულებაში ან ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გაყვანისას, გადაყვანისას და ექსტრადიციისას უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელების სხვა პირობები და გარემოებები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

4. უსაფრთხოების ღონისძიების (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ღონისძიებისა) განხორციელების შემდეგ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობა სამედიცინო პერსონალთან ერთად დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმებას. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმების შესახებ დგება შესაბამისი აქტი, რომლის ფორმა მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

5. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დროებითი საგუშაგო ან დამატებითი საგუშაგო ეწყობა პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე. დროებითი საგუშაგოს მეშვეობით პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ვიზუალურ კონტროლს.

6. დაუშვებელია უსაფრთხოების ღონისძიების ბრალდებულის/ მსჯავრდებულის დასჯის მიზნით გამოყენება.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 63. სპეციალური საშუალებები და მათი გამოყენების წესი

1. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სპეციალური საშუალებები:

ა) ხელბორკილი;

ბ) დამაწყნარებელი პერანგი;

გ) დამაწყნარებელი სკამი;

დ) დამაწყნარებელი საწოლი;

ე) ხელკეტი;

ვ) ცრემლსადენი გაზი;

ზ) წიწაკის გაზი;

თ) არალეტალური იარაღი;

ი) აკუსტიკური საშუალება;

კ) ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა;

ლ) წყალსატყორცნი;

მ) სასამსახურო ძაღლი.

2. სპეციალური საშუალებები გამოიყენება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, უსაფრთხოების ღონისძიების განსახორციელებლად შემდეგ შემთხვევებში:

ა) ხელბორკილი – იმ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ, რომელიც თავისი ქმედებით წინააღმდეგობას უწევს მოსამსახურეს ან/და არ ემორჩილება მის კანონიერ მოთხოვნას; საფრთხეს უქმნის საკუთარ ან/და სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას; აზიანებს ან ცდილობს დააზიანოს სხვისი/სახელმწიფო ქონება; ცდილობს გაქცევას;

ბ) დამაწყნარებელი პერანგი, დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი – იმ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ, რომელიც აზიანებს ან ცდილობს დააზიანოს საკუთარი თავი ან სხვა; რომელიც აზიანებს ან ცდილობს დააზიანოს სხვისი/სახელმწიფო ქონება; რომლის მოქმედება გამოხატულად აგრესიულია. აღნიშნული სპეციალური საშუალებები გამოყენებული უნდა იქნეს ექიმის მეთვალყურეობით;

გ) ხელკეტი – ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის და სხვისი დაზიანების თავიდან ასაცილებლად, პენიტენციურ დაწესებულებაში ან ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გაყვანისას ან გადაყვანისას დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღსაკვეთად, თავდასხმის მოსაგერიებლად, დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღსაკვეთად;

დ) ცრემლსადენი გაზი, არალეტალური იარაღი და აკუსტიკური საშუალება – გარშემომყოფებზე ან/და დაცულ ობიექტზე ბრალდებულის/მსჯავრდებულის თავდასხმის მოსაგერიებლად; მასობრივი არეულობის ან/და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად;

ე) წიწაკის გაზი – დანაშაულის, თავდასხმის, გაქცევის, მასობრივი დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღსაკვეთად, დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად, შეიარაღებული პირის დასაკავებლად;

ვ) ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა – გარშემომყოფებზე ან/და დაცულ ობიექტზე ბრალდებულის/მსჯავრდებულის თავდასხმის მოსაგერიებლად, შეიარაღებული პირის დასაკავებლად, მის მიერ დაკავებული იმ ობიექტის დატოვების მიზნით, რომელსაც იგი თავს აფარებს;

ზ) წყალსატყორცნი – მასობრივი არეულობის ან/და წესრიგის დარღვევის აღსაკვეთად, დაცულ ობიექტზე ჯგუფური თავდასხმის მოსაგერიებლად, შეიარაღებული პირის დასაკავებლად;

თ) სასამსახურო ძაღლი – ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაქცევისას ან გაქცევის მცდელობისას; აკრძალული ნივთების აღმოსაჩენად, თავდასხმის მოსაგერიებლად.

3. სპეციალური საშუალება გამოიყენება უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. სპეციალური საშუალების გამოყენება შექმნილი საფრთხის პროპორციული უნდა იყოს და კანონიერი მიზნის მისაღწევად უფრო ნაკლები ზიანი უნდა მიაყენოს იმ პირს, რომლის მიმართაც შესაბამისი ღონისძიება ხორციელდება.

4. სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს სამსახურის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელსაც გავლილი აქვს სათანადო მომზადება.

5. სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირი ვალდებულია სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს შესაბამისი პირი და მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, ქონების დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, ან შექმნილ სიტუაციაში ასეთი გაფრთხილება გაუმართლებელია ან შეუძლებელია.

6. სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება ამ გადაწყვეტილების მიმღებ პირს, ხოლო სპეციალური საშუალების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოყენებისთვის – სპეციალური საშუალების გამომყენებელ პირს.

7. სპეციალური საშუალების (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებისა) გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებათ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დირექტორს და ექიმს ან ექთანს. სპეციალური საშუალების გამოყენების შემდეგ, პირველი შესაძლებლობისთანავე ხორციელდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმება.

8. სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ დგება ოქმი. ოქმში აღინიშნება გამოყენებული სპეციალური საშუალება, მისი გამოყენების დასაბუთება და სხვა მონაცემები. ოქმის ფორმა მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

9. სპეციალური საშუალების გამოყენების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ადგენს ანგარიშს და მას დაუყოვნებლივ უგზავნის სამსახურის გენერალურ დირექტორს.

10. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გაყვანისას, გადაყვანისას და ექსტრადიციისას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან/და მისი გაქცევის თავიდან ასაცილებლად ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ სპეციალური საშუალების (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებისა) გამოყენების შესახებ ჯგუფის ან კოლონის უფროსი დაუყოვნებლივ აცნობებს სამსახურის შესაბამის უფლებამოსილ პირს და ექიმს ან ექთანს.

11. სპეციალური საშუალებები (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებებისა) შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე პენიტენციურ დაწესებულებაზე გარედან თავდასხმის მოსაგერიებლად.

12. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სპეციალური საშუალება გამოიყენება უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც შექმნილი საფრთხის აღმოსაფხვრელად იმავე ნაწილის „ა“–„ვ“ და „თ“–„მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. დაუშვებელია ამ მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებების გამოყენება დახურულ სივრცეში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში და იმ პირთა მიმართ, რომლებზედაც შესაბამისი უფლებამოსილი პირი უკვე ახორციელებს კონტროლს.

13. დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის ხელბორკილით მყარ ზედაპირზე მიმაგრება, გარდა უკიდურესი შემთხვევისა, როდესაც ამ მუხლით განსაზღვრული კანონიერი მიზნის მიღწევა სხვა საშუალებების გამოყენებით შეუძლებელია.

14. დაუშვებელია პენიტენციურ დაწესებულებაში ან ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გაყვანისას ან გადაყვანისას ისეთი სპეციალური საშუალების გამოყენება, რომელიც

იწვევს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან ან აკრძალულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საერთაშორისო აქტებით.

15. ქალის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სპეციალური საშუალება, ხოლო ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღსაკვეთად, თავდასხმის მოსაგერიებლად და შეიარაღებული პირის დასაკავებლად შესაძლებელია აგრეთვე იმავე ნაწილის „ე“, „ვ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებების გამოყენება.

16. სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირი წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ, როგორც წესი, არ იყენებს სპეციალურ საშუალებებს, გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებისა.

17. სპეციალური საშუალებების გამოყენებისას შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული შესაბამისი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა და შეზღუდული შესაძლებლობა.

18. მოსამსახურის შეიარაღებაში არსებული სპეციალური საშუალებების სახეები, ამ საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

## მუხლი 64. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესი

1. თუ ბრალდებული/მსჯავრდებული თავს ესხმის მოსამსახურეს ან სხვა პირს ან სჩადის სხვა განზრახ მოქმედებას, რომელიც პირდაპირ, უშუალო და იმწუთიერ საფრთხეს უქმნის მოსამსახურის ან სხვა პირის ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს, მოსამსახურემ შეიძლება გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი, თუ აღნიშნული მოქმედების სხვა საშუალებით აღკვეთა შეუძლებელია. გამოყენებული ძალა კანონიერი მიზნისა და შექმნილი საფრთხის პროპორციული უნდა იყოს.

2. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გაქცევის, პენიტენციური დაწესებულებიდან გაყვანისას ან გადაყვანისას გაქცევის ან სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმის შემთხვევაში, უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარე, მოსამსახურემ შეიძლება გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი, თუ აღნიშნული მოქმედების სხვა საშუალებით აღკვეთა შეუძლებელია. გამოყენებული ძალა კანონიერი მიზნისა და შექმნილი საფრთხის პროპორციული უნდა იყოს. გამოყენებული უნდა იქნეს მინიმალური – გაქცეული ბრალდებულის/მსჯავრდებულის შესაჩერებლად აუცილებელი ძალა. ქალის გაქცევისას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დაუშვებელია.

3. გაქცევად მიიჩნევა:

ა) ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დამცავი ზღუდის გადაკვეთა;

ბ) ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გაყვანისას ან გადაყვანისას მის მიერ მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით განსაზღვრული დაცვის ხაზის გადაკვეთა.

4. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს შესაბამისი პირი და მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, აგრეთვე განახორციელოს გამაფრთხილებელი გასროლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, ქონების დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, ან შექმნილ სიტუაციაში ასეთი გაფრთხილება გაუმართლებელია ან შეუძლებელია.

5. პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღის ტარება ან/და შენახვა ეკრძალება იმ მოსამსახურეს, რომელსაც ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან უშუალო შეხება აქვს.

6. დაუშვებელია პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღის შეტანა, გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისა და ამ

კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაცვის განხორციელების შემთხვევებისა.

### მუხლი 65. პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალული ზოლი

1. პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალული ზოლი არის ამ დაწესებულების დამცავი ზღუდის გარე პერიმეტრი.

2. პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალული ზოლის რადიუსი განისაზღვრება ამ დაწესებულების გარე ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, ინდივიდუალურად, მინისტრის ბრძანებით. შეიძლება განისაზღვროს პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალული ზოლის რამდენიმე რადიუსი.

3. პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალული ზოლის რადიუსი შემოღობილი უნდა იყოს ან/და გარე აკრძალული ზოლის საზღვართან შესაბამისი ამკრძალავი ნიშნები უნდა იყოს განთავსებული.

4. დაუშვებელია პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დარღვევა, კერძოდ, ამ ზოლში ყოფნა ან/და სატრანსპორტო საშუალების შეყვანა (გარდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შემთხვევისა), პიროტექნიკური ნაწარმის, ფეიერვერკის, მომწამლავი, ადვილად აალებადი ან/და სხვა ნივთის/ნივთიერების შეტანა ან/და გამოყენება, კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისკენ/არეულობისკენ/დაუმორჩილებლობისკენ წაქეზება/მოწოდება, აგრეთვე პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირისთვის ინფორმაციის უკანონო ფორმით მიწოდება პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალული ზოლიდან ან მისი მიმდებარე ტერიტორიიდან. აკრძალულია აგრეთვე ნივთის ან/და ნივთიერების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის გვერდის ავლით პენიტენციურ დაწესებულებაში შეტანა ან/და პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირისთვის გადაცემა.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნების დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხისმგებლობის დაკისრებას.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალდამრღვევის მიერ მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ან/და სამართალდამრღვევის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში შესაბამის უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, სამართალდარღვევის აღსაკვეთად ან სამართალდამრღვევის გამოსავლენად პოლიციას მიმართოს. პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე და განახორციელოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოქმედებები.

7. პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლში და ამ ზოლიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება აკრძალულია.

8. პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალული ზოლიდან 100 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე ნებისმიერი მშენებლობის განხორციელება უნდა შეთანხმდეს სამსახურთან. ამასთანავე, სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალული ზოლის ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს ინფრასტრუქტურული სამუშაოები პენიტენციური დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისთვის.

### მუხლი 66. პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღება

1. სტიქიური უბედურების, ქვეყანაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების, სიცოცხლისთვის საშიშ დაავადებათა ეპიდემიის ან მასობრივი არეულობის დროს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ პენიტენციური დაწესებულება დაზიანდა ან გამოუსადეგარია კანონით გათვალისწინებული მიზნებისთვის, პენიტენციურ დაწესებულებაში შეიძლება შემოღებულ იქნეს განსაკუთრებული პირობები.

2. პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების არაუმეტეს 15 კალენდარული დღის ვადით შემოღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის გენერალური დირექტორი მინისტრის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული ვადა მინისტრის თანხმობით შეიძლება გაგრძელდეს გონივრული ვადით, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოების აღმოფხვრამდე.

3. ბრალდებულის/მსჯავრდებულის, პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურის ან სხვა პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის აშკარა საფრთხის შექმნის შემთხვევაში აღნიშნული დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია დამოუკიდებლად შემოიღოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განსაკუთრებული პირობები.

4. პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ვალდებულია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განსაკუთრებული პირობების დამოუკიდებლად შემოღების შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს სამსახურის გენერალურ დირექტორს. სამსახურის გენერალური დირექტორი აღნიშნული შეტყობინებიდან 24 საათის განმავლობაში, მინისტრის წერილობითი თანხმობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას განსაკუთრებული პირობების ძალაში დატოვების ან გაუქმების შესახებ.

5. თუ პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების რეჟიმის მოქმედების დროს სხვა საშუალებებით ვერ ხერხდება შექმნილი ვითარების ლოკალიზება ან ამ დაწესებულების უსაფრთხოების დანაყოფის/სამსახურის მიერ აღნიშნულ დაწესებულებაში აკრძალული ნივთების, ნივთიერებებისა და კვების პროდუქტების ამოღების მიზნით ფართო მასშტაბის ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება მაშინ, როდესაც არსებობს ჯგუფური დაუმორჩილებლობის, მასობრივი არეულობის წარმოშობის დიდი საშიშროება ან საფრთხე ექმნება სახელმწიფო უსაფრთხოებას, მინისტრის სათანადო მიმართვის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ან/და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით დაწესებულების დაცვა შეიძლება გაძლიერდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური ქვედანაყოფებით.

6. პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 67. პენიტენციურ დაწესებულებაში კრიზისული ვითარების მართვა

1. პენიტენციურ დაწესებულებაში კრიზისულ ვითარებად შეიძლება შეფასდეს ისეთი მდგომარეობა, როდესაც ხდება პენიტენციურ დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის ან/და უსაფრთხოების ისეთი დარღვევა, რომელიც აშკარა საშიშროებას უქმნის პენიტენციური დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას და რომლის პენიტენციური დაწესებულების ძალებით, ამ კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში აღმოფხვრა შეუძლებელია.

2. პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილ მდგომარეობას კრიზისულ ვითარებად აფასებს ამ დაწესებულების დირექტორი. იგი კრიზისული ვითარების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს სამსახურის გენერალურ დირექტორს. თუ სამსახურის გენერალური დირექტორი სათანადო ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის შემდეგ ვითარებას კრიზისულად მიიჩნევს, იგი ამის თაობაზე ატყობინებს მინისტრს.

3. პენიტენციურ დაწესებულებაში კრიზისული ვითარების სამართავად დასაშვებია ამ დაწესებულების ტერიტორიაზე სამსახურის სპეციალური ინტერვენციების რაზმების შესაბამის მოსამსახურეთა მოქმედება. მათ უფლება აქვთ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენონ ამ კოდექსის 63-ე და 64-ე მუხლებით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი.

4. პენიტენციურ დაწესებულებაში კრიზისული ვითარების მართვის პროცესში სამსახურის სპეციალური ინტერვენციების რაზმების ჩართვის შესახებ გადაწყვეტილებას მინისტრის თანხმობით

იღებს სამსახურის გენერალური დირექტორი.

5. პენიტენციურ დაწესებულებაში კრიზისული ვითარების მართვისას სამსახური უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო კოორდინაციას.

6. პენიტენციურ დაწესებულებაში კრიზისული ვითარების მართვის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

7. პენიტენციურ დაწესებულებაში კრიზისული ვითარების მართვისას სამსახური ვალდებულია უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით სათანადო ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას.

## მუხლი 68. უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებების გეგმა

მასობრივი არეულობის შემთხვევაში, აგრეთვე ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს თავდასხმის, პენიტენციური დაწესებულებიდან გაქცევის, სხვა დანაშაულისა და სამართალდარღვევის აღსაკვეთად, თუ პენიტენციურ დაწესებულებაში კრიზისული ვითარების სამსახურის ძალებით მართვა შეუძლებელია, ხორციელდება უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებები წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებების გეგმა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მტკიცდება მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით. ამ გეგმით შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები.

## მუხლი 69. პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლის უფლება

1. პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით სარგებლობენ:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პარლამენტის წევრები;

გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი;

დ) პროკურატურის სისტემის საამისოდ უფლებამოსილი პირები;

ე) საქართველოს სახალხო დამცველი;

ვ) მინისტრი და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები;

ზ) სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები;

თ) (ამოღებულია - 24.06.2025, №703).

2. პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვით შესვლის წესს განსაზღვრავს მინისტრი.

3. დაუშვებელია პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე აუდიო-, ვიდეოტექნიკისა და ფიქსაციისთვის განკუთვნილი სხვა ტექნიკის სპეციალური ნებართვის გარეშე შეტანა, გარდა ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. სპეციალურ ნებართვას გასცემს სამსახურის გენერალური დირექტორი.

4. ბრალდებულის/მსჯავრდებულის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება ან მასთან ინტერვიუს ჩაწერა დასაშვებია მხოლოდ ბრალდებულის/ მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობით.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები არ ვრცელდება ამ კოდექსით გათვალისწინებულ ვიზუალურ და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობაზე.

6. ამ მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები არ ვრცელდება აგრეთვე სამსახურის მიერ განხორციელებულ გადაღებაზე. გადაღების შესახებ ბრალდებულის/მსჯავრდებულის წინასწარ გაფრთხილება სავალდებულოა.

7. პენიტენციური დაწესებულება უფლებამოსილია მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით განახორციელოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ფოტო-, ვიდეოგადაღება.

8. საქართველოს სახალხო დამცველი, აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის წინასწარი წერილობითი თანხმობით – სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი უფლებამოსილია მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესისა და სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა თანხმობით განახორციელოს პენიტენციურ დაწესებულებაში მათი ან/და მათი უშუალო განთავსების პირობების, გასეირნების ადგილების, საექიმო-სამედიცინო პუნქტის, კვების ობიექტის, საერთო სარგებლობის საშხაპეების, საერთო სარგებლობის საპირფარეშოებისა და შეხვედრის ოთახების ფოტოგადაღება.

9. პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ პირს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ფოტოგადაღების რეჟიმის შემოწმება ვიდეოგადაღების თავიდან ასაცილებლად, ხოლო ვიდეოგადაღების რეჟიმის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღკვეთოს იგი.

10. საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი უფლებამოსილია ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეხვდეს სპეციალურ ოთახში, სადაც ამ კოდექსის 58-ე მუხლით გათვალისწინებული ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი არ ხორციელდება. სპეციალური ოთახი უნდა მოეწყოს პენიტენციური დაწესებულების დებულების შესაბამისად, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს სახალხო დამცველისა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის უსაფრთხოება.

11. სამსახურთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე გარკვეული მიზნით მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების (გარდა სპეციალური პრევენციული ჯგუფისა და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებით გათვალისწინებული ორგანიზაციების წარმომადგენლებისა) ქცევის წესები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

*საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №703 – ვებგვერდი, 25.06.2025წ.*

## თავი XIII

## ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინური პასუხისმგებლობა. მსჯავრდებულის დისციპლინური პატიმრობა

### მუხლი 70. დისციპლინური დარღვევა

დისციპლინურ დარღვევად მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელიც არღვევს პენიტენციური დაწესებულების დებულებას, წესრიგს, ზიანს აყენებს უსაფრთხოებას და არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, კერძოდ:

ა) სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა;

ბ) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დარღვევა;

გ) დაწესებულების მოსამსახურის, სხვა უფლებამოსილი პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მისდამი დაუმორჩილებლობა ან მისთვის წინააღმდეგობის სხვაგვარად გაწევა;

დ) სხვა პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან მისი ღირსების სხვაგვარად შელახვა;

ე) დაწესებულების ან სხვა პირის ქონების დაზიანება ან განადგურება (მათ შორის, მისი ვიზუალური მხარის შეცვლით);

ვ) დაწესებულების მიერ დადგენილი გადაადგილების შეზღუდვების დარღვევა/საზღვრების უნებართვოდ გადაკვეთა;

ზ) სარგებლის მისაღებად დაწესებულების ტერიტორიაზე საქმიანობის ამ დაწესებულების დირექტორის ნებართვის გარეშე განხორციელება;

თ) დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებული მოწყობილობის/სისტემის ფუნქციონირებაში ამ დაწესებულების დირექტორის ნებართვის გარეშე ჩარევა, შენობა-ნაგებობის დიზაინისა და ფუნქციების თვითნებურად შეცვლა;

ი) დაწესებულების ტერიტორიაზე იმ ნივთის დამზადება, ფლობა ან გამოყენება, რომლის ქონაც ეკრძალება ბრალდებულს/მსჯავრდებულს და არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას;

კ) ხმაური ან სხვაგვარი ქმედება, რომელიც არღვევს წესრიგს და ხელს უშლის დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას;

ლ) ნებისმიერი ინფორმაციის უკანონო ფორმით მიწოდება საკნიდან საკანში ან დაწესებულების გარეთ;

მ) დაწესებულების დებულების, დღის განრიგისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ნორმების დარღვევა.

## მუხლი 71. დისციპლინური სახდელი

1. დისციპლინური დარღვევის ჩადენის შემთხვევაში ბრალდებულს/ მსჯავრდებულს ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა. დისციპლინური დარღვევისთვის გამოყენებული დისციპლინური სახდელი შესაბამისი ქმედების პროპორციული უნდა იყოს.

2. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური სახდელი/ ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველზე, მის მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენის ფაქტის დადასტურების შემდეგ.

3. ჯგუფური დარღვევის ჩადენის შემთხვევაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინური სახდელი ინდივიდუალურად განისაზღვრება.

4. თუ დისციპლინური დარღვევის გარემოებები წარმოშობს ამ კოდექსის 62-ე მუხლით გათვალისწინებული უსაფრთხოების ღონისძიების გამოყენების საფუძველს, უსაფრთხოების ღონისძიება გამოიყენება ამ თავით განსაზღვრული დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე.

## მუხლი 72. დისციპლინური სახდელის სახეები

1. დისციპლინური სახდელის სახეებია:

ა) გაფრთხილება;

ბ) საყვედური;

გ) მუშაობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით;

დ) ნებადართული ნივთებით (გარდა ექიმის მიერ დანიშნული კვების აუცილებელი პროდუქტებისა და მედიკამენტებისა) სარგებლობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით;

ე) ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა ან/და ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით;

ვ) საკნის ტიპის საცხოვრებელში გადაყვანა 3 თვემდე ვადით;

ზ) სამარტოო საკანში მოთავსება 14 დღე-ღამემდე ვადით;

თ) სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით;

ი) პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით;

კ) პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით;

ლ) კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა არაუმეტეს წელიწადში 6-ჯერ;

მ) პირადი ტელევიზორით ან რადიომიმღებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით;

ნ) ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული ნივთის (ნაკეთობის) რეალიზაციის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით.

2. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს შეიძლება შეეზღუდოს აგრეთვე ამ კოდექსის 34-ე მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული უფლება 2 თვემდე ვადით.

3. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“–„ე“ და „თ“–„კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებები შეიძლება შეეზღუდოს 1 თვემდე ვადით.

4. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის მიმართ არ გამოიყენება ამ მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ლ“–„ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელები.

5. ორსული ქალის, მცირეწლოვანი ბავშვის დედის (რომელსაც პენიტენციურ დაწესებულებაში ჰყავს 3 წლამდე ბავშვი ან რომელიც ამ კოდექსის 39-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად სარგებლობს შვილთან ურთიერთობის მიზნით დასვენებისა და უქმე დღეებში პენიტენციური დაწესებულების დატოვების უფლებით) და 65 წელს მიღწეული ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ არ გამოიყენება ამ მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელები.

6. ამ მუხლის პირველი ნაწილის „თ“–„კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თითოეული უფლების შეზღუდვის ვადა 1 წლის განმავლობაში 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

7. დაუშვებელია ამ მუხლის პირველი ნაწილის „თ“, „ი“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებების ერთდროულად შეზღუდვა.

8. ამ მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნარჩუნდება სატელეფონო საუბრის უფლება საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს პროკურატურისა და სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრებზე დასაკავშირებლად.

9. დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის ამ მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვა არ ვრცელდება იმ კორესპონდენციაზე, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, სამსახური, საქართველოს სახალხო დამცველი, ადვოკატი, პროკურორი, სამსახურის ადგილობრივი საბჭო.

## მუხლი 73. დისციპლინური დარღვევის ჩადენაში მხილებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებები

ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს, უფლება აქვს:

ა) მისთვის გასაგებ ენაზე ეცნობოს დარღვევის არსი და საფუძველი;

ბ) დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში ჰქონდეს დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დრო და საშუალება;

გ) ისარგებლოს იურიდიული დახმარებით, მათ შორის, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ამას თავად მოითხოვს დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში;

დ) დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში მოითხოვოს მის განხილვაზე მოწმეთა დასწრება და დაკითხოს ისინი;

ე) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით, თუ მას არ ესმის სამართალწარმოების ენა.

## მუხლი 74. დისციპლინური სამართალწარმოება

1. დისციპლინური დარღვევის საქმეს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. თუ ამ დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი მიიჩნევს, რომ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მიღება, მას უფლება აქვს, აღნიშნული საქმე ზეპირი მოსმენით განიხილოს.

2. დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ჰყავდეს ადვოკატი.

3. ბრალდებულს/მსჯავრდებულს განემარტება უფლება – მისცეს ახსნა-განმარტება, წარადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობა, გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, გაასაჩივროს დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულება.

4. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჩამოერთვას ახსნა-განმარტება მის მიერ ჩადენილ დისციპლინურ დარღვევასთან დაკავშირებით. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ახსნა-განმარტების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილი პირი ადგენს ოქმს.

5. დისციპლინური დარღვევის ჩამდენ ბრალდებულს/მსჯავრდებულს, მოწმეს, დაზარალებულს უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს ახსნა-განმარტებები ან/და შენიშვნები. ისინი დაერთვის დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულებას.

6. დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს დაჯდომისა და ჩანაწერების გაკეთების საშუალება.

7. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენებისას გაითვალისწინება მისი პიროვნება და ქცევა, მის მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენის გარემოებები და ბრალდებულის/მსჯავრდებულის ახსნა-განმარტება ამ დარღვევასთან დაკავშირებით. დისციპლინური დარღვევის საქმის განხილვის შემდეგ, მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

8. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ადვოკატის მიერ იყოს წარმოდგენილი დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისას, რომელიც ეხება ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ან „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის გამოყენებას. ზეპირი მოსმენის დაწყებამდე ბრალდებულს/მსჯავრდებულს განემარტება საკუთარი ადვოკატის მოწვევის უფლება, რომელიც შესაბამისი თანხმობის მიღების შემთხვევაში ხორციელდება განმარტებიდან 3 საათის განმავლობაში. თუ დადგენილ ვადაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის ადვოკატი არ გამოცხადდება ზეპირ მოსმენაზე, ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი თანხმობით დაენიშნება საზოგადოებრივი ადვოკატი. თუ ბრალდებული/მსჯავრდებული ზეპირ მოსმენაზე დასწრებაზე უარს აცხადებს, ეს ფაქტი წერილობით ფიქსირდება. საწინააღმდეგო შემთხვევაში დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ბრალდებული/მსჯავრდებული.

9. ზეპირი მოსმენა/სხდომა, რომელიც ეხება დისციპლინური სახდელის გამოყენებას, შეიძლება გაგრძელდეს ზეპირი მოსმენის გარეშე და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, თუ ბრალდებული/მსჯავრდებული არ ცხადდება სხდომაზე ან თავისი ქმედებით არღვევს წესრიგს ან სხვაგვარად უშლის ხელს სხდომის მიმდინარეობას.

## მუხლი 75. განკარგულება დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ

1. დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების გამოცემის უფლება აქვს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. ამ უფლების სხვა პირისთვის მინიჭების შესახებ პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ცალკე არ საჩივრდება.

2. ბრალდებულს/მსჯავრდებულს დისციპლინური სახდელი უნდა დაეკისროს დისციპლინური დარღვევის გამოვლენის დღიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

3. დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) გამომცემი თანამდებობის პირის გვარი და სახელი;

ბ) შედგენის თარიღი, დრო და ადგილი;

გ) სარეგისტრაციო ნომერი;

დ) დისციპლინური დარღვევის ჩამდენი ბრალდებულის/მსჯავრდებულის შესახებ მონაცემები (გვარი, სახელი, დაბადების თარიღი და სხვა);

ე) დისციპლინური დარღვევის ჩადენის ადგილი და დრო, დარღვევის არსი, მისი გამოვლენის დრო. თუ დისციპლინური დარღვევის ჩადენის დროის განსაზღვრა შეუძლებელია, დარღვევის ჩადენის დროდ მიიჩნევა მისი გამოვლენის დრო;

ვ) მოწმისა და დაზარალებულის (მათი არსებობის შემთხვევაში) შესახებ მონაცემები;

ზ) მითითება დისციპლინური დარღვევის საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა მტკიცებულებებზე (მათი არსებობის შემთხვევაში).

4. თარჯიმნის მოწვევის შემთხვევაში ამის თაობაზე უნდა აღინიშნოს დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულებაში.

5. დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულება კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი უნდა იყოს და კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი უნდა შეესაბამებოდეს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური დარღვევის სიმძიმესა და ხასიათს. აღნიშნული განკარგულება წერილობითი უნდა იყოს და მასში მითითებული უნდა იყოს ამ განკარგულების გასაჩივრების პროცედურა.

6. დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების ერთი ასლი მისი

გამოცემისთანავე გადაეცემა ბრალდებულს/მსჯავრდებულს ან მის ადვოკატს.

7. დისციპლინური დარღვევის საქმის მასალები უნდა დაერთოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად საქმეს.

8. დისციპლინური სახდელის აღსრულება უნდა დაიწყოს ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის მისი დაკისრებიდან 1 თვის ვადაში.

9. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში მისთვის დაკისრებული დისციპლინური სახდელის აღსრულება გრძელდება საერთო წესით.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 76. დისციპლინური სახდელის გასაჩივრება

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების მისთვის გადაცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ერთჯერადად გაასაჩივროს სასამართლოში მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელი. დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

2. ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მისი სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა ან სხვა განსაკუთრებული გარემოება, რომელიც აფერხებს დისციპლინური სახდელის აღსრულებას, იწვევს მისი აღსრულების გადავადებას ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში დაბრუნებამდე.

## მუხლი 77. ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარანტიები მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას

1. დაუშვებელია ერთი დისციპლინური დარღვევის ჩადენისთვის ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის 2 ან 2-ზე მეტი დისციპლინური სახდელის დაკისრება, გარდა ამ კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევისა.

2. ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი არ უნდა იყოს მისი დამამცირებელი და პატივისა და ღირსების შემლახველი.

3. დაუშვებელია ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, თუ მის მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენიდან 1 წელი გავიდა.

4. ბრალდებული/მსჯავრდებული დისციპლინურსახდელდაუდებლად ითვლება, თუ მან აღნიშნული სახდელის მოხდიდან 6 თვის განმავლობაში კვლავ არ ჩაიდინა დისციპლინური დარღვევა. ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ან „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში ბრალდებული/ მსჯავრდებული დისციპლინურსახდელდაუდებლად ჩაითვლება, თუ მან მისი მოხდიდან 1 წლის განმავლობაში კვლავ არ ჩაიდინა დისციპლინური დარღვევა.

5. პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს შეუძლია ბრალდებულს/მსჯავრდებულს დისციპლინური სახდელი ვადამდე მოუხსნას, თუ ამ სახდელის მიზანი მიღწეულია.

6. პენიტენციური დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია ამ დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ვადამდე მოუხსნას სხვა პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ დაკისრებული დისციპლინური სახდელი.

## მუხლი 78. სამარტოო საკანში მოთავსება

1. სამარტოო საკანში მოთავსება, როგორც დისციპლინური სახდელი, გამოიყენება მხოლოდ

განსაკუთრებულ შემთხვევაში.

2. სამარტოო საკანში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ეკრძალება ხანმოკლე პაემანი, ხანგრძლივი პაემანი, სატელეფონო საუბარი, კვების პროდუქტების შეძენა, აგრეთვე ეზღუდება შრომითი საქმიანობისა და ინდივიდუალური საქმიანობის უფლებები. მას შეუძლია ისარგებლოს გასეირნების უფლებით – ყოველდღიურად, არანაკლებ 1 საათისა.

3. სამარტოო საკანში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნარჩუნდება სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა და სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლება, თუ ეს ხელს არ უშლის დისციპლინური სახდელის აღსრულებას.

4. სამარტოო საკანში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნარჩუნდება სატელეფონო საუბრის უფლება საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს პროკურატურისა და სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრებზე დასაკავშირებლად.

5. ბრალდებული/მსჯავრდებული მისი უსაფრთხოების დასაცავად სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევაში სარგებლობს ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა უფლებით.

6. სამარტოო საკანი უნდა იყოს განათებული და ვენტილაციით უზრუნველყოფილი. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს სკამი და საწოლი. მას უფლება აქვს, მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს საკითხავი მასალა.

7. დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული სენსორული იზოლაციის პირობებში მოთავსება.

8. პენიტენციური დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირი ვალდებულია სამედიცინო პერსონალს აცნობოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამარტოო საკანში მოთავსების შესახებ. სამედიცინო პერსონალი სამარტოო საკანში მყოფი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ყოველდღიურ, განსაკუთრებულ მეთვალყურეობას უნდა ახორციელებდეს. აუცილებლობის შემთხვევაში მისი სამარტოო საკანში ყოფნის ხანგრძლივობა შეიძლება შემცირდეს პენიტენციური დაწესებულების ექიმის დასკვნის საფუძველზე.

*საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №703 – ვებგვერდი, 25.06.2025წ.*

### მუხლი 79. დისციპლინური დარღვევის პრევენცია

1. პენიტენციურმა დაწესებულებამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები დისციპლინური დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

2. პენიტენციური დაწესებულების დებულება, დისციპლინური დარღვევებისა და შესაბამისი დისციპლინური სახდელების დეტალური ჩამონათვალით, ყველა ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

### მუხლი 80. მსჯავრდებულისთვის დისციპლინური პატიმრობის შეფარდება

1. თუ მსჯავრდებულმა დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადაში განმეორებით ჩაიდინა ამ კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური დარღვევა, მას შეიძლება შეეფარდოს დისციპლინური პატიმრობა არაუმეტეს 30 დღე-ღამის ვადით. ეს წესი არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევაზე.

2. თუ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფმა მსჯავრდებულმა ჩაიდინა ამ კოდექსის 70-ე მუხლის „გ“, „დ“ ან/და „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დარღვევა, მას შეიძლება შეეფარდოს დისციპლინური პატიმრობა არაუმეტეს 60 დღე-ღამის ვადით.

3. დისციპლინური პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი

მსჯავრდებულის მიმართ.

4. მსჯავრდებულისთვის 1 წლის განმავლობაში შეფარდებული დისციპლინური პატიმრობების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 60 დღე-ღამეს, ხოლო ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში – 150 დღე-ღამეს.

5. დისციპლინური პატიმრობა არ შეეფარდება 65 წელს მიღწეულ მსჯავრდებულს.

6. დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების გამოცემის უფლება აქვს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. ამ უფლების დელეგირება ხორციელდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) გამომცემი თანამდებობის პირის გვარი და სახელი;

ბ) შედგენის თარიღი, დრო და ადგილი;

გ) სარეგისტრაციო ნომერი;

დ) მითითება იმ ნორმატიულ აქტსა და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე, რომელთა საფუძველზედაც თანამდებობის პირი ახორციელებს აღნიშნულ უფლებამოსილებას;

ე) დისციპლინური დარღვევის ჩამდენი მსჯავრდებულის შესახებ მონაცემები (გვარი, სახელი, დაბადების თარიღი და სხვა);

ვ) დისციპლინური დარღვევის ჩადენის ადგილი და დრო (წელი, თვე, რიცხვი, საათი და წუთი), დარღვევის არსი. თუ დისციპლინური დარღვევის ჩადენის დროის განსაზღვრა შეუძლებელია, დარღვევის ჩადენის დროდ მიიჩნევა მისი გამოვლენის დრო;

ზ) მოწმისა და დაზარალებულის (მათი არსებობის შემთხვევაში) შესახებ მონაცემები;

თ) მითითება დისციპლინური დარღვევის საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა მტკიცებულებებზე (მათი არსებობის შემთხვევაში);

ი) დისციპლინური სახდელის სახით დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ შუამდგომლობა (სახდელის ვადის მითითების გარეშე).

8. დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების გამოცემისას მსჯავრდებულს განემარტება უფლება – გაეცნოს ამ განკარგულებას, მისცეს ახსნა-განმარტება, წარადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობა, გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის ან/და ადვოკატის მომსახურებით, გაასაჩივროს დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულება. აღნიშნული განმარტების თაობაზე მიეთითება დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულებაში.

9. თარჯიმნის ან/და ადვოკატის მოწვევის შემთხვევაში ამის თაობაზე უნდა აღინიშნოს დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულებაში.

10. დისციპლინური დარღვევის ჩამდენ მსჯავრდებულს, მოწმეს, დაზარალებულს უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს ახსნა-განმარტებები ან/და შენიშვნები. ისინი დაერთვის დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულებას.

11. დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების ერთი ასლი მისი გამოცემისთანავე გადაეცემა მსჯავრდებულს.

12. დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულება გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში წარედგინება უფლებამოსილ სასამართლოს პენიტენციური დაწესებულების

ადგილმდებარეობის მიხედვით. მტკიცების ტვირთი განკარგულების გამომცემ თანამდებობის პირს ეკისრება.

13. მოსამართლე დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულებას განიხილავს ერთპიროვნულად, ღია სასამართლო სხდომაზე, მისი წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში. საქმის განხილვის შემდეგ დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოტანილი. დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის სხვა დროისთვის გადადება დაუშვებელია.

14. სასამართლო საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ამასთანავე, საქმის განხილვისას არ გამოიყენება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის $26^2$ მუხლი.

15. სასამართლო საქმეს განიხილავს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მსჯავრდებული სარგებლობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გარანტირებული ყველა უფლებით. მას უფლება აქვს, სრული თანასწორობის საფუძველზე წარადგინოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მათ გამოკვლევაში, მოიწვიოს მოწმეები, მისცეს ახსნა-განმარტება, განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება, გამოთქვას საკუთარი აზრი საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. საქმის განხილვისას მსჯავრდებულს უფლება აქვს, სასამართლოში გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის ან/და ადვოკატის მომსახურებით. თუ მსჯავრდებულს არ აქვს ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა, სასამართლო ვალდებულია დაუნიშნოს მას ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

16. დისციპლინური პატიმრობის ვადაში ჩაითვლება მსჯავრდებულის სასამართლოში წარსადგენად გამოყენებული დრო და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოსატანად გამოყენებული დრო.

**მუხლი 81. სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ**

1. დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას (განჩინებას) არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. ეს გადაწყვეტილება გამოიტანება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირის მიერ შესაბამისი დისციპლინური დარღვევის ჩადენა სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის დროს სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე დამტკიცდა.

2. დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი უნდა იყოს.

3. სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერია, თუ ის გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

5. სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) სამართლიანია, თუ შეფარდებული დისციპლინური პატიმრობა შეესაბამება დისციპლინური დარღვევის ჩამდენის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დისციპლინური დარღვევის სიმძიმეს.

6. დისციპლინური პატიმრობის შეფარდებისას სასამართლო თანამიმდევრობით წყვეტს შემდეგ საკითხებს:

ა) ჩაიდინა თუ არა პირმა ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედება;

ბ) არის თუ არა პირის ქმედება მართლსაწინააღმდეგო;

გ) შეერაცხება თუ არა პირს ბრალად ჩადენილი ქმედება;

დ) უნდა შეეფარდოს თუ არა პირს დისციპლინური პატიმრობა და, თუ უნდა შეეფარდოს – რა ვადით;

ე) როგორი იქნება ნივთიერ მტკიცებულებათა ბედი.

7. თუ პირი რამდენიმე დისციპლინური დარღვევის ჩადენაშია მხილებული, საქმის განხილვისას სასამართლო თითოეული დისციპლინური დარღვევის მიხედვით ცალკე და მთლიანად წყვეტს ამ მუხლის მე-6 ნაწილში მითითებულ საკითხებს.

8. სასამართლო უფლებამოსილია დისციპლინური დარღვევის ჩადენაში მხილებული რამდენიმე პირისთვის დისციპლინური პატიმრობის შეფარდების საკითხები განიხილოს ერთობლივად, დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების გამომცემი თანამდებობის პირის შუამდგომლობის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

9. ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ამ მუხლის მე-6 ნაწილში მითითებული საკითხები თითოეული პირის მიმართ ცალ-ცალკე უნდა გადაწყდეს.

### მუხლი 82. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრება

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) სააპელაციო სასამართლოში შეიძლება გაასაჩივროს მხარემ ან მისმა წარმომადგენელმა მისთვის გადაწყვეტილების (განჩინების) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ჩაბარებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში. მიღებულ საჩივარს სასამართლო დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს და მოწინააღმდეგე მხარეს.

2. სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივარს განიხილავს კოლეგიურად – 3 მოსამართლის შემადგენლობით, ღია სასამართლო სხდომაზე. სააპელაციო სასამართლო საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას (განჩინებას) გამოიტანს პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის ამ კოდექსით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) საბოლოოა და არ საჩივრდება.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

### მუხლი 83. დისციპლინური პატიმრობის აღსრულების ორგანიზება და კონტროლი

1. დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას (განჩინებას) აღსასრულებლად მიაქცევს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტანი სასამართლო. დისციპლინური პატიმრობის აღსრულების ორგანიზებისა და კონტროლის განხორციელება სამსახურს ეკისრება.

2. მსჯავრდებულის მიერ დისციპლინური პატიმრობის მოხდის წესი, დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების ტიპური ფორმა და მსჯავრდებულის მოძრაობის ბარათის ფორმა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

3. დისციპლინური პატიმრობის ვადა არ ჩაითვლება მსჯავრდებულის სასჯელის ვადაში.

## თავი XIV

## პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შემოწმება და მონიტორინგი

### მუხლი 84. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შემოწმება და მონიტორინგი

მოსამსახურეთა მიერ ადამიანის უფლებების დაცვისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემოწმებას, პენიტენციურ დაწესებულებათა სისტემურ მონიტორინგს, აგრეთვე ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საჩივრების პერიოდულ ანალიზს მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით ახორციელებს სამსახურის შიდა კონტროლის

განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

### მუხლი 85. სპეციალური პრევენციული ჯგუფი

სამსახურისა და პენიტენციური დაწესებულების მიერ წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით განხორციელებული საქმიანობის ზედამხედველობას „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სპეციალური პრევენციული ჯგუფი.

## თავი XV

## მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება

### მუხლი 86. მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გათავისუფლების საფუძვლები

1. მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან თავისუფლდება:

ა) სასჯელის მოხდის შემდეგ;

ბ) სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას;

გ) სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისას;

დ) განაჩენის კანონით დადგენილი წესით შეცვლის ან გაუქმების გამო;

ე) ამნისტიით ან შეწყალებით;

ვ) ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ზ) სასამართლოს მიერ განაჩენის აღსრულების გადავადებისას.

2. იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალს, რომლებიც მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველია, ამტკიცებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

### მუხლი 87. მსჯავრდებულის გათავისუფლების საერთო წესი

1. მსჯავრდებული გათავისუფლებისას ამ კოდექსის შესაბამისად თავისუფლდება სასჯელის მოხდის დასრულების დღის წინა დღეს. თუ მისი გათავისუფლების დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა, მსჯავრდებული თავისუფლდება წინა სამუშაო დღეს. გათავისუფლებისას მას ეძლევა სათანადო ცნობა.

2. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მსჯავრდებულის გათავისუფლებისას სავალდებულოა მისი დაქტილოსკოპირება ამ კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

3. გათავისუფლებულ მსჯავრდებულს უბრუნდება პირადი ნივთები, ტანსაცმელი/ფეხსაცმელი, რომლებიც პენიტენციურ დაწესებულებაში ინახებოდა.

4. თუ გათავისუფლებულ მსჯავრდებულს პირადი ტანსაცმელი/ფეხსაცმელი არ აქვს ან ის არ შეეფერება შესაბამის სეზონს, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია მას უსასყიდლოდ გადასცეს ამ სეზონის შესაფერისი ტანსაცმელი/ფეხსაცმელი.

5. მსჯავრდებულს მის პირად საბანკო ანგარიშზე დაგროვილი თანხის სრულად განკარგვის უფლება ეძლევა გათავისუფლების დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.

## მუხლი 88. ავადმყოფობის გამო მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლება

1. ავადმყოფობის გამო მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისგან გასათავისუფლებლად მსჯავრდებული, მისი დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი ან პენიტენციური დაწესებულების დირექტორი კანონით დადგენილი წესით, საექიმო დასკვნის საფუძველზე მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ მიმართავს სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას ან სასამართლოს.

2. სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, ექიმთა კონსილიუმის შეფასების საფუძველზე.

3. სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის წესი, უფლებამოსილება და საქმიანობის პირობები, აგრეთვე ექიმთა კონსილიუმის შექმნის წესი და უფლებამოსილება განისაზღვრება მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

5. სასამართლომ ამ მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული საკითხის განხილვისას უნდა გაითვალისწინოს სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მიზანშეწონილობა, მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

## მუხლი 89. სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება, სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვა, სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით

სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან, სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვასა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე, $72^1$ და 73-ე მუხლებით.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 90. სამსახურის ადგილობრივი საბჭო

1. სამსახურის ადგილობრივი საბჭო (შემდგომ – საბჭო) არის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი ორგანო. საბჭოების რაოდენობა და ტერიტორიული განსჯადობა, აგრეთვე სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების/სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

2. საბჭო შედგება 5 წევრისგან. საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

ა) სამსახურის 1 მოსამსახურე;

ბ) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) 1 თანამშრომელი;

გ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 წარმომადგენელი;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 2 წარმომადგენელი.

3. საბჭოს წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს სათანადო განათლება და პროფესიული გამოცდილება, აგრეთვე საქმიანი და მორალური თვისებებით შეუძლია საბჭოს წევრის ფუნქციების შესრულება.

4. ამ მუხლის მე-2 ნაწილის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირს შეარჩევს და საბჭოს წევრად ნიშნავს სამსახურის გენერალური დირექტორი;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირს საბჭოს წევრად სააგენტოს უფროსის წარდგინებით ნიშნავს სამსახურის გენერალური დირექტორი;

გ) „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირს საბჭოს წევრად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით ნიშნავს სამსახურის გენერალური დირექტორი;

დ) „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირებს საბჭოს წევრებად ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამსახურის საკოორდინაციო საბჭოს წარდგინებით ნიშნავს სამსახურის გენერალური დირექტორი.

5. სამსახურის საკოორდინაციო საბჭო იქმნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა შერჩევისა და საბჭოს წევრებად წარდგენის მიზნით. სამსახურის საკოორდინაციო საბჭოს უფლებები, მოვალეობები და საქმიანობის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

6. საბჭოს წევრი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და ამ კოდექსს.

7. საბჭოს წევრი ინიშნება 1 წლის ვადით.

8. საბჭოს წევრი თანამდებობიდან თავისუფლდება სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით, ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლის არსებობისას:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

გ) მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

დ) ამ მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული უფლებამოსილების ვადის გასვლა;

ე) კანონით დადგენილი წესით უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;

ვ) გარდაცვალება;

ზ) საბჭოს სხდომის ზედიზედ 3-ჯერ არასაპატიო მიზეზით გაცდენა;

თ) საბჭოს წევრად დანიშვნისას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება;

ი) საკუთარი მოვალეობის არაკეთილსინდისიერად ან/და არაჯეროვნად შესრულება;

კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საბჭოს ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია.

9. საბჭოს განსჯად ტერიტორიაზე მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში საბჭოს სხდომა შეიძლება გაიმართოს ვიდეოკავშირის საშუალებათა გამოყენებით.

10. საბჭოების საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ უზრუნველყოფას, მათ შორის, სასამართლო წარმომადგენლობას, ახორციელებს სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი. მას უფლება აქვს, სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაამუშაოს და შეინახოს მსჯავრდებულთა პერსონალური მონაცემები (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები).

11. საბჭოს სხდომაში მონაწილე პირი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაიცვას პერსონალური მონაცემები, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა სხდომაში მონაწილეობის შედეგად.

*საქართველოს 2025 წლის 2 აპრილის კანონი №419 – ვებგვერდი, 03.04.2025წ.*
*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 91. საბჭოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ

1. თუ მსჯავრდებულმა (გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა) ფაქტობრივად მოიხადა სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის კანონით დადგენილი ვადა, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია საბჭოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა და ამის შესახებ აცნობოს მსჯავრდებულს. თუ საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას დამატებითი დრო სჭირდება, პენიტენციური დაწესებულება უფლებამოსილია აღნიშნული შუამდგომლობა საბჭოს 7 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს.

2. მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს და ახლო ნათესავს უფლება აქვთ, საბჭოს წარუდგინონ დამატებითი ინფორმაცია.

3. საბჭო საქმეს განიხილავს ზეპირი მოსმენით ან/და ზეპირი მოსმენის გარეშე, ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით. მისი ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას საბჭო მინისტრის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ, საქმის ზეპირი მოსმენით განსახილველად დაშვების შესახებ ან მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ. გადაწყვეტილებაში აღინიშნება მსჯავრდებულის შესახებ მონაცემები და საქმის ძირითადი გარემოებები.

4. პენიტენციური დაწესებულების შუამდგომლობის განხილვისას საბჭო ითვალისწინებს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევას, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე.

5. თუ საბჭო საჭიროდ მიიჩნევს, მსჯავრდებულისგან მიიღოს დამატებითი ინფორმაცია მისი სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადასაწყვეტად, იგი ატარებს ზეპირ მოსმენას. ზეპირ მოსმენაზე საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ ან მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ.

6. მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.

7. საბჭოს მიერ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში იმავე საკითხზე პენიტენციური დაწესებულების შუამდგომლობა ხელახლა შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება ან/და არსებობს განსაკუთრებული გარემოება. სავალდებულოა მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის 6 თვეში ერთხელ განხილვა. თუ მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება, საბჭო მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს განიხილავს მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე.

8. საბჭო უფლებამოსილია მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით მიმართოს სააგენტოს მსჯავრდებულისთვის დამატებითი პირობების განსაზღვრის შესახებ რეკომენდაციით.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 92. საბჭოს გადაწყვეტილება სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ

1. მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს (გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა, მისი დამცველისა/კანონიერი წარმომადგენლისა) უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით წარუდგინოს საბჭოს მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით – შეცვლის საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაცია და შესაბამისი შუამდგომლობა.

1[1]. თუ უცხოელმა მსჯავრდებულმა (გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა) ფაქტობრივად მოიხადა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისთვის კანონით დადგენილი ვადა, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია საბჭოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს უცხოელი მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უცხოელის საქართველოდან გაძევებითა და საქართველოში შემოსვლის აკრძალვით შეცვლის თაობაზე შუამდგომლობა და ამის შესახებ აცნობოს უცხოელ მსჯავრდებულს. თუ საჭირო ინფორმაციის მოძიება და დამუშავება დამატებით დროს მოითხოვს, პენიტენციური დაწესებულება უფლებამოსილია აღნიშნული შუამდგომლობა საბჭოს 7 დღის ვადაში წარუდგინოს.

2. მსჯავრდებულს/უცხოელ მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს და ახლო ნათესავს უფლება აქვთ, საბჭოს წარუდგინონ დამატებითი ინფორმაცია.

3. საბჭო საქმეს განიხილავს ზეპირი მოსმენით ან/და ზეპირი მოსმენის გარეშე, ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით.

4. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას საბჭო მინისტრის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ, ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ან საქმის ზეპირი მოსმენით განსახილველად დაშვების შესახებ.

5. თუ საბჭო საჭიროდ მიიჩნევს, მსჯავრდებულისგან/უცხოელი მსჯავრდებულისგან მიიღოს დამატებითი ინფორმაცია მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის გადასაწყვეტად, იგი ატარებს ზეპირ მოსმენას. ზეპირ მოსმენაზე საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულისთვის/უცხოელი მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ ან მსჯავრდებულისთვის/უცხოელი მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ.

6. შესაბამისი შუამდგომლობის განხილვისას საბჭო ითვალისწინებს მსჯავრდებულის/უცხოელი მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევას, მის მიერ წარსულში დანაშაულის

ჩადენის ფაქტს, მის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და სასჯელის მოხდისას გამოვლენილ სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე. ამასთანავე, ამ მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრული შუამდგომლობის განხილვისას საბჭო ითვალისწინებს აგრეთვე უცხოელი მსჯავრდებულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $47^2$ მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულ გარემოებებს.

$6^1$. ამ მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრული უცხოელი მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უცხოელის საქართველოდან გაძევებითა და საქართველოში შემოსვლის აკრძალვით შეცვლა არ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $47^2$ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ამ ნაწილით განსაზღვრული აკრძალვის საფუძვლის არსებობის შესახებ დასკვნას პენიტენციური დაწესებულების მიმართვის საფუძველზე 30 დღის ვადაში გასცემს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

$6^2$. ამ მუხლის $1^1$ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში უცხოელი მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უცხოელის საქართველოდან გაძევებითა და საქართველოში შემოსვლის აკრძალვით შეცვლა არ გამოიყენება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი მსჯავრდებულის მიმართ საექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

7. საბჭო მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში, გარდა უცხოელი მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უცხოელის საქართველოდან გაძევებითა და საქართველოში შემოსვლის აკრძალვით შეცვლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებისა.

8. მსჯავრდებულისთვის/უცხოელი მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდეს სასამართლოში. უცხოელი მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უცხოელის საქართველოდან გაძევებითა და საქართველოში შემოსვლის აკრძალვით შეცვლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება არ აფერხებს გაძევების აღსრულებას.

9. საბჭოს მიერ მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში იმავე საკითხზე შესაბამისი მსჯავრდებულის შუამდგომლობა ხელახლა შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება ან/და არსებობს განსაკუთრებული გარემოება.

$9^1$. საბჭოს მიერ უცხოელი მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უცხოელის საქართველოდან გაძევებითა და საქართველოში შემოსვლის აკრძალვით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში იმავე საკითხზე პენიტენციური დაწესებულების შუამდგომლობა ხელახლა შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უცხოელი მსჯავრდებულის მიერ მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება ან/და არსებობს განსაკუთრებული გარემოება. უცხოელი მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების უცხოელის საქართველოდან გაძევებითა და საქართველოში შემოსვლის აკრძალვით შეცვლის საკითხის 6 თვეში ერთხელ განხილვა სავალდებულოა.

10. საბჭოს გადაწყვეტილებაში აღინიშნება მსჯავრდებულის/უცხოელი მსჯავრდებულის შესახებ მონაცემები და საქმის ძირითადი გარემოებები.

**შენიშვნა:** ამ მუხლის მიზნებისთვის უცხოელი მსჯავრდებული არის პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, აგრეთვე საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი.

*საქართველოს 2026 წლის 25 ივნისის კანონი №1808 – ვებგვერდი, 29.06.2026წ.*

## მუხლი 93. პენიტენციური დაწესებულების მოვალეობები მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებისას და სხვა გარემოებების არსებობისას

1. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის ან/და მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისთვის კანონით დადგენილი ვადის ფაქტობრივად მოხდამდე 3 თვით ადრე წერილობით მიმართოს სააგენტოს დაწესებულების გარეთ აღნიშნული მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების შესახებ. მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესში სამსახურსა და სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

2. თავისუფლების აღკვეთის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 3 თვისა პენიტენციური დაწესებულება მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს (შემდგომ – პრობაციის ბიურო) და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს აცნობებს მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების, მისი საცხოვრებელი ადგილის, შრომისუნარიანობისა და სპეციალობის შესახებ.

3. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შესახებ მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

3[1]. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესით აცნობოს იმ მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების თაობაზე, რომელსაც სასჯელის სახედ განესაზღვრა უცხოელის საქართველოდან გაძევება და საქართველოში შემოსვლის აკრძალვა.

3[2]. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს დაუყოვნებლივ აცნობოს იმ უცხოელი მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების თაობაზე, რომელსაც სასჯელის მოუხდელი ნაწილი უცხოელის საქართველოდან გაძევებითა და საქართველოში შემოსვლის აკრძალვით შეეცვალა.

4. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულ პირს პენიტენციური დაწესებულების დატოვებისას განუმარტოს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შეზღუდვა (უფლების ჩამორთმევა).

5. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებული პირის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების, გაქცევის, ამ კოდექსის 125-ე მუხლით დადგენილი წესით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, აგრეთვე ამავე კოდექსის 34-ე მუხლის მე-12 ნაწილით დადგენილი წესით გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გასვლის შესახებ წერილობითი შეტყობინება დაუყოვნებლივ გაუგზავნოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

6. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალთა მიმართ ძალადობისთვის ან/და ოჯახში ძალადობისთვის მსჯავრდებული პირის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების, გაქცევის, ამ კოდექსის 125-ე მუხლით დადგენილი წესით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ, აგრეთვე ამავე კოდექსის 34-ე მუხლის მე-12 ნაწილით დადგენილი წესით გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გასვლის შესახებ.

*საქართველოს 2025 წლის 26 ივნისის კანონი №878 – ვებგვერდი, 07.07.2025წ.*
*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*
*საქართველოს 2026 წლის 25 ივნისის კანონი №1808 – ვებგვერდი, 29.06.2026წ.*

# წიგნი III

# ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებრივი მდგომარეობა. მსჯავრდებულის რესოციალიზაცია

## თავი XVI

## ბრალდებულისა და მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობა

### მუხლი 94. ბრალდებულისა და მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლები. ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებები

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათ სამართლებრივ და სოციალურ დაცვასა და მათი პირადი უსაფრთხოების დაცვას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას.

2. ბრალდებულს პატიმრობის აღსრულებისას, აგრეთვე მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის აღსრულებისას გარანტირებული აქვს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები.

3. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფილი იყოს:

ა.ა) საცხოვრებლით, კვებით, პირადი ჰიგიენით, ტანსაცმლით/ფეხსაცმლით, შრომით, შრომისა და პირადი უსაფრთხოებით;

ა.ბ) სამედიცინო მომსახურებით;

ა.გ) ახლო ნათესავთან შეხვედრით (პაემნით), დამცველთან, დიპლომატიური წარმომადგენლობის, საკონსულო დაწესებულებისა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებთან შეხვედრით (თუ ბრალდებული/მსჯავრდებული უცხო ქვეყნის მოქალაქეა);

ა.დ) სატელეფონო საუბრითა და მიმოწერით;

ა.ე) ამანათისა და ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნით;

ა.ვ) უფასო იურიდიული დახმარებითა და სამართლებრივი კონსულტაციით;

ბ) მიიღოს ზოგადი განათლება და პროფესიული განათლება;

გ) მონაწილეობა მიიღოს სპორტულ, კულტურულ და რელიგიურ ღონისძიებებში;

დ) მიიღოს ინფორმაცია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით; ისარგებლოს მხატვრული და სხვა ლიტერატურით;

ე) პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ნებართვითა და კონტროლით ახორციელებდეს ინდივიდუალურ საქმიანობას, ჰქონდეს ამისთვის საჭირო ინვენტარი და პენიტენციური დაწესებულების ხელშეწყობით ახდენდეს ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული ნივთის (ნაკეთობის) რეალიზაციას;

ვ) შეიტანოს მოთხოვნა, საჩივარი;

ვ[1]) „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მოითხოვოს საერთაშორისო დაცვა, თუ ბრალდებული/ მსჯავრდებული უცხოელია ან მოქალაქეობის არმქონე პირია;

ზ) ყოველდღიურად, არანაკლებ 1 საათისა სუფთა ჰაერზე იმყოფებოდეს (ისარგებლოს გასეირნების უფლებით);

თ) განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით დროებით დატოვოს პენიტენციური დაწესებულება;

ი) ისარგებლოს შესაბამისი სარეაბილიტაციო პროგრამებით.

4. მსჯავრდებული დამატებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სარგებლობს:

ა) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით;

ბ) აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე განათლების მიღების უფლებით, ხოლო არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე განათლების მიღების უფლებით;

გ) პროფესიული მომზადებისა და გადამზადების უფლებით.

5. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, დადგენილი წესით მიიღოს მონაწილეობა რელიგიურ რიტუალებში და შეხვდეს სასულიერო პირებს, თან იქონიოს და გამოიყენოს რელიგიური ლიტერატურა და საკულტო საგნები. ბრალდებულის/მსჯავრდებულის რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის წესს განსაზღვრავს მინისტრი.

6. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული ნივთის (ნაკეთობის) რეალიზაციისა და ამ მიზნით ინდივიდუალური საქმიანობის განხორციელების წესს განსაზღვრავს მინისტრი.

*საქართველოს 2025 წლის 26 ივნისის კანონი №878 – ვებგვერდი, 07.07.2025წ.*

## მუხლი 95. იურიდიული დახმარება

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით.

2. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე შეხვდეს თავის ადვოკატს, რომელიც ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ საადვოკატო საქმიანობას. პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი უფლებამოსილია ბრალდებულის/მსჯავრდებულის ადვოკატთან შეხვედრას დააკვირდეს ვიზუალურად, ტექნიკური საშუალებით დისტანციური დაკვირვებისა და ჩაწერის პირობებში, მაგრამ მოსმენის გარეშე. ბრალდებულისა და მსჯავრდებულის მიერ ადვოკატთან შეხვედრის უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

3. ბრალდებულის/მსჯავრდებულის ადვოკატთან შეხვედრა არ შედის ამ კოდექსით გათვალისწინებულ პაემნებში.

## მუხლი 96. ჯანმრთელობის დაცვის უფლება

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ისარგებლოს საჭირო სამედიცინო მომსახურებით. საჭიროების შემთხვევაში ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პენიტენციურ დაწესებულებაში ნებადართული სამკურნალო საშუალებები. მოთხოვნის შემთხვევაში ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს პენიტენციური დაწესებულების მიერ შეძენილზე მეტი ღირებულების ან ანალოგიური თვისებების მქონე სამკურნალო საშუალების საკუთარი სახსრებით შეძენის უფლება. დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, სამსახურის გენერალური დირექტორის ნებართვით, საკუთარი სახსრებით მოიწვიოს პირადი ექიმი.

2. პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიღებისას სავალდებულოა მისი

ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება. ამ შემოწმების შესახებ დგება შესაბამისი ცნობა, რომელიც ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო ბარათში ინახება.

## მუხლი 97. ბრალდებულის/მსჯავრდებულის წახალისება

1. მსჯავრდებულის წახალისების სახეებია:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;

გ) დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლების მიცემა;

დ) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ დამატებითი ხანმოკლე გასვლის უფლების მიცემა;

ე) დამატებითი ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა;

ვ) სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით საგამონაკლისო ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა;

ზ) სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით იმ პირთან ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა, რომელიც ამ კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არ არის;

თ) დამატებითი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა;

ი) დამატებითი ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლების მიცემა;

კ) ამანათით ან ფოსტით ისეთი ნივთების, ნივთიერებების ან/და ნაკეთობების მიღების უფლების მიცემა, რომელთა ქონის უფლებაც მსჯავრდებულს პენიტენციურ დაწესებულებაში, ჩვეულებრივ, არ აქვს, მაგრამ რომელთა ქონაც აკრძალული არ არის;

ლ) დამატებითი საოჯახო პაემნის უფლების მიცემა;

მ) კომპიუტერით სარგებლობის უფლების მიცემა ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გარეშე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის:

ა) „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წახალისების სახე არ გამოიყენება დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულების მიმართ;

ბ) „ე“–„თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წახალისების სახეები არ გამოიყენება გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის მიმართ;

გ) „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წახალისების სახე გამოიყენება მხოლოდ გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის მიმართ;

დ) „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წახალისების სახე გამოიყენება მხოლოდ ქალი მსჯავრდებულის მიმართ;

ე) „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წახალისების სახე გამოიყენება მხოლოდ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის მიმართ.

3. ბრალდებულის მიმართ გამოიყენება მხოლოდ ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წახალისების სახეები.

4. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ წახალისების სახის გამოყენებისას გაითვალისწინება მისი საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ფაქტი და ხარისხი.

## მუხლი 98. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მატერიალური პასუხისმგებლობა

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მატერიალურ ზიანს მიაყენებს სახელმწიფოს, იურიდიულ პირს ან ფიზიკურ პირს, ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა:

ა) შრომითი ვალდებულებების შესრულებისას მიყენებული ზიანისთვის – საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობით;

ბ) სხვა ქმედებით მიყენებული ზიანისთვის – საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობით.

2. ბრალდებული/მსჯავრდებული ანაზღაურებს მკურნალობის ხარჯებს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით თვითდაზიანების ან სხვისი დაზიანების შემთხვევაში, აგრეთვე პენიტენციური დაწესებულებისთვის მიყენებულ ზიანს, პენიტენციური დაწესებულებიდან მისი გაქცევის აღკვეთასთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებს.

3. თუ ბრალდებული/მსჯავრდებული ნებაყოფლობით არ აანაზღაურებს ზიანს, ზიანის ანაზღაურების საკითხი განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის არასწორად გადახდევინებული თანხა მას უბრუნდება და პირად საბანკო ანგარიშზე ერიცხება.

4. ბრალდებულის/მსჯავრდებულის ქმედებით პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე პირის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში ამ პირის გადაუდებელი მკურნალობის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

## მუხლი 99. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოვალეობები

1. ბრალდებული/მსჯავრდებული ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების წესები და პირობები, შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები და მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნები.

2. ბრალდებული/მსჯავრდებული ვალდებულია:

ა) დაიცვას შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დებულება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები, დღის განრიგი და შეასრულოს მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნები;

ბ) გაუფრთხილდეს შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების ან სხვა პირის ქონებას და არ დააზიანოს ის;

გ) თავაზიანად მოეპყროს სხვა ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს და დაწესებულების მოსამსახურეებს;

დ) შეინახოს კვების პროდუქტები და ინდივიდუალური მოხმარების საგნები სათანადოდ გამოყოფილ ადგილებსა და სათავსებში;

ე) დაიცვას პირადი ჰიგიენა, სუფთად და წესრიგში იქონიოს ტანსაცმელი/ფეხსაცმელი, საწოლი, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი;

ვ) სურვილის შემთხვევაში იმუშაოს მხოლოდ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების

დირექტორის მიერ გამოყოფილ სამუშაო ადგილზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით;

ზ) არ ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რომელიც შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით ეკრძალება.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## თავი XVII

## ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთხოვნა და საჩივარი

### მუხლი 100. მოთხოვნა და მისი შეტანის წესი

1. მოთხოვნის შეტანით ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუძლია მოითხოვოს ის უფლებები, რომელთა მინიჭებაც პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილებას განეკუთვნება.

2. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, მოთხოვნა შეიტანოს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, წერილობითი ფორმით. მოთხოვნა შეიძლება კონფიდენციალური იყოს.

3. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთხოვნა რეგისტრირდება პენიტენციურ დაწესებულებაში. მას გადაეცემა მოთხოვნის რეგისტრაციის ნომერი.

4. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, მოთხოვნით მიმართოს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. იგი ვალდებულია ბრალდებულს/მსჯავრდებულს წერილობით, 5 კალენდარული დღის ვადაში უპასუხოს.

5. მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

### მუხლი 101. საჩივრის შეტანის უფლება

1. საჩივრის შეტანის საფუძველია პენიტენციურ სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი თანამშრომლის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), სამართლებრივი აქტი, გადაწყვეტილება და ამ კოდექსით გათვალისწინებული უფლებების სხვაგვარი ხელყოფა.

2. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, საჩივარი შეიტანოს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს წერილობითი ფორმით.

3. საჩივრის შეტანა შესაძლებელია შესაბამისი საფუძვლის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში.

4. საჩივარი შეიძლება შეიტანოს აგრეთვე ბრალდებულის/მსჯავრდებულის ადვოკატმა, კანონიერმა წარმომადგენელმა ან ახლო ნათესავმა, თუ:

ა) მას აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაირღვა ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებები;

ბ) ბრალდებულს/მსჯავრდებულს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს საშუალებას, თავად შეიტანოს საჩივარი.

5. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს იგი საჩივრის შესატანად აუცილებელი რაოდენობის შესაბამისი საშუალებებით, მათ შორის, საწერი საშუალებით, ქაღალდით, კონფიდენციალური საჩივრისთვის საჭირო კონვერტით.

6. დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლების შეზღუდვა, აგრეთვე ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის უფლებით სარგებლობაზე უარის თქმა მის მიერ საჩივრის შეტანის გამო.

7. პენიტენციურმა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის საჩივარში აღნიშნული პრობლემის ადგილზე გადაჭრა. არაკონფიდენციალური საჩივარი, რომელიც პენიტენციურმა დაწესებულებამ შეიძლება ადგილზე განხილვით გადაწყვიტოს, გადაწყდება იმ ორგანოსა და პირის მიერ მისი განხილვის შედეგების დალოდების გარეშე, რომელთაც ის გაეგზავნა.

8. პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულს/მსჯავრდებულს პასუხისმგებელმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა მისცეს საშუალება, გაეცნოს წერილობით ინფორმაციას თავისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, მათ შორის, საჩივრის შეტანის უფლებისა და გასაჩივრების კანონით დადგენილი წესის თაობაზე.

9. წერა-კითხვის არმცოდნე ბრალდებულს/მსჯავრდებულს შესაბამისი ინფორმაცია ზეპირად უნდა მიეწოდოს. უფლებამოსილი პირი ადგენს ოქმს ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ, რომელსაც ბრალდებული/მსჯავრდებული ხელმოწერით ადასტურებს.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 102. საჩივრის ადრესატი

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, საჩივრით მიმართოს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს, თუ საჩივარი უკავშირდება პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურის საქმიანობას, ან სამსახურის გენერალურ დირექტორს, თუ საჩივარი უკავშირდება სამსახურის მოსამსახურის საქმიანობას.

2. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, საჩივრის დაკმაყოფილებაზე პენიტენციური დაწესებულების დირექტორის უარი გაასაჩივროს სამსახურის გენერალურ დირექტორთან, აგრეთვე იმ საჩივრით, რომელიც უკავშირდება პენიტენციური დაწესებულების დირექტორის საქმიანობას, მიმართოს სამსახურის გენერალურ დირექტორს.

3. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, იმ საჩივრით, რომელიც უკავშირდება სამსახურის გენერალური დირექტორის საქმიანობას, მიმართოს მინისტრს.

4. დაუშვებელია საჩივრის გადაწყვეტაში იმ პირის მონაწილეობა, რომლის ქმედება, სამართლებრივი აქტი ან გადაწყვეტილება საჩივრდება.

5. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს საჩივრით საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს/საქართველოს პროკურატურას.

*საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №703 – ვებგვერდი, 25.06.2025წ.*

## მუხლი 103. საჩივრის შეტანის წესი

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, საჩივრის ადრესატის განსაზღვრის ან სხვა ტექნიკური საკითხის მოგვარების მიზნით მოითხოვოს სამსახურის სოციალური მუშაკის კონსულტაცია.

2. საჩივრის შედგენისას ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ადვოკატის კონსულტაცია. ადვოკატის ხარჯები ანაზღაურდება კანონით დადგენილი წესით.

3. საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს წერილობით, მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

4. ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელმაც არ იცის საქართველოს სახელმწიფო ენა, არ ესმის სამართალწარმოების ენა, უფლება აქვს, ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით.

5. ბრალდებულს/მსჯავრდებულს პასუხი გაეცემა საქართველოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული პროცედურა.

## მუხლი 104. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საჩივრების ყუთი

1. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საჩივრების ყუთი უნდა განთავსდეს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ყველა ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის ხელმისაწვდომ ადგილას, სადაც არ ხორციელდება ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა. პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე შეიძლება განთავსდეს საჩივრების რამდენიმე ყუთი.

2. საჩივრების ყუთს უნდა გაუკეთდეს აბრა წარწერით „საჩივრების ყუთი“.

3. საჩივრების ყუთი დალუქული უნდა იყოს.

4. სამსახურის სოციალური მუშაკი საჩივრების ყუთს ხსნის, კეტავს და ლუქავს ყოველი სამუშაო დღის ბოლოს, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ან დირექტორის მოადგილის თანდასწრებით.

5. საჩივრების ყუთის გახსნისთანავე ხდება საჩივრების კონვერტების ვიზუალური დათვალიერება და მათი ნომრების რეგისტრაცია.

6. პენიტენციურ დაწესებულებაში საჩივრების რეგისტრაციასა და აღრიცხვას უზრუნველყოფს სამსახურის სოციალური მუშაკი.

7. საჩივრების ყუთის დაზიანების შემთხვევაში ის უმოკლეს ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, უნდა შეკეთდეს ან უნდა განთავსდეს საჩივრების ახალი ყუთი.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 105. საჩივრის გადაგზავნის წესი

1. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია საჩივარი მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა გადაუგზავნოს ადრესატს.

2. პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს მისთვის განკუთვნილი საჩივარი შეუფერხებლად, ამ დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით მიეწოდება.

3. საჩივრის გადაგზავნიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა საჩივრების ყუთთან გამოიკვრება გადაგზავნილი საჩივრის რეგისტრაციის ნომერი და შესაბამისი კონვერტის კოდი.

4. არაკონფიდენციალური საჩივარი განსახილველად არ ეგზავნება იმ პირს ან იმ პირისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ პირს, რომლის ქმედებასაც ეხება საჩივარი.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 106. საჩივრის განხილვის ვადები

1. პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი საჩივარს განიხილავს მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა. საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ საჩივრის ავტორს დაუყოვნებლივ, ზეპირად ან წერილობით ეცნობება.

2. სამსახურის გენერალური დირექტორი საჩივარს განიხილავს მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. სამსახურის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია საჩივრის განხილვის ვადა გააგრძელოს არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა. საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ საჩივრის ავტორს წერილობით ეცნობება.

3. საჩივარი, გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, განიხილება კანონით დადგენილ ვადაში.

### მუხლი 107. კონფიდენციალური საჩივარი

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეიტანოს კონფიდენციალური საჩივარი.

2. კონფიდენციალურია საჩივარი, რომელიც დალუქულ კონვერტშია მოთავსებული და რომელზედაც მითითებულია ადრესატი.

3. პენიტენციური დაწესებულება უზრუნველყოფს საჩივრის კონფიდენციალურობის დაცვას. თუ კონფიდენციალურ საჩივარზე ადრესატი მითითებული არ არის ან მასზე მითითებული ადრესატის იდენტიფიცირება შეუძლებელია, პენიტენციური დაწესებულება საჩივრის კონვერტის ნომრისა და საჩივრის გაგზავნაზე უარის თქმის მიზეზის შესახებ ინფორმაციას საჩივრების ყუთთან, თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრავს. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, კონფიდენციალური საჩივარი 2 კვირის ვადაში დაიბრუნოს. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია კონფიდენციალური საჩივარი შეინახოს არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა და ამ ვადის ამოწურვისთანავე, კონფიდენციალურობის დაცვით გაანადგუროს ის.

### მუხლი 108. წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრები

1. წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების შეტანა განსაკუთრებულ შემთხვევას განეკუთვნება და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული.

2. წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრის შესახებ მისი მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფსა და საქართველოს პროკურატურას.

*საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №703 – ვებგვერდი, 25.06.2025წ.*

### მუხლი 109. საჩივრის განხილვის შედეგები. გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. საჩივრის განხილვის შედეგები შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა ბრალდებულს/მსჯავრდებულს ხელწერილით გაეცნობა და მის პირად საქმეს დაერთვება.

2. საჩივარში მითითებულ ყოველ კონკრეტულ მოთხოვნას დასაბუთებული პასუხი უნდა გაეცეს.

3. საჩივართან დაკავშირებით უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ეცნობოს დასაბუთებული პასუხი.

4. საჩივრის განხილვის შედეგები შეიძლება ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## თავი XVIII

## ბრალდებულისა და მსჯავრდებულის საცხოვრებელი პირობები

### მუხლი 110. ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელი პირობები

1. ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის გამოყოფილი საცხოვრებელი უნდა შეესაბამებოდეს მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილ სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს და უნდა უზრუნველყოფდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

2. ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელი ფართობის ნორმა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და პატიმრობის დაწესებულებაში/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მ-ზე ნაკლები.

3. ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას. ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს გათბობით. ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს აგრეთვე ბუნებრივი ან/და ხელოვნური ვენტილაციით.

4. ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელიც არის ორსული ქალი, მეძუძური დედა, ავადმყოფი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან ხანდაზმული (ქალი – 60 წლიდან, მამაკაცი – 65 წლიდან), უნდა ჰქონდეს მისი სპეციფიკური საჭიროებების შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობები.

5. პენიტენციური დაწესებულება ბრალდებულს/მსჯავრდებულს გონივრულ ფარგლებში უქმნის ღირსეულ საცხოვრებელ პირობებს, რომლებიც უნდა მიესადაგებოდეს პენიტენციური დაწესებულების ინფრასტრუქტურას და საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ამ დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული, ნებადართული საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ტექნიკის ჩამონათვალი განისაზღვრება პენიტენციური დაწესებულების დებულებით.

## მუხლი 111. ბრალდებულის/მსჯავრდებულის კვება

1. პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული საკვები უნდა შეიცავდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელ კომპონენტებს. ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯის მიზნით საკვების კალორიულობის შემცირება აკრძალულია.

2. ბრალდებულის/მსჯავრდებულის კვების ნორმები განისაზღვრება მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

3. პენიტენციური დაწესებულება ბრალდებულს/მსჯავრდებულს ყოველდღიურად უზრუნველყოფს არანაკლებ სამჯერადი კვებით.

4. ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელიც არის ქალი, ორსული ქალი, მეძუძური დედა, ავადმყოფი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან ხანდაზმული (ქალი – 60 წლიდან, მამაკაცი – 65 წლიდან), უნდა შეექმნას მისი მდგომარეობის შესაბამისი კვების პირობები.

5. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში შეიძინოს დამატებითი კვების პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები იმ თანხით, რომელიც მან პენიტენციურ დაწესებულებაში მუშაობისას გამოიმუშავა ან პირად საბანკო ანგარიშზე ახლო ნათესავებმა ან სხვა პირებმა ჩაურიცხეს. ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა დამატებითი კვების პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების საგნების შესაძენად საკუთარი სახსრები შეიძლება გამოიყენოს მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით.

6. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, სამსახურის გენერალური დირექტორის ნებართვით დამატებითი კვების პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები ამანათის სახით მიიღოს.

7. ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუზღუდავი რაოდენობით უნდა ჰქონდეს სუფთა სასმელი წყალი.

8. პენიტენციურ დაწესებულებაში მოშიმშილე ბრალდებულის/მსჯავრდებულის ყოფნის პირობები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

## მუხლი 112. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი ჰიგიენა

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს ბუნებრივი

ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები და დაიცვას პირადი ჰიგიენა პატივისა და ღირსების შეულახავად.

2. ბრალდებული/მსჯავრდებული, როგორც წესი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შხაპის კვირაში ორჯერ მიღების შესაძლებლობით, აგრეთვე საპარიკმახერო მომსახურებით არანაკლებ თვეში ერთხელ. პენიტენციურ დაწესებულებას უფლება აქვს, მოსთხოვოს ბრალდებულს/მსჯავრდებულს თმის გადაპარსვა, თუ არსებობს ექიმის შესაბამისი მოთხოვნა ან ეს აუცილებელია ჰიგიენის დასაცავად.

## მუხლი 113. ბრალდებულის/მსჯავრდებულის ტანსაცმელი/ფეხსაცმელი და თეთრეული

1. თუ ბრალდებულს/მსჯავრდებულს არ აქვს პირადი ტანსაცმელი/ფეხსაცმელი ან/და ჰიგიენის დასაცავად აუცილებელი სხვა პირადი ნივთი, პენიტენციური დაწესებულება უზრუნველყოფს მას სეზონის შესაფერისი ტანსაცმლით/ფეხსაცმლით ან/და ჰიგიენის დასაცავად აუცილებელი სხვა პირადი ნივთით. მისი ფორმა არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას.

2. აუცილებლობის შემთხვევაში მსჯავრდებულს ეძლევა სამუშაო ტანსაცმელი.

3. ბრალდებულს/მსჯავრდებულს პირად სარგებლობაში უნდა ჰქონდეს საწოლი და თეთრეული. მას სუფთა და დაუზიანებელი თეთრეული უნდა გადაეცეს. პენიტენციურმა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს თეთრეულის სისუფთავე.

4. პენიტენციური დაწესებულება უფლებამოსილია ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისცეს სპეციალური ტანსაცმელი/ფეხსაცმელი. მისი ფორმა არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას. ბრალდებული/მსჯავრდებული ვალდებულია ეცვას სპეციალური ტანსაცმელი/ფეხსაცმელი.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 114. გასეირნება

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს დღის განმავლობაში არანაკლებ 1 საათისა სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლება. სუფთა ჰაერზე ყოფნის ადგილი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მეტეოროლოგიურმა პირობებმა ხელი არ შეუშალოს შესაბამისი უფლების რეალიზებას.

2. ბრალდებულის/მსჯავრდებულის გასეირნება ხდება დღის საათებში, პენიტენციური დაწესებულების მიერ ამისთვის გამოყოფილ ადგილზე. გასეირნება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დებულებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

# თავი XIX

# ბრალდებულისა და მსჯავრდებულის გარე სამყაროსთან კომუნიკაცია

## მუხლი 115. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმოწერა

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა. პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის მიმოწერა აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ერთმანეთის ოჯახის წევრები (მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილი (ნაშვილები), გერი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, და, ძმა) არიან. პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ოჯახის წევრთან მიმოწერის უფლება ბრალდებულს შეიძლება შეეზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით, ხოლო მსჯავრდებულს – პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მოტივირებული გადაწყვეტილებით.

2. ბრალდებულს, აგრეთვე პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის გამოძიების გამო პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანილ მსჯავრდებულს გამომძიებლის ან პროკურორის

მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიძლება შეეზღუდოს მიმოწერის უფლება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

3. ბრალდებულს/მსჯავრდებულს მიმოწერის უფლება ეზღუდება ადრესატის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ქალთა მიმართ ძალადობისთვის ან/და ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირს დაზარალებულთან მიმოწერის უფლება ეზღუდება დაზარალებულის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

4. პენიტენციური დაწესებულების მიერ ბრალდებულის/მსჯავრდებულის სახელზე მიღებული წერილის მისთვის ჩაბარებას, აგრეთვე ბრალდებულის/მსჯავრდებულის წერილის ადრესატისთვის გაგზავნას უზრუნველყოფს ეს დაწესებულება. პირადი ხასიათის კორესპონდენცია ადრესატს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ხარჯით ეგზავნება.

5. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია ბრალდებულის/ მსჯავრდებულის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს იგი საწერი საშუალებითა და ქაღალდით, ხოლო ბრალდებული/მსჯავრდებული, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, – მიმოწერისთვის საჭირო შესაბამისი საშუალებებით. ბრალდებულს/მსჯავრდებულს გადაეცემა გონივრული რაოდენობის საწერი საშუალება და ქაღალდი.

6. ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია მოწმდება. შემოწმება მოიცავს კორესპონდენციის ვიზუალურ დათვალიერებას მისი შინაარსის გაცნობის გარეშე, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, პენიტენციური დაწესებულების შესაბამისი მოსამსახურე უფლებამოსილია გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა. აღნიშნული შეზღუდვის თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება კორესპონდენციის გამგზავნს და კორესპონდენცია შესაბამის საგამოძიებო ორგანოს ეგზავნება.

7. დახურული კონვერტით მიღებული კორესპონდენცია ბრალდებულის/მსჯავრდებულის თანდასწრებით უნდა გაიხსნას. აღნიშნული კორესპონდენციის ვიზუალური დათვალიერება მისი შინაარსის გაცნობის გარეშე უნდა განხორციელდეს.

8. პენიტენციურ დაწესებულებას ეკრძალება, შეაჩეროს ან/და შეამოწმოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, სამსახური, საქართველოს სახალხო დამცველი, ადვოკატი, საქართველოს პროკურატურა, საბჭო.

*საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი №4436 – ვებგვერდი, 02.10.2024წ.*
*საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №703 – ვებგვერდი, 25.06.2025წ.*

## მუხლი 116. სატელეფონო საუბარი

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს ამ კოდექსით დადგენილი წესით სატელეფონო საუბრის უფლება. პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის სატელეფონო საუბარი აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ამ კოდექსის 115-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის ოჯახის წევრები არიან. ბრალდებული/მსჯავრდებული პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ოჯახის წევრთან სატელეფონო საუბრის უფლებით სარგებლობის თაობაზე მიმართავს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ამ უფლებით სარგებლობამდე 10 კალენდარული დღით ადრე. პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ოჯახის წევრთან სატელეფონო საუბრის უფლება ბრალდებულს შეიძლება შეეზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით, ხოლო მსჯავრდებულს – პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მოტივირებული გადაწყვეტილებით.

2. სატელეფონო საუბარი ხორციელდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის ხარჯითა და პენიტენციური

დაწესებულების კონტროლით.

3. მსჯავრდებულს უფლება აქვს:

ა) დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს შეუზღუდავი რაოდენობის სატელეფონო საუბარი, თითოეული – არანაკლებ 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი;

ბ) ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს შეუზღუდავი რაოდენობის სატელეფონო საუბარი – დღე-ღამეში არანაკლებ 30 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული – არანაკლებ 15 წუთისა;

გ) დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს არანაკლებ 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არანაკლებ 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული – არანაკლებ 15 წუთისა;

დ) განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს არანაკლებ 2 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არანაკლებ 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – 1 სატელეფონო საუბარი არანაკლებ 15 წუთისა;

ე) ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს არანაკლებ 5 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არანაკლებ 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული – არანაკლებ 15 წუთისა.

4. ბრალდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში არანაკლებ 3-ჯერ ჰქონდეს სატელეფონო საუბარი, თითოეული – არანაკლებ 15 წუთისა.

5. მინისტრი უფლებამოსილია დაადგინოს ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით განსაზღვრულ სატელეფონო საუბრების რაოდენობასა და ხანგრძლივობაზე მეტი სატელეფონო საუბრების რაოდენობა და ხანგრძლივობა შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დებულებით, აღნიშნული დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და საამისოდ მნიშვნელოვანი სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

6. განსაკუთრებული გარემოების (ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან ამ კოდექსის 115-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის ოჯახის წევრის დაბადების დღე, შვილის დაბადება, სხვა გარემოება) არსებობისას შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელსაც შეზღუდული არ აქვს სატელეფონო საუბრის უფლება ამ მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება მიენიჭოს დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლება, რომელიც ხორციელდება შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში დადგენილი სატელეფონო საუბრის ხანგრძლივობით.

7. ბრალდებულს, აგრეთვე პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის გამოძიების გამო პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანილ მსჯავრდებულს გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიძლება შეეზღუდოს სატელეფონო საუბრის უფლება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

8. ამ მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სატელეფონო საუბრები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ, გარკვეული რაოდენობის სატელეფონო ნომრებზე, რომლებშიც არ შედის საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს პროკურატურის, სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზისა და მსჯავრდებულის ადვოკატის სატელეფონო ნომრები. მსჯავრდებულის მიერ სატელეფონო საუბრის განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება პენიტენციური დაწესებულების დებულებით.

9. ამ მუხლის მე-3–მე-5 ნაწილებით განსაზღვრული სატელეფონო საუბრის ლიმიტები, აგრეთვე ამ

მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს პროკურატურისა და სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრებზე დაკავშირების შემთხვევებზე. აღნიშნულ სატელეფონო ნომრებზე ბრალდებულის/მსჯავრდებულის სატელეფონო საუბრები პენიტენციური დაწესებულების ხარჯით ხორციელდება. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სატელეფონო საუბრის განხორციელების წესი განისაზღვრება პენიტენციური დაწესებულების დებულებით.

10. როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, სამსახურის უფლებამოსილ სტრუქტურულ ქვედანაყოფს უფლება აქვს, მოისმინოს და ჩაიწეროს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის სატელეფონო საუბრები. მსჯავრდებულს სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის შესახებ წინასწარ ეცნობება, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა.

11. ბრალდებულს/მსჯავრდებულს სატელეფონო საუბრის უფლება ეზღუდება ადრესატის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ქალთა მიმართ ძალადობისთვის ან/და ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულ/ მსჯავრდებულ პირს დაზარალებულთან სატელეფონო საუბრის უფლება ეზღუდება დაზარალებულის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

*საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი №4436 – ვებგვერდი, 02.10.2024წ.*
*საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №703 – ვებგვერდი, 25.06.2025წ.*
*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 117. ამანათისა და ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნა

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, მიიღოს ან გაუგზავნოს ამანათი და ფულადი გზავნილი უნაღდო ანგარიშსწორებით ახლო ნათესავს, ხოლო პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ნებართვით – სხვა პირს. თუ ფულადი გზავნილი ნაღდი ფულის სახით არის გამოგზავნილი, ის ბრალდებულს/მსჯავრდებულს არ გადაეცემა და გამომგზავნს უბრუნდება.

2. ბრალდებულს/მსჯავრდებულს ამანათის გაგზავნის უფლება ეზღუდება ადრესატის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ქალთა მიმართ ძალადობისთვის ან/და ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულს/ მსჯავრდებულს დაზარალებულისთვის ამანათის გაგზავნის უფლება ეზღუდება დაზარალებულის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 118. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გაცნობა

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს პრესის გაცნობის უფლება. პენიტენციურ დაწესებულებაში, როგორც წესი, ხორციელდება რადიო- და ტელეტრანსლაცია. პენიტენციურ დაწესებულებაში (გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისა) ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა შეიძლება ისარგებლოს აგრეთვე ელექტრონული სარეაბილიტაციო საგანმანათლებლო პროგრამით.

2. ბრალდებულს/მსჯავრდებულს, გარდა იმ ბრალდებულისა/მსჯავრდებულისა, რომელსაც შეფარდებული აქვს დისციპლინური პატიმრობა ან/და რომელიც მოთავსებულია სამარტოო საკანში, შეიძლება მიეცეს სამუშაოსგან თავისუფალ დროს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით რადიოტრანსლაციის მოსმენისა და ტელეტრანსლაციის ნახვის უფლება.

3. ბრალდებულს/მსჯავრდებულს ან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯგუფს უფლება აქვს, პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში შეიძინოს პირადი რადიომიმღები ან/და ტელევიზორი. ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა ან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯგუფმა აღნიშნული ტექნიკა შეიძლება შეიძინოს საკუთარი ხარჯით. აღნიშნულ მაღაზიაში არსებული პროდუქციის ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს მის საბაზრო ღირებულებას.

4. თუ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პირადი რადიომიმღების ან/და ტელევიზორის გამოყენებით ირღვევა პენიტენციური დაწესებულების დებულება და სხვა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიმშვიდე, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია ბრალდებულს/მსჯავრდებულს ჩამოართვას აღნიშნული ტექნიკა და ის მის ახლო ნათესავს გადასცეს. თუ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ახლო ნათესავი არ ჰყავს, ეს ტექნიკა პენიტენციურ დაწესებულებაში ინახება.

5. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკის გამოყენების პირობები განისაზღვრება პენიტენციური დაწესებულების დებულებით.

6. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, საკუთარი სახსრებით, გონივრული ოდენობით გამოიწეროს სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, რელიგიური და მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, მიიღოს საწერი საშუალებები, გარდა მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული აკრძალული ნივთებისა.

## მუხლი 119. პაემანი

1. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული იზოლაცია აკრძალულია. ბრალდებული/მსჯავრდებული ყველა სახის პაემნით სარგებლობს საფასურის გადაუხდელად.

2. ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს ხანმოკლე პაემნის უფლება ამ კოდექსის 120-ე მუხლის შესაბამისად.

3. ქალ მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს საოჯახო პაემნის უფლება ამ კოდექსის 121-ე მუხლის შესაბამისად.

4. ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს ხანგრძლივი პაემნის უფლება ამ კოდექსის 122-ე მუხლის შესაბამისად.

5. პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, გარდა ამ კოდექსის 123-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრდებულისა, შეიძლება მიეცეს ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება.

6. ბრალდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება ხანმოკლე პაემანი სატელეფონო საუბრით შეეცვალოს.

7. მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება შეეცვალოს:

ა) ხანმოკლე პაემანი – სატელეფონო საუბრით ან ვიდეოპაემნით;

ბ) ხანგრძლივი პაემანი – ხანმოკლე პაემნით, ვიდეოპაემნით ან სატელეფონო საუბრით;

გ) საოჯახო პაემანი – ხანმოკლე პაემნით, ვიდეოპაემნით ან სატელეფონო საუბრით.

8. პაემნის შეცვლის წესი განისაზღვრება პენიტენციური დაწესებულების დებულებით.

9. ბრალდებულს გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიძლება შეეზღუდოს ხანმოკლე პაემნის უფლება და ხანგრძლივი პაემნის უფლება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

10. პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის გამოძიების გამო პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანილ მსჯავრდებულს გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიძლება შეეზღუდოს პაემნის უფლება.

11. პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულებს/ მსჯავრდებულებს შორის პაემანი აკრძალულია.

## მუხლი 120. ხანმოკლე პაემანი

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს თავის ახლო ნათესავთან (შვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობელი, გერი, ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისშვილი, ძმისშვილი და მათი შვილები, ბებია, პაპა, ბებიის დედ-მამა, პაპის დედ-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში) ხანმოკლე პაემნის უფლება.

2. მსჯავრდებულს უფლება აქვს:

ა) დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასა და გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 4 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ხანმოკლე პაემანი;

ბ) ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი;

გ) დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი;

დ) განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი;

ე) ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი.

3. ბრალდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 4 ხანმოკლე პაემანი.

4. ბრალდებულს/მსჯავრდებულს პენიტენციური დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობით, სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით, წახალისების ფორმით შეიძლება მიეცეს იმ პირთან ხანმოკლე პაემნის უფლება, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არ არის.

5. ბრალდებულის/მსჯავრდებულის ამ მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ პირებთან ურთიერთობის კონტროლი ხორციელდება ადამიანის პატივისა და ღირსების შეულახავად.

6. ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან შეხვედრა ხდება მისი თანხმობის შემთხვევაში.

7. ხანმოკლე პაემნის მოთხოვნის თაობაზე ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულების დირექტორს წერილობით მიეწოდება. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირი პენიტენციური დაწესებულების დირექტორს წარუდგენს ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ახლო ნათესაობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

8. პენიტენციური დაწესებულება ხანმოკლე პაემნის მოთხოვნის თაობაზე განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა ორგანიზებას უწევს ხანმოკლე პაემანს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემაზე მოტივირებული უარის თქმის საფუძველი. ამ საფუძვლის არსებობის თაობაზე ინფორმაცია განმცხადებელს იმავე დღეს უნდა მიეწოდოს.

9. ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემის საკითხს წყვეტს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი.

10. ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემაზე პენიტენციური დაწესებულების დირექტორის თანხმობა ან მოტივირებული უარი ბრალდებულს/მსჯავრდებულს წერილობით ეცნობება.

11. ხანმოკლე პაემანი ეწყობა ერთიდან ორ საათამდე ვადით. სამსახურის წარმომადგენელი ახორციელებს ხანმოკლე პაემნის მიმდინარეობის ვიზუალურ ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობას, მაგრამ მოსმენის გარეშე. ამის თაობაზე ბრალდებულის/მსჯავრდებულის და მასთან ხანმოკლე პაემნის მსურველი პირის წინასწარ გაფრთხილება სავალდებულოა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

12. ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, უფლება აქვს, შეუზღუდავად შეხვდეს თავისი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების წარმომადგენელს ან იმ ქვეყნის უფლებამოსილ დიპლომატიურ წარმომადგენელს, რომელიც საქართველოში მისი ქვეყნის ინტერესების დაცვას ითავსებს. ბრალდებულს/ მსჯავრდებულს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა ან მოქალაქეობის არმქონე პირია, უფლება აქვს, ურთიერთობა ჰქონდეს თავისი ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებასთან. იმ სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელსაც საქართველოში დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება არ აქვს, უფლება აქვს, ურთიერთობა ჰქონდეს იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებასთან, რომელმაც მისი ინტერესების დაცვა საკუთარ თავზე აიღო, ან იმ სახელმწიფოთაშორის ორგანოსთან, რომელიც მის ინტერესებს იცავს.

13. ბრალდებულს/მსჯავრდებულს, ამ მუხლით განსაზღვრული რაოდენობის პაემნების გარდა, წახალისების ფორმით შეიძლება მიეცეს საგამონაკლისო ხანმოკლე პაემნის უფლება სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს აგრეთვე იმ პირთან საგამონაკლისო ხანმოკლე პაემნის უფლება, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არ არის.

14. გამოძიებისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, პატიმრობის დაწესებულების თანამშრომელი, რომელიც ვიზუალურად აკვირდება ბრალდებულის ხანმოკლე პაემანს, უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მისი მსვლელობა.

15. ხანმოკლე პაემნის უფლებით სარგებლობის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 121. საოჯახო პაემანი

1. საოჯახო პაემანი არის ქალი მსჯავრდებულის ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ პირთან შეხვედრა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში.

2. ქალ მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს შვილთან, ნაშვილებთან, გერთან, შვილიშვილთან, მეუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელთან (მშვილებელთან), ბებიასთან, პაპასთან, დასთან, ძმასთან საოჯახო პაემნის უფლება.

3. ქალ მსჯავრდებულს წახალისების ფორმით შეიძლება მიეცეს იმ პირთან საოჯახო პაემნის უფლება, რომელიც ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული არ არის.

4. ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 საოჯახო პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი საოჯახო პაემანი.

5. საოჯახო პაემნის მოთხოვნით მსჯავრდებული წერილობით მიმართავს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორს საოჯახო პაემნის განხორციელებამდე 10 კალენდარული დღით ადრე. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულმა პირმა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორს უნდა წარუდგინოს ქალ მსჯავრდებულთან ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მიმართვიდან 5 კალენდარული დღის ვადაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას საოჯახო პაემნის

განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ან მასზე მოტივირებული უარის თქმის თაობაზე. მსჯავრდებულს ეს გადაწყვეტილება წერილობით ეცნობება.

7. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი სამსახურის გენერალურ დირექტორს მიმართავს შუამდგომლობით წახალისების ფორმით საოჯახო პაემნის განხორციელების თაობაზე. ამ შუამდგომლობის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში სამსახურის გენერალური დირექტორი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორს წახალისების ფორმით საოჯახო პაემნის განხორციელებაზე თანხმობას აძლევს ან მოტივირებულ უარს ეუბნება. სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობის შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულისთვის წახალისების ფორმით საოჯახო პაემნის უფლების მიცემის შესახებ.

8. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება საოჯახო პაემნის უფლების მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა ორგანიზებას უწევს საოჯახო პაემანს და ამის თაობაზე განმცხადებელს აცნობებს.

9. საოჯახო პაემნის ხანგრძლივობაა 3 საათი.

10. საოჯახო პაემნისთვის სპეციალურად გამოყოფილი ოთახის პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს და არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას.

11. საოჯახო პაემნის ორგანიზებას, აგრეთვე მის ინფრასტრუქტურულ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სამსახური.

12. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში საოჯახო პაემნის უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 122. ხანგრძლივი პაემანი

1. ხანგრძლივი პაემანი არის ბრალდებულის/მსჯავრდებულის ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ პირთან ერთად ცხოვრება პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, აღნიშნული დაწესებულების წარმომადგენლის დაუსწრებლად.

2. ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს შვილთან, ნაშვილებთან, გერთან, შვილიშვილთან, მეუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელთან (მშვილებელთან), ბებიასთან, პაპასთან, დასთან, ძმასთან ხანგრძლივი პაემნის უფლება.

3. ბრალდებულს უფლება აქვს, პატიმრობაში ყოფნის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანგრძლივი პაემანი.

4. მსჯავრდებულს უფლება აქვს:

ა) დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 6 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 3 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;

ბ) ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;

გ) დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;

დ) განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 1 წლის განმავლობაში

ჰქონდეს 1 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;

ე) ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

5. ხანგრძლივი პაემნის მოთხოვნის თაობაზე ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულების დირექტორს წერილობით უნდა მიეწოდოს არაუგვიანეს 2 კვირისა. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულმა პირმა პენიტენციური დაწესებულების დირექტორს უნდა წარუდგინოს ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. პენიტენციური დაწესებულება ხანგრძლივი პაემნის მოთხოვნის თაობაზე განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა ორგანიზებას უწევს ხანგრძლივ პაემანს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ხანგრძლივი პაემნის უფლების მიცემაზე მოტივირებული უარის თქმის საფუძველი. ამ საფუძვლის არსებობის თაობაზე ინფორმაცია განმცხადებელს 10 კალენდარული დღის ვადაში უნდა მიეწოდოს.

7. ხანგრძლივი პაემნის ხანგრძლივობაა 23 საათი. ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობითა და სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით კუთვნილი ხანგრძლივი პაემანი წელიწადში ერთხელ შეიძლება გაუგრძელდეს არაუმეტეს 47 საათამდე.

8. ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევა:

ა) მსჯავრდებულს, რომელიც საკარანტინო რეჟიმში იმყოფება;

ბ) მსჯავრდებულს, რომელსაც შეფარდებული აქვს დისციპლინური პატიმრობა ან რომელიც მოთავსებულია სამარტოო საკანში;

გ) ბრალდებულს – პატიმრობაში ყოფნის პირველი 3 თვის განმავლობაში;

დ) ბრალდებულს, რომელიც მოთავსებულია სამარტოო საკანში.

9. ხანგრძლივი პაემნის უფლების მიცემის საკითხს წყვეტს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი.

10. ხანგრძლივი პაემნის უფლების მიცემაზე პენიტენციური დაწესებულების დირექტორის თანხმობა ან მოტივირებული უარი ბრალდებულს/მსჯავრდებულს წერილობით ეცნობება.

11. ხანგრძლივი პაემნისთვის სპეციალურად გამოყოფილი ოთახის პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს და არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას.

12. ხანგრძლივი პაემნის ორგანიზებას, აგრეთვე მის ინფრასტრუქტურულ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სამსახური.

13. პენიტენციურ დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 123. ვიდეოპაემანი

1. ვიდეოპაემანი არის მსჯავრდებულის (გარდა ამ კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრდებულისა) მიერ ამ მუხლით განსაზღვრულ პირთან ამ კოდექსით დადგენილი წესით პირდაპირი ხმოვანი და ვიზუალური ტელეხიდით კომუნიკაცია.

2. მსჯავრდებული სარგებლობს ნებისმიერ პირთან 10 კალენდარული დღის განმავლობაში არაუმეტეს 1 ვიდეოპაემნის უფლებით.

3. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული სარგებლობს მშობელთან (მშვილებელთან), დედინაცვალთან, მამინაცვალთან, შვილთან (ნაშვილებთან), გერთან, მეუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, დასთან, ძმასთან 1 წლის განმავლობაში 2 ვიდეოპაემნის უფლებით.

4. მსჯავრდებულს წახალისების ფორმით შეიძლება მიეცეს თვეში 1 დამატებითი ვიდეოპაემანი, ხოლო განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს – 1 წლის განმავლობაში 1 დამატებითი ვიდეოპაემანი.

5. ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება მსჯავრდებულს ეზღუდება დისციპლინური სახდელის მოხდის, დისციპლინური პატიმრობის, პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღებისა და კრიზისული ვითარების პერიოდებში.

6. ვიდეოპაემნის მოთხოვნის თაობაზე მსჯავრდებულის განცხადება პენიტენციური დაწესებულების დირექტორს უნდა წარედგინოს ვიდეოპაემნის გამართვამდე არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა.

7. ვიდეოპაემნის უფლების მიცემის საკითხს წყვეტს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი.

8. მსჯავრდებულთან ერთჯერადი ვიდეოპაემნის ხანგრძლივობა 15 წუთს არ უნდა აღემატებოდეს.

9. ვიდეოპაემანი შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) მსჯავრდებულის სურვილით;

ბ) უსაფრთხოების დასაცავად.

10. მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის ორგანიზებას მისი წერილობითი თანხმობის საფუძველზე უზრუნველყოფს სამსახური.

11. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სამსახურის წარმომადგენელი ახორციელებს მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის ვიზუალურ ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობას, მაგრამ მოსმენის გარეშე. ამის თაობაზე მსჯავრდებულისა და მასთან ვიდეოპაემნის მსურველი პირის წინასწარ გაფრთხილება სავალდებულოა.

12. მსჯავრდებულის მიერ ვიდეოპაემნის განხორციელების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 124. მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვება

1. სამსახურის გენერალურმა დირექტორმა მსჯავრდებულს შეიძლება მისცეს პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლება:

ა) თუ მიღებულია სარწმუნო ცნობა მსჯავრდებულის ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისთვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე;

ბ) სოციალური აქტივობის განსახორციელებლად, აგრეთვე ექსტერნატის გამოცდის, ერთიანი ეროვნული გამოცდისა და საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩასაბარებლად;

გ) სხვა განსაკუთრებულ გარემოებასთან დაკავშირებით.

2. თუ აუცილებელია მსჯავრდებულის საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობა, უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული

ქვედანაყოფი უზრუნველყოფს მსჯავრდებულის საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობას.

3. განსაკუთრებულ, პირად გარემოებასთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლების მისაღებად მსჯავრდებული, მისი დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი ან ახლო ნათესავი პენიტენციური დაწესებულების დირექტორს შუამდგომლობით მიმართავს. ამ შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების მოტივი და ადგილი, სადაც მან უნდა გაატაროს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ყოფნისთვის განკუთვნილი დრო (შემდგომ – დანიშნულების ადგილი).

4. განსაკუთრებულ, პირად გარემოებასთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლება არ მიეცემა ამ კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანილ მსჯავრდებულს.

5. პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 დღე-ღამეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც.

6. მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.

7. სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლება მსჯავრდებულს ეძლევა პენიტენციური დაწესებულების დირექტორის წარდგინებით და მისი პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით დგინდება მსჯავრდებულის თანმხლებ თანამშრომელთა რაოდენობა, რომლებიც მსჯავრდებულს აცილებენ პენიტენციური დაწესებულებიდან დანიშნულების ადგილამდე და უკან.

8. მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების ხარჯები (გარდა საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად მსჯავრდებულის გაყვანასთან დაკავშირებული ხარჯებისა) ანაზღაურდება მისი ან მისი ოჯახის სახსრებით. მინისტრის მიერ დადგენილი წესით მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლება შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი ხარჯების აუნაზღაურებლად.

9. მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 125. მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა

1. მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იხდის და რომლის მიმართაც არ მოქმედებს დისციპლინური სახდელი, უფლება აქვს, წელიწადში 2-ჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. ორსულ ქალს, 3 წლამდე ბავშვის დედას უფლება აქვს, წელიწადში 3-ჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც.

2. მსჯავრდებულს, რომელიც სარგებლობს ამ კოდექსის 94-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებით და რომლის მიმართაც არ მოქმედებს დისციპლინური სახდელი ან რომელსაც არ აქვს შეფარდებული დისციპლინური პატიმრობა, სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება დამატებით წელიწადში 2-ჯერ მიეცეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება უმაღლესი განათლების მიღების უფლებით სარგებლობის ხელშეწყობის მიზნით. ამ ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი მოთხოვნები.

3. მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა ფორმდება სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით. მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება ეძლევა მას შემდეგ, რაც მან ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის – ვადის არანაკლებ ნახევრისა;

ბ) მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის – ვადის არანაკლებ ორი მესამედისა;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის – ვადის არანაკლებ სამი მეოთხედისა.

4. მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იხდის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებას აძლევს სამსახურის გენერალური დირექტორი, თუ დაკმაყოფილებულია ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პირობები, ამასთანავე, მსჯავრდებული დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულია:

ა) სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად;

ბ) მისი პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

გ) გადამდები ინფექციური დაავადების გამო.

5. განსაკუთრებულ შემთხვევაში მსჯავრდებულს სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ვადების მიუხედავად, შეიძლება მიეცეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება.

6. მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით შეეცვალოს ხანმოკლე პაემნით ან სატელეფონო საუბრით.

7. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლების მისაღებად მსჯავრდებული, მისი დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი ან ახლო ნათესავი სამსახურის გენერალურ დირექტორს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ შუამდგომლობით მიმართავს. ამ შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის მოტივი და დანიშნულების ადგილი.

8. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შუამდგომლობის განხილვისას გაითვალისწინება:

ა) მსჯავრდებულის პიროვნება;

ბ) მსჯავრდებულის ოჯახური მდგომარეობა;

გ) მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე;

დ) დანიშნულების ადგილი;

ე) სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებიც მსჯავრდებულს დადებითად ან უარყოფითად ახასიათებს.

9. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას სამსახურის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია გამოიყენოს შემდეგი უზრუნველყოფის ღონისძიებები:

ა) გირაო – არანაკლებ 2 000 ლარისა;

ბ) პირადი თავდებობა;

გ) ელექტრონული კონტროლის (მონიტორინგის) საშუალება.

10. შესაძლებელია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიებების ერთად გამოყენება.

11. მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.

12. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შემთხვევაში მსჯავრდებული იმავე დღეს უნდა გამოცხადდეს პრობაციის ბიუროში და უნდა დააფიქსიროს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის დაწყების დრო. თუ მსჯავრდებული ობიექტური მიზეზით ვერ ახერხებს აღნიშნულ დაწესებულებაში განსაზღვრულ ვადაში დაბრუნებას, პრობაციის ბიურო უფლებამოსილია გაუგრძელოს მას ვადა არაუმეტეს 2 დღისა.

13. მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ხარჯები, გარდა ელექტრონული კონტროლის (მონიტორინგის) საშუალების გამოყენების ხარჯებისა, ანაზღაურდება მსჯავრდებულის ან მისი ახლო ნათესავის სახსრებით. მინისტრის ბრძანებით შეიძლება განისაზღვროს მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ხარჯების ანაზღაურებისგან გათავისუფლების შემთხვევები.

14. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ მსჯავრდებულის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში სამსახურის გენერალური დირექტორის მოტივირებული უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

15. მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის პერიოდში მისი გადაადგილების კონტროლს (მონიტორინგს) ახორციელებს სააგენტო.

16. პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის აღსრულების წესები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

**მუხლი 126. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიებები – გირაო და პირადი თავდებობა**

1. გირაო არის ფულადი თანხა. ფულადი თანხა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით სააგენტოს დეპოზიტზე შეაქვს მსჯავრდებულის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს, ოჯახის წევრს ან მისი სახელით სხვა პირს, რომელიც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების წინაშე იღებს წერილობით ვალდებულებას, რომ ის უზრუნველყოფს მსჯავრდებულის სათანადო ქცევასა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დადგენილ ვადაში გამოცხადებას. გირაოს მიღების შესახებ დგება ოქმი. ამ ოქმის ერთი ასლი გირაოს შემტანს გადაეცემა.

2. სამსახურის გენერალური დირექტორი ითვალისწინებს გირაოს შემტანის პიროვნებასა და ფინანსურ მდგომარეობას.

„3. სამსახურის გენერალური დირექტორის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში გირაო 3 სამუშაო დღის ვადაში შეიტანება სამსახურის ანგარიშზე.“.

4. გირაოს შეტანის წინ მის შემტანს აფრთხილებენ წერილობითი ვალდებულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შესაძლო შედეგების შესახებ.

5. თუ მსჯავრდებულმა, რომელიც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის რეჟიმში იმყოფება, არასაპატიო მიზეზით თავი აარიდა დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნულ დაწესებულებაში დაბრუნებას ან ახალი დანაშაული ჩაიდინა, მის მიმართ გამოყენებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები, ხოლო გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხება.

6. მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ვადის დაცვის, ნაკისრი ვალდებულების ზუსტად და კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა 2 კვირის ვადაში დაუბრუნდება მის შემტანს.

7. პირადი თავდებობისას მსჯავრდებულის დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი, ახლო ნათესავი ან მისი სახელით სხვა პირი იღებს წერილობით ვალდებულებას, რომ ის უზრუნველყოფს მსჯავრდებულის სათანადო ქცევასა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დადგენილ ვადაში გამოცხადებას.

8. თავდებთა რაოდენობას განსაზღვრავს სამსახურის გენერალური დირექტორი. გამონაკლის შემთხვევაში თავდები შეიძლება იყოს ერთი, განსაკუთრებით სანდო პირი.

9. პირადი თავდებობის არჩევა დასაშვებია მხოლოდ თავდებთა შუამავლობით ან თანხმობით, აგრეთვე მსჯავრდებულის თანხმობით. თითოეული თავდები იძლევა თავდებობის შესახებ ხელწერილს. ხელწერილი დაერთვის მსჯავრდებულის პირად საქმეს.

10. ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავდებს უფლება არ აქვს, თავი იმართლოს იმით, რომ მსჯავრდებულის ქცევის კონტროლის შესაძლებლობა არ ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის დაამტკიცებს დაუძლეველი ძალის მოქმედებას.

11. თუ მსჯავრდებული ჩაიდენს ისეთ ქმედებას, რომლის აღსაკვეთადაც თავდებობა იქნა გამოყენებული, თითოეულ თავდებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაეკისრება ფულადი ჯარიმა არანაკლებ 10 000 ლარისა.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## მუხლი 126[1]. საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში ან ტერორიზმში ბრალდებული/მსჯავრდებული პირისთვის უფლების (უფლებების) შეზღუდვა

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165[2] მუხლით გათვალისწინებული უფლება (უფლებები) ბრალდებულს, იმავე მუხლით განსაზღვრული საფუძვლისა და პროცედურების გარდა, შეიძლება შეეზღუდოს აგრეთვე ამ მუხლით დადგენილი წესით.

2. სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ინტერესებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVII ან XXXVIII თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენაში:

ა) ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირს შეიძლება შეეზღუდოს მიმოწერის უფლება, სატელეფონო საუბრის უფლება, ხანმოკლე პაემნის უფლება, ხანგრძლივი პაემნის უფლება, აგრეთვე განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლება;

ბ) მსჯავრდებულ პირს, ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების (უფლებების) გარდა, შეიძლება შეეზღუდოს აგრეთვე ვიდეოპაემნის უფლება, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება;

გ) მსჯავრდებულ ქალს, ამ ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლების (უფლებების) გარდა, შეიძლება შეეზღუდოს აგრეთვე საოჯახო პაემნის უფლება.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის იმავე ნაწილით განსაზღვრული უფლების (უფლებების) შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილებას ამ კოდექსის შესაბამისად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე იღებს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი.

4. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს იმავე ნაწილით განსაზღვრული უფლება (უფლებები) შეიძლება შეეზღუდოს 3 თვემდე ვადით. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ აღნიშნული უფლების (უფლებების) შეზღუდვა უქმდება.

5. თუ ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის მომენტისთვის კვლავ არსებობს შესაბამისი უფლების (უფლებების) შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი ან თუ ეს სამართლებრივი საფუძველი აღნიშნული უფლების (უფლებების) შეზღუდვის გაუქმების შემდეგ კვლავ გამოვლინდა, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია ამ კოდექსის შესაბამისად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე იმდენჯერ მიიღოს ამ უფლების (უფლებების) შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება, რამდენჯერაც იარსებებს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი. ამ შემთხვევაში აღნიშნული უფლება (უფლებები) თითოეულ ჯერზე შეიძლება შეიზღუდოს 3 თვემდე ვადით.

6. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა პენიტენციური დაწესებულების დირექტორს სათანადო ინფორმაცია ისეთი ფორმით უნდა მიაწოდოს, ამასთანავე, პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა სათანადო ინფორმაცია თავის შესაბამის გადაწყვეტილებაში იმ ფორმით უნდა ასახოს, რომ ზიანი არ მიადგეს სახელმწიფო საიდუმლოებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ინტერესებს.

7. შესაბამისი უფლების (უფლებების) შეზღუდვის შესახებ ამ მუხლით გათვალისწინებული პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს გადაეცემა მისი მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 კალენდარული დღისა.

8. შესაბამისი უფლების (უფლებების) შეზღუდვის შესახებ ამ მუხლით გათვალისწინებული პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილება შეიძლება ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდეს სასამართლოში. პენიტენციური დაწესებულების დირექტორის აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

9. თუ პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის შესაბამისი უფლების (უფლებების) შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მიიღო და აღარ არსებობს ამ უფლების (უფლებების) შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აღნიშნული უფლების (უფლებების) შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების გასაუქმებლად მიმართავს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს. ამის შემდეგ გადაწყვეტილებას იღებს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი.

10. თუ პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის შესაბამისი უფლების (უფლებების) შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება ამ კოდექსის შესაბამისად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე საკუთარი ინიციატივით მიიღო და აღარ არსებობს ამ უფლების (უფლებების) შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი აუქმებს აღნიშნული უფლების (უფლებების) შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილებას.

11. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არ ვრცელდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს პროკურატურისა და სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის სატელეფონო

ნომრებზე დაკავშირების შემთხვევებზე.

12. ამ მუხლის დებულებები არ გამორიცხავს ამავე მუხლით განსაზღვრული ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული შეზღუდვების გამოყენებას.

13. პირისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა არ იწვევს მისთვის ბრალდებულად ყოფნის პერიოდში ამ მუხლის შესაბამისად შეზღუდული უფლების (უფლებების) შეზღუდვის გაუქმებას.

*საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი №4436 – ვებგვერდი, 02.10.2024წ.*
*საქართველოს 2025 წლის 24 ივნისის კანონი №703 – ვებგვერდი, 25.06.2025წ.*
*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

## თავი XX

## ბრალდებულის/მსჯავრდებულის შრომა

### მუხლი 127. ბრალდებულის/მსჯავრდებულის შრომითი საქმიანობის ზოგადი პრინციპები

1. ბრალდებულის/მსჯავრდებულის შრომითი საქმიანობა ხორციელდება ამ კოდექსითა და საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით. აკრძალულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის იძულება, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც ლახავს ადამიანის პატივსა და ღირსებას.

2. ბრალდებული/მსჯავრდებული მუშაობს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ან/და მის გარეთ, თუ ამ დაწესებულებას აქვს მისი დასაქმების შესაძლებლობა.

3. ბრალდებული/მსჯავრდებული შეიძლება დასაქმდეს აგრეთვე პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ან არასახელმწიფო დაწესებულებაში.

4. პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ან პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო დაწესებულებაში დასაქმებული ბრალდებული/მსჯავრდებული არ არის საჯარო მოსამსახურე და მასზე არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

5. იმ სამუშაოთა ჩამონათვალი, რომელთა შესასრულებლად ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასაქმება აკრძალულია, განისაზღვრება პენიტენციური დაწესებულების დებულებით.

6. ბრალდებული/მსჯავრდებული შესრულებული სამუშაოსთვის იღებს ხელფასს საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის შრომის ანაზღაურების მიცემის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

7. ბრალდებულს/მსჯავრდებულს ხელფასი ერიცხება პირად საბანკო ანგარიშზე. მას ხელფასის სრული განკარგვის უფლება მიეცემა გათავისუფლებისას. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ეს თანხა თავისი შეხედულებისამებრ გადაუგზავნოს ახლო ნათესავებსა და სხვა პირებს.

### მუხლი 128. პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული საწარმო

1. ბრალდებული/მსჯავრდებული შეიძლება დასაქმდეს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ან/და მის გარეთ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ საწარმოში.

2. პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ საწარმოში, როგორც წესი, დასაქმებული უნდა იყოს მხოლოდ ბრალდებული/მსჯავრდებული. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც, საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროა ისეთი სამუშაოს შესრულება, რომლის შესაბამისი კვალიფიკაცია ბრალდებულს/მსჯავრდებულს არ აქვს, ან როდესაც ასეთი კვალიფიკაციის ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოკლე დროში მომზადება შეუძლებელია, ან როდესაც სამუშაოს შესასრულებლად საჭიროა პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიიდან სისტემატური გასვლა,

შესაძლებელია საწარმოში შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულ იქნეს პირი, რომელიც არ არის ბრალდებული ან მსჯავრდებული.

3. ბრალდებული/მსჯავრდებული საწარმოში დასაქმდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პენიტენციური დაწესებულების ორგანიზაციული მონაწილეობით. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, პენიტენციური დაწესებულების მიერ შეთავაზებული სამუშაოებიდან ამოირჩიოს მისთვის შესაფერისი სამუშაო.

4. საწარმოსა და სამსახურს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც საწარმო იღებს ვალდებულებას, რომ ის საქმიანობას განახორციელებს იმ პენიტენციური დაწესებულების დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზედაც ფუნქციონირებს. ასეთივე ვალდებულება ეკისრება საწარმოში დასაქმებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს. ეს ვალდებულება უნდა აისახოს მის მიერ საწარმოსთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში.

### მუხლი 129. სამუშაო პირობები

1. პენიტენციური დაწესებულება და დამსაქმებელი ვალდებული არიან ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუქმნან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო შრომის პირობები. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შრომის, უსაფრთხოებისა და საწარმოში სანიტარიული ნორმების დაცვის წესები განისაზღვრება საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ბრალდებულის/მსჯავრდებულის ზეგანაკვეთური მუშაობა, აგრეთვე უქმე დღეებში მუშაობა დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით. ამასთანავე, სამუშაო დროის ხანგრძლივობა დღეში 8 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

3. ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებს (მათ შორის, პენიტენციურ დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ჩარიცხვისა და ამორიცხვის საკითხებს) და მისთვის შრომის ანაზღაურების მიცემის წესს, აგრეთვე იმ სამუშაოთა ჩამონათვალს, რომელთა შესასრულებლად ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასაქმება შესაძლებელია, განსაზღვრავს მინისტრი. შესაძლებელია ამ სამუშაოებში გათვალისწინებულ იქნეს პენიტენციური დაწესებულების მცირე სარემონტო სამუშაოები და განისაზღვროს მათი შესრულების მიღება-ჩაბარების წესი.

### მუხლი 130. სამეურნეო სამუშაოები

1. პენიტენციურ დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მსჯავრდებულის ჩარიცხვა ფორმდება ამ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

2. სამეურნეო სამუშაოების შესრულებისთვის მსჯავრდებულს მიეცემა ანაზღაურება.

3. სამეურნეო სამუშაოების შემსრულებელი მსჯავრდებული არ არის საჯარო მოსამსახურე და მასზე არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

4. პენიტენციურ დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მსჯავრდებულის ჩარიცხვისა და ამორიცხვის, მის მიერ ამ სამუშაოების შესრულების წესი, აგრეთვე მისთვის ანაზღაურების მიცემის წესი და ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

5. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია შექმნას მსჯავრდებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემო.

## თავი XXI

## ბრალდებულის/მსჯავრდებულის განათლება

## მუხლი 131. ბრალდებულის/მსჯავრდებულის განათლება

1. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია შექმნას პირობები ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად.

2. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია მოაწყოს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში უნდა იყოს როგორც საგანმანათლებლო ლიტერატურა, ისე პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო კანონმდებლობა ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის გასაგებ ენაზე.

3. ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელმაც არ იცის საქართველოს სახელმწიფო ენა, უნდა შეექმნას პირობები მის შესასწავლად.

## მუხლი 132. ბრალდებულის/მსჯავრდებულის ზოგადი განათლება

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს საშუალება, მიიღოს სრული ზოგადი განათლება მინისტრისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. პენიტენციურ დაწესებულებაში ზოგადი განათლების მიწოდება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამით. ეს პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. ამ პროგრამაზე არ ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობები და საათობრივი ბადე.

3. პენიტენციურ დაწესებულებაში ზოგადი განათლების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ დამტკიცებული პროგრამით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილისგან განსხვავებული წესით.

## მუხლი 133. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პროფესიული განათლება

1. პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა შეექმნას პირობები პროფესიული განათლების მისაღებად.

2. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პროფესიული განათლების მიღების დროს უპირატესობა ენიჭება იმ პროფესიებს, რომელთა შესწავლაც პენიტენციურ დაწესებულებაშია შესაძლებელი.

3. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პროფესიული განათლების მიღების წესი და შესაბამის სპეციალობათა ჩამონათვალი განისაზღვრება მინისტრისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

## მუხლი 134. მსჯავრდებულის უმაღლესი განათლება

1. მსჯავრდებულს უფლება აქვს, ისარგებლოს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე განათლების მიღების უფლებით, ხოლო არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე განათლების მიღების უფლებით. მსჯავრდებულის მიერ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე განათლების მიღების წესი და შესაბამის სპეციალობათა ჩამონათვალი განისაზღვრება მინისტრისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

2. მსჯავრდებული აკადემიურ უმაღლეს განათლებას იღებს:

ა) ციფრული სწავლების ფორმით, რაც გულისხმობს მსჯავრდებულისთვის აკადემიური უმაღლესი განათლების მიღების უზრუნველყოფას პირდაპირი ტელეხიდით, სპეციალური ელექტრონული პლატფორმების მეშვეობით;

ბ) კორესპონდენციული სწავლების ფორმით, რაც გულისხმობს მსჯავრდებულისთვის აკადემიური უმაღლესი განათლების მიღების უზრუნველყოფას საკონტაქტო პირის მეშვეობით, სასწავლო მასალის მიწოდებით და ურთიერთობის წერილობითი ფორმის გამოყენებით.

3. მსჯავრდებულის მიერ აკადემიური უმაღლესი განათლების მიღება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რამდენადაც შესაძლებელია, ციფრული სწავლების ფორმით. საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებული სარგებლობს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე განათლების კორესპონდენციული სწავლების ფორმით მიღების უფლებით.

4. მსჯავრდებულის უმაღლესი განათლება ფინანსდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

5. ამ კოდექსის 34-ე მუხლის მე-16 ნაწილით ან 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მსჯავრდებულს შესაბამისი საფუძვლის აღმოფხვრამდე ეზღუდება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლება.

## თავი XXII

## მსჯავრდებულის რესოციალიზაცია

### მუხლი 135. მსჯავრდებულის რესოციალიზაცია

1. მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულისთვის საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესების პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება.

2. მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ძირითადი საშუალებებია:

ა) დადგენილი წესით სასჯელის მოხდა;

ბ) მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება;

გ) დასაქმება;

დ) ზოგადი განათლების, პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების მიღება;

ე) პროფესიული მომზადება და გადამზადება;

ვ) საზოგადოებასთან ურთიერთობა.

3. მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საშუალებები გამოიყენება მისთვის დანიშნული სასჯელის სახის, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, აგრეთვე მსჯავრდებულის პიროვნების, ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით.

4. მსჯავრდებულის რესოციალიზაციას სამსახური და პენიტენციური დაწესებულება უზრუნველყოფენ სოციალური მუშაკისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა პირების მეშვეობით.

5. მსჯავრდებულთა პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებას მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი (შემდგომ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი).

6. მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად დააფუძნოს სამეწარმეო იურიდიული პირი ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

## მუხლი 136. მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამების ამოცანები

1. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულთან ტარდება სარეაბილიტაციო მუშაობა, რომლის მიზანია:

ა) მსჯავრდებულისთვის კანონის, სხვა ადამიანების, შრომის, ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისა და ნორმების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება;

ბ) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულთა შორის ნორმალური ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა;

გ) მსჯავრდებულის განათლებისა და პროფესიული დონის ამაღლება;

დ) მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადება;

ე) სხვადასხვა დამოკიდებულების მქონე პირთა რეაბილიტაცია.

2. მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა გათვალისწინებული იქნება მსჯავრდებულის გამოსწორების ხარისხის შეფასებისას და მის მიმართ წახალისების ფორმის გამოყენებისას.

## მუხლი 137. მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამის ორგანიზება

1. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამას ორგანიზებას უწევს ამ დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

2. სამსახური მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მიზნით თანამშრომლობს სახელმწიფო უწყებებსა და სხვა ორგანიზაციებთან.

3. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დღის განრიგი უნდა ითვალისწინებდეს მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობის დროს.

4. მსჯავრდებული მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამაში მისი თანხმობით მონაწილეობს.

5. მსჯავრდებულთან სარეაბილიტაციო მუშაობა ტარდება მისი პიროვნული თვისებებისა და ჩადენილი დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით.

6. პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ სრულწლოვან მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნით შესაბამისი რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესი (შემთხვევის მართვის წესი) მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

7. პენიტენციურ დაწესებულებაში ოპიოიდებზე დამოკიდებული პირებისთვის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამის განხორციელების წესი განისაზღვრება მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

8. მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამის ორგანიზებისთვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იქმნება შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საჭიროების შემთხვევაში მოიწვევიან სათანადო სპეციალისტები.

9. ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირის რეაბილიტაციის მიზნით სამსახურის ორგანიზებით ტარდება ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსები. სამსახური ამ კურსებს ორგანიზებას უწევს სახელმწიფო უწყებებსა და სხვა დაინტერესებულ და შესაბამის სფეროში საქმიანობის გამოცდილების მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

### მუხლი 138. კრიმინოლოგიური კვლევების განხორციელება

სამსახური ხელს უწყობს მის სისტემაში ისეთი კრიმინოლოგიური კვლევების განხორციელებას, რომელთა მიზანია მსჯავრდებულის რესოციალიზაციის, დანაშაულის პრევენციისა და მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამების მეცნიერული შესწავლა.

## თავი XXIII

## ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა

### მუხლი 139. ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლი

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს სამედიცინო მომსახურება გაეწევა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ქვეყანაში დადგენილი სამედიცინო მომსახურების მოთხოვნების შესაბამისად.

2. პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტები, სპეციფიკური საჭიროების მქონე პირისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დამატებითი სტანდარტები, პრევენციული მომსახურების პაკეტი და სამედიცინო მომსახურებისთვის აუცილებელი საბაზისო მედიკამენტების ნუსხა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

3. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღებისას ბრალდებული/მსჯავრდებული ამ დაწესებულებაში მისვლისთანავე გადის სამედიცინო შემოწმებას.

4. ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მოწმდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ. დაავადებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უტარდება გადაუდებელი მკურნალობა.

5. პენიტენციურ დაწესებულებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორიდან ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან დაკავშირებული სამედიცინო ხასიათის ინფორმაცია მიეწოდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას მის სხეულზე დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში სამედიცინო პერსონალი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს. თუ ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას სამედიცინო პერსონალი შეამჩნევს მას რაიმე ფიზიკურ დაზიანებას ან/და სხვა ისეთ გარემოებას, რომელიც ობიექტურ პირს აღნიშნული პაციენტის მიმართ შესაძლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის განხორციელების ეჭვს აღუძრავდა, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმება ხორციელდება მისი თანხმობის არსებობის გარეშეც. პენიტენციურ დაწესებულებაში შესაძლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაზიანების აღრიცხვის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

7. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სუიციდის პრევენციის პროგრამა მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

8. პენიტენციურ დაწესებულებაში ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიისა და პანდემიის მართვის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ნორმებისა და „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

### მუხლი 140. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მკურნალობა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში

1. ყველა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა შეიქმნას საექიმო-სამედიცინო პუნქტი.

2. თუ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მკურნალობა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში შეუძლებელია, იგი შეიძლება გადაყვანილ იქნეს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში.

3. ბრალდებულის/მსჯავრდებულის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

**მუხლი 141. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ყოფნის პირობები**

1. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის შემთხვევაში მის მიმღებ საავადმყოფოში ეწყობა დროებითი საგუშაგო.

„2. საავადმყოფოში მოწყობილი დროებითი საგუშაგო შედგება ესკორტირების ჯგუფის წევრებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაცვასა და მეთვალყურეობას. საჭიროების შემთხვევაში დროებითი საგუშაგო შეიძლება სხვა მოსამსახურეებით გაძლიერდეს.“.

3. თუ ბრალდებულს/მსჯავრდებულს გადამდები დაავადება დაუდასტურდა ან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბრალდებული/მსჯავრდებული გადამდები დაავადების მატარებელია, და იგი მკურნალობის/დიაგნოსტირების მიზნით სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოშია განთავსებული, სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით მისი მეთვალყურეობა შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით.

4. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ყოფნისას:

ა) ბრალდებულის/მსჯავრდებულის ახლო ნათესავებს (შვილს, მეუღლეს, პირს, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელს (მშვილებელს), დედინაცვალს, მამინაცვალს, მეუღლის მშობელს, გერს, ნაშვილებსა და მის შთამომავალს, შვილიშვილს, დას, ძმას, დისშვილს, ძმისშვილსა და მათ შვილებს, ბებიას, პაპას, ბიძას (დედის ძმას, მამის ძმას), დეიდას, მამიდას, ბიძაშვილს, დეიდაშვილს, მამიდაშვილს, პირს, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში) მისი მკურნალი ექიმის რეკომენდაციითა და სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით შეიძლება მიეცეთ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და სიხშირით მონახულების უფლება;

ბ) ბრალდებულის/მსჯავრდებულის მონახულების უფლება მისი მკურნალი ექიმის რეკომენდაციითა და სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით შეიძლება მიეცეს აგრეთვე იმ პირს, რომელიც ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული არ არის;

გ) თუ საავადმყოფო ბრალდებულს/მსჯავრდებულს ვერ უზრუნველყოფს მომვლელის მომსახურებით, ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირს საავადმყოფოს ხელმძღვანელის რეკომენდაციითა და სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით შეიძლება მიეცეს ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან მომვლელად ყოფნის უფლება;

დ) ბრალდებულს/მსჯავრდებულს, მკურნალობის აუცილებლობიდან გამომდინარე, მისი მკურნალი ექიმის რეკომენდაციითა და სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით შეიძლება მიეცეს დამატებითი კვების პროდუქტების მიღების უფლება;

ე) ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი მოთხოვნის შემთხვევაში სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით შეიძლება მიეცეს პირადი ჰიგიენის დასაცავად საჭირო ნივთების/საშუალებების, ტანსაცმლის/ფეხსაცმლის, თეთრეულისა და სხვა საგნების ამანათის სახით მიღების უფლება.

5. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ყოფნისას მის მოსანახულებლად აღნიშნული სამედიცინო დაწესებულების შინაგანაწესის დაცვით, საავადმყოფოში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით სარგებლობენ ამ კოდექსის 69-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირები.

6. იმ ქალი მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანისას, რომელსაც ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ან გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ჰყავს 3 წლამდე ბავშვი, ამ დაწესებულების ექიმის რეკომენდაციითა და სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით შეიძლება დედასთან ერთად ბავშვიც იქნეს გადაყვანილი.

7. სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში 3 წლამდე ბავშვის გადაყვანის შემთხვევაში ქალი მსჯავრდებული ქალთა სპეციალური დაწესებულების ან გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ექიმის რეკომენდაციითა და სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით, როგორც წესი, გაყვანილი უნდა იქნეს შვილთან ერთად. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს სამსახურის გენერალური დირექტორის დასაბუთებული გადაწყვეტილებით.

8. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ყოფნის პერიოდში მასზე არ ვრცელდება ამ კოდექსის 119-ე–123-ე მუხლებით გათვალისწინებული პაემნების უფლებები.

9. ამ მუხლის საფუძველზე ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანისა და ყოფნის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

*საქართველოს 2026 წლის 28 მაისის კანონი №1619 – ვებგვერდი, 01.06.2026წ.*

### მუხლი 142. მსჯავრდებულისთვის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება

1. თუ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც სამართალწარმოება დასრულებულია, ფსიქიკური აშლილობის ნიშნები აღენიშნება და სამსახურის ფსიქიატრიული კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს მისთვის არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევას, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი სამსახურის ფსიქიატრიული კომისიის დასკვნის საფუძველზე მიმართავს უფლებამოსილ საექსპერტო დაწესებულებას მსჯავრდებულისთვის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით.

2. პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ვალდებულია უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე, რომლითაც დასტურდება მსჯავრდებულისთვის არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის აუცილებლობა, 48 საათში მიმართოს სასამართლოს მისთვის არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის თაობაზე.

3. სამსახურის ფსიქიატრიული კომისიის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

## წიგნი IV

## გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

## თავი XXIV

## გარდამავალი დებულებები

### მუხლი 143. პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის განთავსების პირობები 2026 წლის 1 იანვრამდე

2026 წლის 1 იანვრამდე ამ კოდექსის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებულის

საცხოვრებელი ფართობის ნორმა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და პატიმრობის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 3 კვ. მ-ზე ნაკლები.

## მუხლი 144. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პაემანი/პაემნის შეცვლა 2026 წლის 1 იანვრამდე

1. 2025 წლის 1 იანვრამდე ბრალდებული პაემნის უფლებიდან სარგებლობს მხოლოდ ხანმოკლე პაემნის უფლებით, რომელიც ხორციელდება ამ კოდექსით დადგენილი წესით.

2. 2026 წლის 1 იანვრამდე მსჯავრდებულს ხანმოკლე პაემანი შეიძლება შეეცვალოს მხოლოდ სატელეფონო საუბრით, ამ კოდექსით დადგენილი წესით.

*საქართველოს 2024 წლის 13 დეკემბრის კანონი №156 - ვებგვერდი, 30.12.2024წ.*

## მუხლი 145. სამსახურში სამხედრო სამსახურის გავლის დროებითი წესი

1. ამ მუხლით განისაზღვრება სამსახურში 2025 წლის 1 იანვრამდე მიღებულ სამხედრო მოსამსახურეთა – წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირთა მიერ სამხედრო სამსახურის გავლის დროებითი წესი. საკითხი, რომელიც არ არის დარეგულირებული ამ მუხლით, წესრიგდება თავდაცვის კოდექსით, აგრეთვე ამ კოდექსისა და თავდაცვის კოდექსის საფუძველზე მიღებული/გამოცემული შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

2. სამხედრო მოსამსახურეები ამ კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად უზრუნველყოფენ პენიტენციური დაწესებულების დაცვას. ამ ფუნქციის შესრულების ორგანიზებასა და ზედამხედველობას ახორციელებს მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი/ერთეული.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია და მას სახელმწიფო იცავს. სამხედრო მოსამსახურის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესაბამისი მოთხოვნის შესრულება ყველასთვის სავალდებულოა.

4. სამხედრო მოსამსახურე უფლებამოსილია გამოიყენოს ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი. მათი გამოყენების წესი განისაზღვრება ამ კოდექსის 62-ე–64-ე მუხლებითა და სხვა ნორმატიული აქტებით, მათ შორის, მინისტრის ბრძანებით.

5. სამსახური ვალდებულია სამხედრო მოსამსახურე უზრუნველყოს კვებით ან კვების ნაცვლად მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული კომპენსაციის თანხით, შესაბამისი ფორმის ტანსაცმლით, სანივთე ქონებით, სამედიცინო მომსახურებით, აგრეთვე სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევით.

6. სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეს ეძლევა სამხედრო წოდების შესაბამისი წოდებრივი სარგო. მისი ოდენობა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

7. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის ჯანმრთელობის დაზიანების, დაჭრის, დასახიჩრების ან მისთვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეს მიეცემა თავდაცვის კოდექსის 149-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარება, ხოლო მისი დაღუპვის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრს მიეცემა თავდაცვის კოდექსის 149-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარება.

8. სამსახურის სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე პირის მიერ სამსახურის გამგებლობის სფეროში ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვისა და სამსახურებრივი მოვალეობებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების კონტროლს ახორციელებს სამსახურის შიდა კონტროლის განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

9. სამსახურში წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

### მუხლი 146. კოდექსის ამოქმედებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები

ამ კოდექსის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში სამინისტრომ და სხვა შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყონ ამ კოდექსით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების გამოცემა, აგრეთვე ამ კოდექსის 147-ე მუხლით გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტების (მათ შორის, ერთობლივი ნორმატიული აქტების) ამ კოდექსთან შესაბამისობა.

## თავი XXV

## დასკვნითი დებულებები

### მუხლი 147. ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი ნორმატიული აქტები

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) საქართველოს 2010 წლის 9 მარტის კანონი – პატიმრობის კოდექსი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №12, 24.03.2010, მუხ. 49);

ბ) საქართველოს 2015 წლის 1 მაისის კანონი „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 18.05.2015, სარეგისტრაციო კოდი: 100110000.05.001.017757).

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას, თუ ეს აქტები არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს.

### მუხლი 148. კოდექსის ამოქმედება

1. ეს კოდექსი, გარდა ამ კოდექსის პირველი–145-ე და 147-ე მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კოდექსის პირველი–145-ე და 147-ე მუხლები ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი** **სალომე ზურაბიშვილი**

**თბილისი,**

**15 დეკემბერი 2023 წ.**

**N3988-XIIIმს-Xმპ**